

**სეჩუანელი კეთილი ადამიანი**

მოქმედი პირები

სამი ღმერთი.

შენ ტე.

შუი ტა.

იანგ ზუნი, უმუშევარი მფრინავი.

ქალბატონი იანგი, იანგ ზუნის დედა.

ვანგი, მეთულუხე.

დალაქი შუ ფუ.

სახლის მეპატრონე ქალი მი ტჩიუ.

ქერივი ქალი შინი.

რვა სულისაგან შემდგარი ოჯახი.

დურგალი ლინ ტო.

ხალიჩებით მოვაჭრე და მისი ცოლი.

პოლიციელი.

მოსუცი მეძავი.

ბონზა.

უმუშევარი.

ოფიციანტი.

პროლოგში გამვლელები.

მოქმედების ადგილი: სეჩუანელი დედაქალაქი – ნახევრად გაევროპულებული.

## პროლოგი

*სენჯანის დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩა.*

*სადამო ხანია. მეთულუხე ვანგი საზოგადოებას თავს აცნობს.*

**ვანგი.** მე აქ, სენჯანის დედაქალაქში, წყალს ვყიდი. ძნელი ხელობა მაქვს. როცა წყალი ცოტაა, შორიდან მიხდება მოტანა, ხოლო როცა ბევრია შემოსავალი არა მაქვს. საერთოდ, ჩვენს პროვინციაში დიდი სიღატაკე სუფევს. ამბობენ, ჩვენი შველა ღმერთებსდა შეუძლიათო. მერედა როგორი ენით უთქმელი სიხარული განვიცადე, როცა მსხვილფეხა საქონლით მოვაჭრისაგან – იგი საერთოდ ბევრს მოგზაურობს – შევიტყვე, რომ რამდენიმე უხენაესი ღმერთი უკვე გზაშია და აქაც, სენჯანშიც უნდა მოველოდეთ მათ გამოჩენას. ეტყობა, ზეცა ძალიან შეწუხებულია უამრავი ჩივილით, რაც აქამდე აღწევს. უკვე სამი დამეა ღმერთებს აქ, ქალაქის შესასვლელში ველოდები, განსაკუთრებით სადამოობით, მინდა პირველი მივესალმო მათ. შემდეგ ამის საშუალებას ვინდა მომცემს, ღმერთებს წარჩინებულნი შემოეკვირიან გარს და, საერთოდ, მჭიდრო ალყაში ეყოლებათ. ოღონდ ღმერთები ვიცნო და მეტი არაფერი მინდა; იქნება ერთად არც მოვიდნენ. ალბათ სათითაოდ გამოგვეცხადებიან და თვალში არავის მოხვდება. ესენი შეუძლებელია ღმერთები იყვნენ, სამუშაოდან ბრუნდებიან (*ვანგი მიმავალ მუშებს ათვალიერებს.*) ტვირთის ზიდვისაგან ბეჭებში არიან მოხრილი. ისიც ყოველად შეუძლებელია, ღმერთი იყოს, თითები მეღნით აქვს მოხვრილი. დიდი-დიდი, ცემენტის ქარხანაში კანტორის მოხელედ მუშაობდეს. არც ის ვაჟბატონები ჰგვანან ღმერთებს, (*ორი კაცი ჩაუვლის წინ.*) მათ ხომ მკაცრი გამომეტყველება აქვთ, ისეთი ადამიანების მსგავსად, რომლებიც სხვებს უზომოდ სცემენ, ხოლო ღმერთებს ცმატყევა არ ესაჭიროებათ. მაგრამ აი აქ, ის სამნი კი სულ სხვაგვარად გამოიყურებიან. ნატიფები ჩანან, რაიმე ფიზიკური შრომის ნიშანწყალიც არ ეტყობათ, მერედა ფეხსაცმელებზეც მტვერი აყრით, ე. ი. შორი გზიდან მოდიან. ნამდვილად ისინი არიან! მიმსახურეთ, ნათელმოსილნო! (*მიწაზე პირქვე დაემხობა.*)

**პირველი ღმერთი** (*გახარებული*). ჩვენ აქ ველოდებიან?

**ვანგი** (*წყალს ასძევს მათ*). დიდი ხანია, მაგრამ მხოლოდ მე ვიცოდი, რომ თქვენ მობრძანდებოდით.

**პირველი ღმერთი**. თუ ასეა, ჩვენ აქ ღამის გასათევად ბინა დაგვჭირდება. არ გეგულება ერთი ასეთი ბინა?

**ვანგი**. ერთიო? უთვალავი ვიცი! მთელი ქალაქი თქვენ შემოგველოთ თავს, ნათელმოსილნო, სად ისურვებდით ცხოვრებას?

*(ღმერთები მრავალმნიშვნელოვნად უყურებენ ერთმანეთს.)*

**პირველი ღმერთი**. მეზობელ სახლშივე, შვილო ჩემო! უპირველეს ყოვლისა, უახლოეს სახლში სცადე!

**ვანგი**. მე ერთი რამ მაღარდებს – ძლიერნი ამა ქვეყნისა მტრად გადამეკიდებიან, თუ რომელიმე მათგანს განსაკუთრებულ უპირატესობას მივანიჭებ.

**პირველი ღმერთი**. ამიტომაც გიბრძანებთ: არჩევანი უახლოეს სახლზე შეაჩერო!

**ვანგი**. იქ, მოპირდაპირე მხარეს ბატონი ფო ცხოვრობს! ერთი წუთით მომიტმინეთ!

*(იგი ერთ სახლთან მიიღებს და კარს მიუბრახუნებს. კარი იღება, მაგრამ, ჩანს, უარს ეუბნებიან. ვანგი ყოყმანით ბრუნდება უკან.)*

სისულელეა და მეტი არაფერი. ბატონი ფო სწორედ სახლში არ გახლავთ, ხოლო მოსამსახურეები მისი ბრძანების გარეშე არაფერს აკეთებენ, რადგან ბატონი ძალიან მკაცრია, გაცოფდება, როცა გაიგებს, ვის უთხრეს უარი ღამის გათევაზე. ხომ ასეა?

**ღმერთები** (*ღიმილით*) ნამდვილად.

**ვანგი**. კიდევ ერთი წუთით მომიტმინეთ! აი ის სახლი, გვერდით ქვრივ ქალს სუს ეკუთვნის, სიხარულისაგან ფეხზე ვერ დადგება...

*(იგი სახლთან მიიღებს, მაგრამ ჩანს იქიდანაც უარით ისტუმრებენ.)*

აბა, ერთი მეორე მხარესაც ვიკითხავ, ქვრივმა თქვა, ერთი პაწაწკინტელა ოთახი მაქვს და ისიც გაურემონტებელიო. ახლავე ბატონ ჩენგს ვიკითხავ.

**მეორე ღმერთი**. რომ იცოდე ჩვენ პაწაწკინტელა ოთახიც გვეყოფა, უთხარი, თანახმა ვართ.

**ვანგი.** მაშინაც კი თუ მტვრითაა სავსე? იქაურობა ალბათ, ობობებითა გატენილი.

**მეორე ღმერთი.** ეგ არაფერია. სადაც ობობა ბუდობს, იქ ცოტა ბუზია.

**მესამე ღმერთი.** *(თავაზიანად მიმართავს ვანგს).* ბატონ ჩენგთან, ან ვინმე სხვასთან მიდი, შვილო ჩემო, ცოტა არ იყოს, ობობა მეზიზღება.

*(ვანგი კვლავ რომელიღაცა კარზე აკაკუნებს და იქ შეუშვებენ.)*

**ხმა სახლიდან.** მოგვეშვი ერთი, შენი ღმერთებით! ჩვენ სხვა საზრუნავიც გვაქვს!

**ვანგი** *(ღმერთებთან დაბრუნდება).* ბატონი ჩენგი სისარულით ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ მთელი სახლი ნათესავებითაა სავსე. ვერ ბედავს თვალით დაგენახოთ, ნათელმოსილნო. ჩვენს შორის დარჩეს. მე ვფიქრობ, მის ნათესავებში უკეთური ადამიანები ურევია და ჩენგს არ სურს, თქვენ რომ ისინი ნახოთ. მას თქვენი განჩინება ძალუმ შიშს გვრის. ნამდვილად ასეა.

**მესამე ღმერთი.** მერედა ჩვენ განა ასეთი საშიშნი ვართ?

**ვანგი.** მხოლოდ უკეთური ადამიანებისათვის, ხომ მართალია?

ყველამ იცის რომ კვანის პროვინციას წლების მანძილზე წყალდიდობა ატყდება თავს.

**მეორე ღმერთი.** მართლა? მერედა, რატომ ხდება ასე?

**ვანგი.** რატომ და, იქ ღმერთი არავის სწამს.

**მეორე ღმერთი.** სისულელეა! იმიტომ, რომ მათი კაშხალი გაპარტახებულია.

**პირველი ღმერთი.** სსუუ! *(ვანგს.)* შვილო ჩემო, კიდევ გაქვს ბინის შოვნის იმედი?

**ვანგი.** ასეთი რამ როგორ შეგიძლია მკითხო? ერთ სახლს კიდევ გავივლი და თქვენთვის ბინასაც ვიშოვნი. მოულოდნელი შემთხვევების ბრალია, რომ აქამდე ბინა ვერ გიშოვეთ, გასაგებია? გავრბივარ!

*(იგი ყოყმანით განაგრძობს გზას და გაუბედავად ჩერდება შუა ქუჩაში.)*

**მეორე ღმერთი.** რას გეუბნებოდით?

**მესამე ღმერთი.** შემთხვევით რაღაც ყოველთვის შეიძლება მოხდეს.

**მეორე ღმერთი.** შემთხვევები შუნში, შემთხვევები კვანში და შემთხვევები სეჩუანში! ღმერთის შიში უკვე აღარ არსებობს, ეს არის ჭეშმარიტება, რომელსაც არ გსურთ თვალი გაუსწოროთ. ჩვენმა მისიამ კრახი განიცადა, უნდა აღიაროთ!

**პირველი ღმერთი.** ჩვენ, ჯერ კიდევ, ყოველთვის და ყოველ წუთს შეგვიძლია კეთილი კაცი მოვძებნოთ. ფარხმალი ასე ადვილად არ უნდა დავყაროთ.

**მესამე ღმერთი.** გადაწყვეტილებაში წერია: ქვეყნიერება როგორც არის, ისე დარჩება, თუკი საკმარისი რაოდენობით ვიპოვით კეთილ ხალხს, რომლებსაც ადამიანისთვის შესაფერისი ცხოვრებით შეუძლებათ იცხოვრონ. თუკი ყველაფერში არ ვცდები, მეთულუხე თავად არის ასეთი ადამიანი. *(იგი მიდის განგთან, რომელიც ისევ და ისევ გაუბედავად დგას.)*

**მეორე ღმერთი.** იგი ყველაფერში ცდება. როცა მეთულუხემ კათხით წყალი გვასვა, რაღაც შევნიშნე. აი, ის კათხა.

*(იგი კათხას პირველ ღმერთს აჩვენებს.)*

**პირველი ღმერთი.** კათხას ორი ფსკერი აქვს.

**მეორე ღმერთი.** მატყუარა ყოფილა!

**პირველი ღმერთი.** კეთილი, მეთულუხე სათვალავიდან ამოვარდა. მაგრამ რა მოხდა ისეთი, თუკი ერთია ძირმომპალი! ჩვენ ჯერ კიდევ საკმარისად ვიპოვით ისეთებს, რომლებიც პირობას დააკმაყოფილებენ. უნდა ვიპოვოთ! ორი ათასი წელია სულ იმას გაჰყვირიან, შეუძლებელია ქვეყნიერების საქმე ისე წავიდეს, როგორც მიდისო. არავის ძალუძს ამქვეყნად კეთილი დარჩეს. ბოლოს და ბოლოს, ახლა საჭირო იქნება ჩვენ თვითონვე გამოვაგლინოთ ადამიანები, რომლებთაც უნარი შესწევთ, ჩვენს მცნებანს მისდიონ.

**მესამე ღმერთი** *(ვანგს მიმართავს).* იქნებ ძალიან ძნელია თავშესაფრის მიკვლევა?

**ვანგი.** მხოლოდ თქვენთვის არა! ეგ როგორ იფიქრეთ! ის ცოდვა რომ თავშესაფარს იმავ წუთს ვერ მივაკვლიე, მე მაწევს კისერზე, რადგან ცუდად ვეძებ.

**მესამე ღმერთი.** ეს არაა სწორი. *(იგი უკან ბრუნდება.)*

**ვანგი.** ისინი უკვე ყველაფერს ხვდებიან. *(ვანგი ვიღაც გამვლელ კაცს ელაპარაკება.)* ღრმად პატივცემულო ბატონო, მაპატიეთ, რომ მოგმართავთ, მაგრამ სამი უმაღლესი ღმერთი, რომელთა მობრძანებაზე წლების განმავლობაში მთელი სეჩუანი ლაპარაკობდა, ნამდვილად ჩამოვიდნენ და ახლა ბინა სჭირდებათ. ნუ წახვალთ! თვითონვე დარწმუნდით! საკმარისია ერთი შეხედოთ! თუ ღმერთი გწამთ, მოგვეშველეთ! ეს არის ერთადერთი შესაძლებლობა! მიიპატიეთ ღმერთები თქვენს ჭერქვეშ, ვიდრე ვინმე თავისთან წაიყვანდეს. ღმერთები თანახმანი იქნებიან. *(ბატონი ვხას განავრძობს.)*

*(ახლა მეორე გამვლელს მიმართავს).* ძვირფასო ბატონო, გაიგონებდით, რაც მოხდა. თქვენ ალბათ ბინა გექნებათ? სასახლე სულაც არაა საჭირო. უფრო მნიშვნელოვანია მრწამსი.

**ბატონი.** საიდან უნდა ვიცოდე, შენი ღმერთები რა ღმერთები არიან? ვინ იცის, ვის შეიყვან შენს ჭერქვეშ.

*(იგი თამბაქოს მაღაზიაში შედის. ვანგი სირბილით ბრუნდება ღმერთებთან.)*

**ვანგი.** მე ვნახე ისეთი ბატონი, რომელიც ნამდვილად დათანხმდება. *(იგი მიწაზე დადგმულ კათხას შეხედავს, ღმერთებს დაბნეული უყურებს, კათხას აიღებს და კვლავ ვარბის.)*

**პირველი ღმერთი.** გამამხნევებლად სულაც არ უღერს.

**ვანგი** *(თამბაქოს მაღაზიიდან გამოსულ კაცს მიმართავს.)* რას გვეტყვით თავშესაფრის შესახებ?

**კაცი.** რატომ არ მეკითხები, იქნებ მე თვითონ სასტუმროში ვცხოვრობ?

**პირველი ღმერთი.** იგი ვერაფერსაც ვერ მოძებნის. შეგვიძლია სეჩუანსაც ჯვარი გადაუხსვათ.

**ვანგი.** ისინი სამივენი უმაღლესი ღმერთები არიან! ნამდვილად! ტაძრებში დადგმულ ქანდაკებებს ჰგვანან. თუკი თქვენ სასწრაფოდ მიხვალთ და დაპატიუებთ, შესაძლებელია, თანხმობა გითხრან.

**კაცი** *(იცინის).* ეტყობა, ისინი, ვისთვისაც შენ თავშესაფარს ეძებ, მშვენიერი თაღლითები უნდა იყვნენ. *(მიდის.)*

**ვანგი.** *(ლანძღვა-გინებას გააყოლებს).* შე, ბრუტიანო გაიძვერა! მაშ, ღმერთის არ გეშინია? ასეთი გულგრილობისათვის აღუღებულ კუპრში დაიხრუკებით! თქვენ დაგასკორათ თავზე ღმერთებმა! მაგრამ გნახავთ, რომ ცოდვებს ინანიებდეთ! ამისათვის თქვენი შვილთაშვილები აგებენ პასუხს! თქვენისთანებია სეჩუანს რომ თავლაფს ასხამენ. *(პაუზა.)* ახლა მხოლოდ მეძავი შენ ტე დარჩა, იგი არ იტყვის უარს. *(ვანგი ვერის: „შენ ტე“. ზევით ფანჯრიდან შენ ტე გამოიხედავს.)*

ისინი უკვე აქ არიან, მაგრამ თავშესაფარი ვერ მოგუძებნე, ხომ არ შეგიძლია ღამე გაათევირო?

**შენ ტე.** ვფიქრობ, რომ ვერა, ვანგ. სასიძოს ველოდები. კი მაგრამ, როგორ მოხდა, რომ მათთვის თავშესაფარი ვერ იშოვე?!  
*(პაუზა)*

**ვანგი.** ახლა ამის თქმა არ შემიძლია. მთელი სეჩუანი მხოლოდ და მხოლოდ ნაგვის გროვას და მეტი არაფერი.

**შენ ტე.** იქნებ სჯობდეს, როცა სასიძო მოვა, დავიმალო და ისიც უკან გაბრუნდება. მერეც მოესწრება ჩემთან დროსტარებას.

**ვანგი.** ხომ შეიძლება ამასობაში ამოვიდეთ კიდეც?

**შენ ტე.** ოღონდ ხმამაღლა არ ილაპარაკოთ. შეიძლება ღმერთებთან გუღლიად ლაპარაკი?

**ვანგი.** არა! მათ არც შენი ხელობის შესახებ უნდა შეიტყონ რამე! სჯობს, ჩვენ ძირს დავიცადოთ, მაგრამ შენ იმ კაცთან ერთად ხომ არ წახვალ?

**შენ ტე.** ჩემი საქმე ვერაა კარგად, ხვალ ბინის ქირა თუ არ გადავიხადე, ქუჩაში გამომაგდებენ.

**ვანგი.** ასეთ წუთებში ანგარიშიანი არ უნდა იყო.

**შენ ტე.** ეგ არ ვიცი, შიმშილისაგან კუჭი მეწვის, მაშინაც, როცა იმპერატორს დაბადების დღე აქვს, მაგრამ, კეთილი მე მათ მივიღებ.

*(მოხანს, რომ შენ ტე სინათლეს ჩააქრობს.)*

**პირველი ღმერთი.** ვფიქრობ, იმედი გადაიწურა. *(ღმერთები ვანგთან მიდიან.)*

**ვანგი.** *(შეერთება, ზურგს უკან ღმერთებს რომ დაინახავს).* ბინა ნაშოვნია. *(იგი ოფელს იმშრალებს.)*

**ღმერთები.** ჰო? მაშინ შეგვიძლია წავიდეთ.

**ვანგი.** ძალიანაც ნუ აჩქარდებით. ცოტა მოითმინეთ ოთახს მიაღწაგ-მოაღწაგებენ.

**მესამე ღმერთი.** თუ ასეა, მაშინ ჩამოვსხდეთ და დავიცადოთ.

**ვანგი.** მაგრამ აქ დიდი მოძრაობაა და მეშინია. იქნებ მეორე მხარეს გადავსულიყავით.

**მეორე ღმერთი.** ჩვენ სიამოვნებით ვადევნებთ თვალყურს ადამიანებს. სწორედ ამისთვის ვართ აქ.

**ვანგი.** მხოლოდ ორპირი ქარი ქრის.

**მეორე ღმერთი.** არა უშავს, ჩვენ გამოწვთობილი ადამიანები ვართ.

**ვანგი.** მაგრამ იქნებ გსურთ, რომ ღამეული სეჩუანი განახოთ?

ცოტა ხომ არ გაგვესეირნა?

**მესამე ღმერთი.** დღეს ჩვენ უკვე საკმაოდ ბევრი ვიარეთ. *(ღიმილით.)* მაგრამ შენ თუ გსურს აქაურობას მოვშორდეთ, მაშინ გვითხარი.

*ისინი უკან იხევენ.*

**მესამე ღმერთი.** აქ გირჩევნია?

*(ღმერთები ერთ-ერთი სახლის კიბეზე ჩამოსხდებიან. ვანგი ცოტა მოცილებით მიწაზე დაჯდება.)*

**ვანგი.** *(სულს მოითქვამს).* თქვენ ერთ მარტოხელა გოგონასთან იცხოვრებთ. იგი სეჩუანის უკეთილესი ადამიანია.

**მესამე ღმერთი.** ძალიან კარგი.

**ვანგი** *(ხალხს მიმართავს).* წუდან კათხა რომ ავიდე, ღმერთები რაღაც ძალიან უცნაურად მიცქეროდნენ. რაიმე თუ შენიშნეს, თვალებში ვეღარ შევხედავ.

**მესამე ღმერთი.** ძალაგამოლეული ჩანხარ.



**ვანგი.** ცოტათი კი. სირბილისაგან.

**პირველი ღმერთი.** აქ, რა, ადამიანებს ძალიან უჭირთ?

**ვანგი.** კეთილებს კი.

**პირველი ღმერთი.** (სერიოზულად). შენც?

**ვანგი.** ვიცი, რასაც ფიქრობთ, მე კეთილი არა ვარ, მაგრამ არც მე მადგას კარგი დღე.

*(ამ ხანში შენ ტვს სახლის წინ ვიღაც მამაკაცი გამოჩნდება და რამდენიმეჯერ დაუსტვინებს, ვანგი ყოველ დასტვენაზე შესტება.)*

**პირველი ღმერთი.** (ხმადაბლა ვანგს). ვფიქრობ, იგი წავიდა.

**ვანგი.** (დაბნეული). დიას.

*(ვანგი წამოდგება და მოედნისკენ გარბის, წყლის ჭურჭელსა და კათხას ადგილზევე დატოვებს. ამ ხანში კი მოხდება შემდეგი. მომლოდინე კაცი გზას განაგრძობს, ხოლო შენ ტე კარს მოადგება და წყნარად დაიძახებს. – „ვანგ“, შემდეგ ძებნა-ძებნით ქუჩას ქვევით დაუყვება. ამ დროს ვანგიც წყნარად იძახის – „შენ ტე“, პასუხს არავის სცემს.)*

**ვანგი.** შენ ტემაც ბედის ანაბარა მიმატოვა. სადღაც წავიდა. ალბათ ბინის ქირისთვის ფული უნდა იშოვოს, ხოლო მე ნათელმოსილებისათვის ბინა არა მაქვს. ღმერთები დაღლილები არიან და იცდიან. უკვე აღარ ძალმიძს მათთან მისვლა და თქმა: ვერაფერს ვერ გაგხდი-მეთქი! ჩემ საკუთარ თავშესაფარზე საკანალიზაციო მილზე, ლაპარაკი ზედმეტია. ესეც რომ არ იყოს, ღმერთები არ ისურვებენ ისეთ ადამიანთან ცხოვრებას, რომლის თვალთმაქცობა მათ საკუთარი თვალთ იხილეს. არაფრის გულისთვის მათთან აღარ დავბრუნდები. მაგრამ ჩემი ჭურჭელი იქ რომ აწყვია! რაღა ვქნა? ვერ გავბედავ მათ აღებას. უნდა გადავიკარგო დედაქალაქიდან და ღმერთებს თვალთ აღარ დავენახო, რადგან მე მათთვის, ვისაც ესოდენ პატივსა ვცემ, ვერაფერი გავაკეთე.

*(ის-ის არის ვანგი თვალს მიეფარება და შენ ტეც ბრუნდება. ქუჩის მეორე მხარეს დაიწყებს ძებნას და ღმერთებს დაინახავს.)*

**შენ ტე.** ეს თქვენა ხართ, ნათელმოსილნო? ჩემი სახელია შენ ტე. მოხარული ვიქნები, თუკი ჩემს ოთახს უპირატესობას მიანიჭებდით.

**მესამე ღმერთი.** მაგრამ მეთულუხე სადღა გაქრა?

**შენ ტე.** სადღაც ერთმანეთს ავცდით.

**პირველი ღმერთი.** ალბათ იფიქრა, რომ არ მოხვიდოდი და ვეღარ გაბედა ჩვენთან დაბრუნება.

**მესამე ღმერთი** (*წყლის ჭურჭელს აიღებს*). ჩვენ გვსურს ესენი თქვენთან დავდგათ. დასჭირდება. (*ისინი მიდიან, შენ ტე წინ მიუძღვება და სახელში შეიყვანს.*)

*ჩამობნელებს და ისევ განათდება. დილის ბინდბუნდში კარის ზღურბლზე ღმერთები გამოხნდებიან, მათ წინ შენ ტე მიუძღვის, ფარნით გზას უნათებს, ღმერთები და შენ ტე ერთმანეთს ემშვიდობებიან.*

**პირველი ღმერთი.** ძვირფასო შენ ტე. სტუმართმოყვარეობისათვის დიდი მადლობელი ვართ, არასოდეს დავივიწყებთ, რომ შენ თავშესაფარი მოგვეცი. ხოლო მეთულუხეს თავისი ჭურჭელი უკან დაუბრუნე და უთხარი, რომ ჩვენ მისი მადლიერნიც ვართ, რადგან კეთილ ადამიანს შეგვახვედრა.

**შენ ტე.** უნდა გამოგიტყდეთ, მე კეთილი არა ვარ. როცა თავშესაფრის სათხოვნელად ვანგი ჩემთან მოვიდა, ყოყმანი დავიწყე.

**პირველი ღმერთი.** ყოყმანი არაფერია, თუკი მასზე გაიმარჯვე, იცოდე, რომ შენ უფრო მეტი რაღაც მოგვეცი, ვიდრე ღამის გასათევი. ძალიან ბევრ ღმერთს, მათ შორის, ზოგიერთ ჩვენთაგანსაც, ეჭვი დაებადა, საერთოდ არსებობს თუ არა ქვეყნად კეთილი ადამიანი?! ეს რომ დაგვედგინა, ძირითადად ამისთვის დავიწყეთ მოგზაურობა. სიამოვნებით ვაგრძელებთ ჩვენს გზას, რადგან ერთი კეთილი ადამიანი უკვე ვიპოვეთ. ნახვამდის!

**შენ ტე.** მოითმინეთ, ნათელმოსილნო. სრულებით არა ვარ დარწმუნებული, რომ კეთილი ვარ. ძალიანაც მინდა რომ კეთილი ვიყო, მაგრამ მაშინ როგორღა გადავიხადო ბინის ქირა? ამიტომაც უნდა გამოგიტყდეთ: არსებობა რომ შეეძლო, მე ჩემს თავს ვყიდი, მაგრამ თავს მაინც ვერ ვირჩენ, ძალიან ბევრი აკეთებს იგივეს, რასაც მე ჩავდივარ. ყველაფრისათვის მზადა ვარ, მაგრამ განა ყველანი ასე არ

იქცევინ? ცხადია, ბედნიერი ვიქნებოდი, მცნებანის დაცვა რომ შემეძლოს „პატივი ეც დედასა შენსა და მამასა შენსა, არ იცრუო, არა გული გითქმოდეს მოყვასისა შენისათვის... არცა სახლისა მისისა“. ჩემთვის სასიამოვნო იქნებოდა მყავდეს ერთი მეგობარი და ერთი კაცის ერთგული ვიყო. მე არ მინდა ვინმესგან რაიმე მოგება ვნახო და უმწეო ადამიანი გავექურდო, მაგრამ როგორ მოვახერხო ყოველივე ეს? როცა ზოგ ცნებას ვარღვევ, მაშინაც კი გაჭირვებით მივათრევ სულს.

**პირველი ღმერთი.** ყველაფერი ეს, შენ ტე, სხვა არაფერია, თუ არა კეთილი კაცის ეჭვები.

**მესამე ღმერთი.** კარგად იყავი, შენ ტე! მეთულუხესაც ჩემგან უგულითადესი მოკითხვა გადაეცი. იგი ჩვენთვის ძალიან კეთილი მეგობარი იყო.

**მეორე ღმერთი.** ვშიშობ, ვანგს ცუდი რამ ხომ არ შეემთხვევა?

**მესამე ღმერთი.** ბედნიერად იყავი.

**პირველი ღმერთი.** უპირველეს ყოვლისა, კეთილი იყავი შენ ტე! მშვიდობით!

*(ისინი წასასვლელად შებრუნდებიან. ხელსაც უქნევენ.)*

**შენ ტე (შეშინებული).** საკუთარ თავში რომ კარგად არა ვარ დარწმუნებული, ნათელმოსილნო, როგორ შემიძლია კეთილი ვიყო, იქ სადაც ყველაფერი ასე უსაშველოდ ძვირია?

**მეორე ღმერთი.** ჩვენ, სამწუხაროდ, ვერაფრით დაგეხმარებით. სამეურნეო საქმეებში ჩარევა არ ძალგვიძს.

**მესამე ღმერთი.** ჩვენ ამას ვერაფერს მივცემთ, ზევით პასუხს ვერ ვაგებთ.

**პირველი ღმერთი.** რატომაც ვერა?

*(თავებს ახლოს მიიტანენ და გაცხარებული კამათობენ)*

**პირველი ღმერთი.** *(შეცბუნებული მიმართავს შენ ტეს).* ყური მოვკარით, ბინის ქირა არ უნდა გქონდეს. ჩვენ ღარიბი ადამიანები არა ვართ და, რასაკვირველია, ღამის გათევისათვის ფულს გადავიხდით! აიღე! ფულს აძლევს. მაგრამ არავისთან კრინტი არ დასძრა, რომ გასამრჯელო მოგეცით. შეიძლება ცუდად ჩამოგვართვან.

**მეორე ღმერთი.** ძალიან ცუდად.

**მესამე ღმერთი.** არა, ეს ნებადართულია: ჩვენ შეგვიძლია მშვიდად გადავიხადოთ ფული ღამის გათევისათვის, გადაწყვეტილებაში ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ წერია.

მაშ ასე, მშვიდობით!

*(ღმერთები სწრაფად მიდიან.)*

### **თამბაქოს პატარა მაღაზია**

*(მაღაზია მთლად არაა გამართული და ჯერ არ გაულიათ.)*

**შენ ტე (ხალხს).** სამი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ღმერთები წავიდნენ. ღმერთებმა მითხრეს, ჩვენ გვსურს ღამის გათევისათვის ფული გადავიხადოთ. ხოლო როცა დავხედე, რა თანხაც მომცეს, ვნახე ათას ვერცხლის დოლარზე მეტი იყო. მეც იმ ფულით თამბაქოს მაღაზია ვიყიდე. გუშინ გადმოვედი აქ და იმედი მაქვს, ახლა ბევრი სიკეთის გაკეთებას შევძლებ. ის, მაგალითად, ქალბატონი შინია, ვისაც ადრე თამბაქოს მაღაზია ეკუთვნოდა, გუშინვე მოვიდა და თავისი ბავშვებისათვის ბრინჯი მთხოვა. ვხედავ, ქოთნით ხელში მოედანს სჭრის, დღესაც ჩემსკენ მოეშურება.

*(შინი შემოდის. ქალები წელში მოხრილი ესალმებიან ერთმანეთს.)*

გამარჯობათ, ქალბატონო შინ.

**შინი.** გამარჯობათ, ფროილან შენ ტე. როგორ მოგწონთ თქვენი ახალი ბინა?

**შენ ტე** ძალიან. თქვენმა ბავშვებმა დამე როგორ გაატარეს?

**შინი.** ოჰ, უცხო სახლში, თუკი შეიძლება იმ ბარაკს სახლი ვუწოდოთ! პატარას უკვე ახველებს.

**შენ ტე.** ეს კი ცუდია.

**შინი.** თქვენ ხომ სრულებით არ იცით, ცუდი რა არის, რადგან თვითონ კარგად ცხოვრობთ. მაგრამ ამ ბალაგანში, კიდევ ბევრ განსაცდელს გაივლით. ეს ხომ სიდატაკის კვარტალია.

**შენ ტე.** თქვენ არ მეუბნებოდით, შესვენებისას, ცემენტის ქარხნის მუშები შემოდინანო?

**შინი.** მათ გარდა კაციშვილი არაფერს ყიდულობს, მეზობლებიც კი.

**შენ ტე.** როცა მაღაზია მომყიდეთ, ამის შესახებ თქვენ არაფერი გითქვამთ.

**შინი.** თქვენი საყვედურებიდა მაკლია ახლა! ჯერ მე და ჩემს ბავშვებს ბინა წაგვართვი და ახლა ამბობთ, ბალაგანი და სიღარიბის კვარტალიაო! ეს უკვე მეტისმეტია. *(ტირის.)*

**შენ ტე** *(სწრაფად).* ამ წუთსავე მოგიტანთ ბრინჯს.

**შინი.** კიდევ რაღაცის თხოვნა მსურდა, იქნებ ცოტადენი ფული მასესხოთ.

**შენ ტე** *(ქოთანს ბრინჯით უვსებს).* არ შემიძლია ჯერ არაფერი გამიყიდია.

**შინი.** კი მაგრამ, რომ მჭირდება? რით ვიცხოვრო? ყველაფერი წამართვით, ახლა კი გსურთ, კისერი მომიგრიხოთ. ჩემს ბავშვებს სახლის ზღურბლზე დაგისვამ, შე ყელის გამომჭრელო, შენა! *(ხელიდან ქოთანს გამოგლეჯს.)*

**შენ ტე.** ნუ გაბრაზდებით! ბრინჯს დააბნევთ!

*(შემოდის შებერებული წყვილი და საცოდავად ჩაცმული კაცი.)*

**ქალბატონი.** ოჰ, ჩემო ძვირფასო, შენ ტე, შევიტყვეთ, რომ კარგად ცხოვრობ. მართლა საქმოსანი გახდი? გახსოვდეს, ჩვენ უსახლკაროდ ვართ დარჩენილი! ჩვენმა თამბაქოს მაღაზიამ ჭირი მოგჭამა. ვიფიქრეთ, იქნებ შენთან გაგვეთია ღამე. ჩემს ძმიშვილს ხომ იცნობ? ისიც თან წამოგვეყვა, სულ კუდში დაგვდევს.

**ძმისშვილი** *(ირგვლივ იყურება).* ბრწყინვალე მაღაზიაა!

**შინი.** ნეტავ ვიცოდე ვინ არიან?

**შენ ტე.** როცა სოფლიდან ქალაქში ჩამოვედი, ესენი ჩემი პირველი მეპატრონეები იყვნენ. *(ხალხს.)* როცა ფული გამითავდა, ქუჩაში გამომაგდეს. ახლა ეშინიათ, ჰგონიათ, უარს ვეტყვი. ღარიბები არიან.

უსუსურნი და უსახლკარონი,

თან მეგობარი არ ჰყავთ არავინ,

დღეს მათ სჭირდებათ ვიღაცის ხელი,

ჩვენ როგორ შეგვწევს განზე გადგომა?!

*(მოსულებს თავაზიანად მიმართავს.)* კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. სიამოვნებით მოგცემთ თავშესაფარს. მაღაზიის უკან ერთი პაწაწკინტელა ოთახი მაქვს.

**კაცი.** ჩვენთვის ეგეც საკმარისია, ნუ შეწუხდებით. *(ვიდრე შენ ტეს ჩაი მოაქვს)* ჩვენ უკეთესია ძირს მოგკალათდებით, რომ ფეხებში არ გამოგებლანდოთ. თამბაქოს მაღაზია ალბათ შენი პირველი თავშესაფრის ხსოვნის გამო აირჩიე? ჩვენ შეგვიძლია რჩევა-დარიგებანი მოგცეთ. სხვათაშორის, ჩვენი აქ მოსვლის მიზეზი ესეცაა.

**შინი** *(დაცინვით).* იმედი უნდა ვიქონიოთ, მყიდველებიც მობრძანდებიან?

**ქალბატონი.** ეს ჩვენ გვეხება?

**კაცი.** სსუუ! ეს უკვე მუშტარია!

*(შემოდის ჩამოსხეულ-ჩამოგლეჯილი კაცი.)*

**ჩამოსხეულჩამოგლეჯილი კაცი.** მაპატიეთ, მე უმუშევარი ვარ.

*შინი იცინის.*

**შენ ტე.** რით შემიძლია გემსახუროთ?

**უმუშევარი.** ყური მოგკარი, მაღაზიას ხვალ აღებთ. ჰოდა, ვიფიქრე, საქონლის გახსნისა და ამოლაგების დროს ზოგჯერ რაღაცა ფუჭდება... ერთი სიგარეტი არ დაგრჩენიათ?

**ქალი.** თამბაქოს თხოვნა კი მეტისმეტია! პური რომ იყოს, კიდევ ჰო!

**უმუშევარი.** პური ძვირია. რამდენჯერმე ნაფაზის დარტყმა და მე სხვა ადამიანად გადავიქცევი. ძალიან განადგურებული ვარ.

**შენ ტე** *(სიგარეტებს აძლევს).* სწორედ ის არის მნიშვნელოვანი, სხვა ადამიანი გახდე. მე მსურს თქვენ იყოთ პირველი მყიდველი, და მაღაზიაც ამით გაიხსნას: თქვენ მომიტანთ ბედნიერებას.

*(უმუშევარი სწრაფად უკიდებს სივარეტს, შეისუნთქავს და ხველებ-ხველებით მიდის.)*

**ქალი.** სწორი იყო თქვენი საქციელი, ძვირფასო შენ ტე?

**შინი.** თუ თქვენ მაღაზია ამისთვის გაადეთ, სამ დღეში იგი უკვე აღარ გექნებათ.

**კაცი.** ნიძლავს დავდებ, იმ კაცს ჯიბეში ფული ჰქონდა.

**შენ ტე.** კი, მაგრამ, მან ხომ თქვა, არაფერი მაქვსო.

**ძმისშვილი.** საიდან იცით, რომ მან არ მოგატყუათ?

**შენ ტე** *(აღფრთოვანებული).* საიდან ვიცი, რომ მას არ მოვუტყუებოვარ?

**ქალი** *(თავის კანტურით).* შენ ტეს უარის თქმა არ შეუძლია! ძალიან გულკეთილი ხარ, შენ ტე! თუ გასურს მაღაზიის შენარჩუნება, ვაღდეგებელი ხარ, ზოგიერთ თხოვნაზე უარი თქვა.

**კაცი.** თქვი, რომ მაღაზია შენ არ გეკუთვნის. მოიგონე ვითომ მაღაზია რომელიღაცა ნათესავის კუთვნილებაა, რომელიც შენგან ზუსტ ანგარიშს მოითხოვს. არ შეგიძლია, ასე მოიქცე?

**შინი.** შეუძლია თუკი მუდამ ქველმოქმედის როლს არ ითამაშებს.

**შენ ტე** *(იცინის).* ღანძლის მეტი არაფერი შეგიძლიათ! აი, თქვენ ახლავე თავშესაფარზე უარს გეტყვით. ხოლო იმას ბრინჯს უკანვე გამოვართმევ!

**ქალი** *(შეშინებული).* ბრინჯიც შენია?

**შენ ტე** *(ხალხს).*

უხეირონი, უკეთურები,

მათ არ იციან მეგობრობის ნამდვილი ფასი,

ქოთან ბრინჯსაც კი არავისთვის გაიმეტებენ,

ყველაფერი სურთ მიიკერძონ მხოლოდ თავისთვის,

ვის შეუძლია ამისათვის გაღანძვლა მათი.

*(შემოდის დაბალი კაცი.)*

**შინი** (*კაცის დანახვაზე აჩქარდება*). ხვალ კიდევ გინახულებთ. (*გადის*)

**პატარა კაცი** (*შიდახეებს*). მოითმინეთ ქალბატონო შინ! სწორედ თქვენ მჭირდებით!

**ქალი**. ეგ ქალი ხშირად დადის აქ? შენს მიმართ რაიმე პრეტენზია გააჩნია?

**შენ ტე**. არავითარი პრეტენზია არ გააჩნია, მაგრამ შია: ეს კი პრეტენზიაზე უფრო მეტია.

**პატარა კაცი**. მან იცის, რატომაც გარბის. თქვენ მაღაზიის ახალი მეპატრონე ბრძანდებით, ხომ? ოჰ, უკვე თაროებს ალაგებთ. მაგრამ, ვიდრე საფასურს არ გადაიხდით, თაროები თქვენ არ გეკუთვნით! იმ ნაძირალას, აქ რომ იჯდა თაროების ფული არ გადაუხდია. (*დანარჩენებს*) მე ხომ დურგალი ვარ.

**შენ ტე**. მაგრამ ვფიქრობ, თაროები იმ ავეჯს ეკუთვნის, რისთვისაც ფული გადავიხადე?

**დურგალი**. ტყუილია! ყველაფერი ტყუილია! გეტყობათ, თქვენ და შინი ერთმანეთს ხელს უმართავთ! მე მოვითხოვ ჩემს 100 ვერცხლის დოლარს, თუკი ნამდვილად ღირს ტო მქვია.

**შენ ტე**. როგორ შემიძლია ასე ვერცხლის დოლარის გადახდა როცა ფული არა მაქვს!

**დურგალი**. მაშინ თაროებს გავეყიდი! ამწუთსვე! ამწუთსვე ფული გადამიხადეთ, თორემ თაროებს გავეყიდი!

**კაცი** (*შენ ტეს კარნახობს*). ბიძაშვილი!

**შენ ტე**. შემდეგ თვეში გადაგიხდით, არ შეიძლება!

**დურგალი** (*ყვირილით*). არა!

**შენ ტე**. ნუ იქნებით ასეთი უღმობელი, ბატონო ღირს ტო, არ შემიძლია ყველა მოთხოვნილება ერთბაშად დაგაკმაყოფილო. (*ხალხს*)

მხოლოდ ოდნავი თანაგრძნობა და ძალები გაორკეცდება,

შეხე ოთხთვალას, ბაღახზე რომ დახრილა ცხენი;



შეხედე მას მოწყალე თვალთ, ის უკეთ მოსწევს.

ივნისში ცოტა მოთმინება და აგვისტოში

ატმის ხეხილი სიმძიმისაგან წელს დაბლა დახრის.

ჩვენ როგორ შეგვწევს მოთმინების გარეშე ყოფნა.

პატარა დროის გაგრძელებით

დიდ მიზანს ვაღწევთ.

*(დურგალს.)* მხოლოდ წამით იყავი შემწყალე, ბატონო ლინ ტო!

**დურგალი.** მერედა ვინ იქნება ჩემი და ჩემი ოჯახის შემწყალე?

*(კელელთან მიდგომულ თაროს გამოსწევს, ისე თითქოს წაღება სურდეს.)* ან გადამიხადეთ, ან არადა თაროები მიმაქვს!

**ქალი.** ჩემო ძვირფასო შენ ტე, რატომ არ გადასცემ საქმეს თქვენს ბიძაშვილს?  
*(დურგალს.)* დაწერეთ ანგარიში და ფულს ფროილან შენ ტეს ბიძაშვილი გადაიხდის.

**დურგალი.** ვიცნობთ მასეთ ბიძაშვილებს!

**ძმისშვილი.** სულელივით ნუ იღრიჭები! პირადად ვიცნობ.

**კაცი.** ეს კაცი არა, სულთამხუთავია!

**დურგალი.** კეთილი, მას გადაეცით ჩემი ანგარიში.

*(თაროს გადააპირქვაეებს, დაჯდება და ანგარიშს წერს.)*

**ქალი.** ეგ კაცი რამდენიმე ფიცრის გულისთვის ხალათს შემოგახვეს, თუ არ გააჩერე, სამართლიანია თუ არა, თხოვნას ნუ მიიღებ, რადგან იმავე წუთს აგავსებენ სამართლიანი თუ უსამართლო პრეტენზიებით. გადააგდე ნაგვის ყუთში ერთი ნაჭერი ხორცი და მთელი უბნის ძაღლები შენს ეზოში გამოსჭამენ ყელს ერთმანეთს. რატომ არსებობს სასამართლო?

**შენ ტე.** ამ კაცს უმუშავია და ხელცარიელი ხომ არ წავა. მერედა, ცოლ-შვილი ჰყავს. სამარცხვინოა, რომ არ შემოიძლია ფული გადაუხადო! რას იტყვიან ღმერთები?

**კაცი.** შენ შენი წილი გაიღე, როცა ჩვენ შეგვიკედლე, ის კი არადა, საკმარისზე მეტიცაა.

*(შემოდის კოჭლი კაცი და ორსული ქალი.)*

**კოჭლი (წყვილს).** ოჰ, თქვენ აქა ხართ! თქვენცა ხართ რა პატიოსანი ნათესავები! გვაყურყუტებთ ქუჩის კუთხეში.

**ქალი (შეცბუნებული მიმართავს შენ ტეს).** ჩემი ძმა ვუნგი და რძალია. *(ორივეს.)* ნუ ილანძღებით და წყნარად დასხედით. კუთხეში, ვინძლო ფროილაინ შენ ტეს, ჩვენს ძველ მეგობარს, ხელი არ შეეუშალოთ. *(შენ ტეს.)* ვფიქრობ ორივეს დატოვება მოგიწევთ, რადგან რძალი უკვე მესუთე თვეშია. იქნებ შენ სხვა აზრისა ხარ?

**შენ ტე.** კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

**ქალი.** მადლობა გადაიხადეთ. ჯამები იქ აწყვია. *(შენ ტეს.)* ამათ საერთოდ არ იცოდნენ, რა გზას დადგომოდნენ. კარგია, რომ მაღაზია გაქვს!

**შენ ტე (ღიმილით მიმართავს ხალხს, თან ჩაი მოაქვს).** დიას, კარგია, რომ მაღაზია მაქვს.

*(შემოდის მეპატრონე ქალბატონი მი ტჩიუ, ბლანკით ხელში.)*

**სახლის მეპატრონე ქალი.** ფროილაინ შენ ტე, მე სახლის მეპატრონე გახლავართ, ქალბატონი მი ტჩიუ. იმედი მაქვს, ჩვენ ერთმანეთს კარგად შევეთვისებით. ეს დაქირავების ხელშეკრულებაა. *(ვიდრე შენ ტე ხელშეკრულებას ჩაიკითხავს.)* მშვენიერი სამახსოვრო წამებია, იხსნება პატარა საწარმო, ხომ მართალია პატივცემულნი? *(იქაურობას თვალს მოაქვებს.)* მართალია, თაროები ჯერ დაცარიელებულია, მაგრამ ყველაფერი კარგად იქნება. შეგიძლიათ რამდენიმე რეკომენდაცია მაინც წარმოგვიდგინოთ?

**შენ ტე.** განა ეს საჭიროა?

**სახლის მეპატრონე ქალი.** კი მაგრამ, მე ხომ ვიცი თქვენ ვინა ხართ.

**კაცი.** რას იტყვით, ფროილან შენ ტეს ჩვენ რომ დაგუდგეთ თავდებად? შენ ტეს მას შემდეგ ვიცნობთ, რაც იგი ქალაქში ჩამოვიდა, და მზად ვართ მისთვის ცეცხლში ჩავარდეთ.

**სახლის მეპატრონე ქალი.** მერედა თქვენ ვინა ხართ?

**კაცი.** მე თამბაქოს მწარმოებელი მა ფუ ვარ.

**სახლის მეპატრონე ქალი.** სადაა თქვენი მაღაზია?

**კაცი.** ამ წუთს არავითარი მაღაზია არა მაქვს. რომ იცოდეთ მაღაზია ეს-ესაა გავეციდე.

**სახლის მეპატრონე ქალი.** თქვენ უნდა გყავდეთ ისეთი ვინმე, ვინც თავდებობას იკისრებს, რომ სახლში გიშვებთ. ჩემო ძვირფასო, ეს საპატიო სახლია. თავდებობის გარეშე, საერთოდ, არ შემიძლია თქვენთან ხელშეკრულების დადება.

**შენ ტე** (*ნელა, თვალები ძირს აქვს დახრილი*). მე ერთი ბიძაშვილი მყავს.

**სახლის მეპატრონე ქალი.** ოჰ, ბიძაშვილი გყავთ. აქ ცხოვრობს? მაშინ შეგვიძლია ახლავე მასთან წავიდეთ. რა მოხელეა?

**შენ ტე.** იგი აქ არ ცხოვრობს. სხვა ქალაქშია.

**ქალი.** შენ გითქვამს კიდევ ქალაქ შუნში ცხოვრობსო?

**შენ ტე.** ბატონი შუი ტა, შუნში!

**კაცი.** მეც ვიცნობ! მაღალი და გამხდარია.

**ძმისშვილი** (*დურგალს*). თაროების თაობაზე თქვენც ხომ აგრეთვე ფროილან შენ ტეს ბიძაშვლთან გქონდათ მოლაპარაკება!

**დურგალი** (*ბურტყუნით*). სწორედ ეს-ესაა მისთვის ანგარიში გამოვწერე. აი! (*ანგარიშს გადასცემს*) ხვალ დილით ადრე მოვალ! (*მიდის*)

**ძმისშვილი** (*დურგალს მიაყვირებს, თან აღმაცერად სახლის მეპატრონე ქალს უცქერის*). შეგიძლიათ სრულიად დამშვიდებული იყოთ, ბატონი ბიძაშვილი ფულს გადაგიხდით.

**სახლის მეპატრონე ქალი.** *(გამგვირავად, ათვალეურებს შენ ტეს).* მაშ, ასე, მეც მოხარული ვიქნები გავიცნო თქვენი ბიძაშვილი. სადამო მშვიდობისა, ფროილან!  
*(მიდის.)*

**ქალი** *(რამდენიმე ხნის შემდეგ).* ახლა ყველაფერს ფარდა აეხდება! შეგიძლია დარწმუნებული იყო, ხვალ დილით ადრე, ამას შენს შესახებ ყველაფერი ეცოდინება.

**ფეხშიმე** *(ხმადაბლა ძმიშვილი).* აქ დიდხანს ვერ გავძლებო.

*(შემოდის მოხუცი კაცი, რომელიც ბიჭს მოჰყავს.)*

**ბიჭი** *(ზურგიდან).* ისინი აქ არიან.

**ქალი.** გამარჯობა, ბაბუა. *(შენ ტეს.)* კეთილი მოხუცია. ჩვენი დარდით მოკვდებოდა. ბიჭიც ხომ ძალიან დიდი გაიზარდა? აბრეშუმის ჭიასავით სულ ჭამს. კიდევ ვინმე მოიყვანეთ?

**კაცი** *(გარეთ იხედება.)* ძმისშვილი გოგოს გარდა არავინ.

**ქალი.** *(შენ ტეს).* სოფლიდან ჩამოსული ახალგაზრდა ნათესავია. იმედია, ძალიან ბევრი არ ვიქნებით შენთვის. ჩვენთან რომ ცხოვრობდი, მაშინაც ასე ბევრი არ ვიყავით? ხომ ასეა? დიახ. ჩვენ სულ უფრო და უფრო გავმრავლდით. რამდენადაც საქმე ცუდად მიდიოდა, იმდენად უფრო ვმრავლდებოდით და რამდენადაც უფრო მრავლდებოდით, საქმე იმდენად ცუდად მიდიოდა. ახლა კი კარს ურღული გავუყვართ, თორემ სულერთია, არ მოგვასვენებენ.

*(კარს კეტავს და ყველანი სხდებიან.)*

მთავარია ის, რომ საქმეში ხელი არ შეგიშალოთ. თორემ სხვაგვარად კერაზე ცეცხლი არ დაინთება. ამიტომ ასეთი რამე მოვიფიქრეთ: დღისით ახალგაზრდები წავლენ, მხოლოდ ბაბუა, რძალი და, შესაძლებელია, მე დავრჩეთ. დანარჩენები გზად დიდი დიდი ერთხელ ან ორჯერ შემოვივლიან, ხომ ასეა? ახლა კი ღამფა ავანთოთ და მოხერხებულად მოვეწყით.

**ძმისშვილი** *(იუმორით).* მხოლოდ ამ ღამით არ გამოგვეცხადოს მრისხანე ბატონი შუი ტა! *(რძალი იცინის.)*

**ძმა** *(სივარეტს მისწვდება).* ერთი ცალით არც არაფერი დაშავდება!

კაცი. ნამდვილად არაფერი.

*(ყველანი ეწვეიან. ძმა ღვინის კათხას გადააწვდის ჩამოსატარებლად.)*

**ძმისშვილი.** ბიძაშვილი გადაიხდის!

**ბაბუა** *(სერიოზულად მიმართავს შენ ტეს.)* გამარჯობა! *(შენ ტე დაბნეულია ასეთი დაგვიანებული საღმით, თვითონაც მიესალმება. ერთ ხელში დურგლის ანგარიში უჭირავს, მეორეში დაქირავების ხელშეკრულება.)*

**ქალი.** არ შეგიძლიათ რაიმე იმდეროთ, მასპინძელი რომ გავართოთ?

**ძმისშვილი.** ბაბუა დაიწყებს!

*(ისინი მღერიან.)*

**სიმღერა კვამლზე.**

**ბაბუა.**

ვიდრე სიბერემ თმები თეთრად არ დამიბარდნა,  
ვფიქრობდი, ქვეყნად სიბრძნე იყო ყოველად ძლიერი.  
მაგრამ ამ რწმენამ არასოდეს არ გამიმართლა  
და ახლა მივხვდი, რას თხოულობს კუჭი მშიერი.

ამიტომაც ვამბობ, კმარა ტვინის ჭყლეტა,  
შეხე, რუხი კვამლი როგორ იწევს მაღლა.  
მიდის, უერთდება ის გაყინულ სივრცეს,  
შენც ასევე წახვალ.

**კაცი**

როცა შევხედე, როგორ აწევს მართალ კაცს ტვირთი,

მე ვამჯობინე დახლართული სხვა ბილიკები,  
ჩემისთანების გზები მაინც სულ დაღმა მიდის  
და აღარ ვიცი ვის შევჩივლო ჩემი ფიქრები.

ამიტომაც ვამბობ, კმარა ტვინის ჭყლეტა,  
შეხე, რუხი კვამლი, როგორ იწევს მაღლა,  
მიდის, უერთდება ის გაყინულ სივრცეს,  
შენც ასევე წახვალ.

**ძმისშვილი (ქალი).**

მოხუცს ნურაფრის იმედი აქვს, ყური მოგკარი,  
რადგან იმედებს მხოლოდ დრო ქმნის და დროვე გვართმევს,  
ყური მოგკარი, ახალგაზრდებს ღია გვაქვს კარი,  
არარაობის ჭიშკარია ის კარი ფართე.

ამიტომაც ვამბობ, კმარა ტვინის ჭყლეტა,  
შეხე, რუხი კვამლი, როგორ იწევს მაღლა,  
მიდის უერთდება ის გაყინულ სივრცეს,  
შენც ასევე წახვალ.

**ძმისშვილი.** დვინო საიდან იშოვე?

**რძალი.** კაცმა თამბაქოიანი ტომარა დააგირავა.

**კაცი.** რაო? ეს თუთუნი იყო ერთადერთი, რაც ჩვენ შემოგვრჩა! ღამის გასათევი  
ფული არ გვქონდა, მაგრამ თუთუნისთვის მაშინაც არ გვიხლია ხელი! შე ღორო,  
შენა!

**ძმა.** ღორს მიწოდებ იმისათვის, რომ ჩემს ცოლს ცივა? და შენ თვითონაც ხომ ყლურწავდი. ამწუთსავე აქ მომეცი ეგ კათხა!

*(ძიბვილობენ. თუთუნის თაროები ჩამოიქცევა.)*

**შენ ტე.** *(მუდართით).* ო, მაღაზიას რაღას ერჩით, ყველაფერს ნუ დაამსხვრევთ! ეს ხომ ღმერთების საჩუქარია! ყველაფერი წაიღეთ, რაც მახადია, მაგრამ დამსხვრევით, ნუ დაამსხვრევთ!

**ქალი** *(სკეპტიკურად).* მაღაზია უფრო პატარაა, ვიდრე წარმომედგინა, დეიდასთვის და სხვებისთვისაც არაფერი არ უნდა გვეთქვა. თუ ისინიც აქ მოვიდნენ, მაშინ იკითხე, სივიწროვე.

**რძალი.** მასპინძელიც უკვე რაღაც ოდნავ ცივი გახდა.

**ხმები.** გააღეთ! ეს ჩვენა ვართ!

**ქალი.** დეიდა შენა ხარ? რაღა ვქნათ, რა გვეშეველბა?

**შენ ტე.** ჩემო ღამაზო მაღაზიავ! ჩემო იმედო! ჯერ ხეირიანად არც კი გამიღია და მაღაზია უკვე დააქციეს! *(ხალხს.)*

მაშველი ნავი, პატარა ნავი,

წყლის ფსკერისაკენ დაეშვა უცებ

და დასახრჩობად განწირულები

ჩაებლაუჭნენ ქაჩოზე ხარბად.

**ხმები** *(გარედან).* გააღეთ.

**ინტერმედია ხიდის ქვეშ.**

მდინარის პირას მეთულუხე დაყუნცულა.

**ვანგი** *(ირგვლივ იხედება).* სიწყნარეა. უკვე ოთხი დღეა, რაც ვიმალები, ისინი ვერ მიპოვნიან, რადგან თვალი მიჭრის. განგებ გავიქეცი იმ მიმართულებით, საითკენაც ისინი უნდა წასულიყვნენ. ხიდი გუშინ გადაიარეს, თავს ზევით მესმოდა მათი

ნაბიჯების ხმა. ახლა ისინი უკვე შორს უნდა იყვნენ, მათგან არავითარი საფრთხე აღარ მელოდება.

*(წვება და იძინებს. მუსიკა. ფერდობი ნათდება და ღმერთები გამოჩნდებიან.)*

*(სახეზე ხელს აიფარებს, თითქოს ვინმე ცემას უპირებდეს).* ნურაფერს მეტყვიო, თვითონვე ვიცი ყოველივე ვერავინ ვიპოვნე ისეთი, ვინც თქვენს მიღებას ისურვებდა. არც ერთმა სახლმა ეს არ ინება! ახლა თქვენ ყველაფერი იცით! ახლა შეგიძლიათ გზა განაგრძოთ!

**პირველი ღმერთი.** არა, შენ ვიღაცა იპოვე, როცა წახვედი. იგი მოვიდა. წაგვიყვანა და თავის სახლში ღამე გაგვათევინა. იგი დარაჯობდა ჩვენს ძილს, მანვე გაგვინათა ღამფით გზა მეორე დილით, როცა იქაურობას ვტოვებდით. შენ მას უწოდე კეთილი ადამიანი და მართლაც კეთილი აღმოჩნდა.

**ვანგი.** იგი ხომ შენ ტე იყო, თქვენ რომ შეგიფარათ?

**მესამე ღმერთი.** რასაკვირველია.

**ვანგი.** მე ურწმუნომ კი, გაქცევა ვამჯობინე! ვიფიქრე, შენ ტე აღარ მოვა-თქო. მისი საქმეები ცუდად მიდის და ამიტომ აღარ მოვა-თქო.

**ღმერთები.**

ო, შე უძღურო!

ფიქრნათელო, მაგრამ მაინც შე უძღურო ადამიანო... ის ფიქრობს ასე, სადაც არის გაჭირვება, იქ სიკეთეს არ აქვს ადგილი, საშიშროება, სადაცაა, მისი ფიქრით, სიმამაცე იქ არ არსებობს, უსუსურობავ, შენ რომ ყველაფერს ჩაჰკირკიტებ, ასე წვრილმანად, სწრაფო, ზერელე განაჩენო, ოი, სასოწარკვეთილებავ!

სირცხვილით ვიწვი, ნათელმოსილნო!

**პირველი ღმერთი.** ახლა კი მეთუღუხევე, დაგვდე პატივი დაბრუნდი უკან. დედაქალაქში; ნახე კეთილი შენ ტე და მისი ამბავი შეგვატყობინე. იგი ახლა კარგადაა. მგონი პატარა მაღაზიისათვის ფულიც იშოვა. ასე რომ, ახლა მას საგსებით შეუძლია თავისი კეთილი გულის კარნახს მიჰყვეს. გამოიჩინე ინტერესი მისი სიკეთისადმი, რადგან არავის ძალუძს დიდხანს იყოს კეთილი, როცა მისგან



სიკეთეს არ მოითხოვენ. ჩვენ კი გზას განვაგრძობთ, ვეძიებთ და ვიპოვით სხვა ადამიანებსაც, რომლებიც ჩვენი სეჩუანელი კეთილი ადამიანის მსგავსი იქნებიან, მაშინ იქნებ აღარ ილაპარაკონ, თითქოს კეთილ ადამიანებს ჩვენს დედამიწაზე აღარ ეცხოვრებათ.

*(ღმერთები უჩინარდებიან.)*

2

თამბაქოს მაღაზია. ირგვლივ ხალხს სძინავს, ღამფა ისევ ანთია. აკაკუნებენ.

**ქალი.** *(ნამძინარევი წამოდგება).* შენ ტე! ვიღაცა აკაკუნებს! ნეტავი სად წავიდა?

**ძმისწული.** ალბათ საუზმეს მოიტანს. ფულს ბატონი ბიძაშვილი გადაიხდის!

*(ქალი იცინის და კარისკენ წაფრატუნდება. შემოდის ახალგაზრდა ბატონი, უკან დურგალი მოჰყვება.)*

**ახალგაზრდა ბატონი.** მე ბიძაშვილი ვარ.

**ქალი** *(ციდან ჩამოვარდნილივით).* ვინ ბრძანდებით?

**ახალგაზრდა ბატონი.** ჩემი სახელია შუი ტა.

**სტუმრები** *(ერთმანეთს შევლიან წამოდგომაში).* ბიძაშვილი! მაგრამ ეს ხომ ხუმრობა იყო, შენ ტეს არავითარი ბიძაშვილი არ ჰყავს! მაგრამ აი, მოვიდა ვიღაცა, რომელიც ამბობს, ბიძაშვილი ვარო! დაუჯერებელია. და ისიც ასე უთენია დაგვადგა თავზე!

**ძმისწული.** და თქვენ მასპინძლის ბიძაშვილი ხართ, ბატონო, მაშინ სასწრაფოდ საუზმე გაგვიჩინე!

**შუი ტა** *(ღამფას ჩაქრობს).* სადაცაა პირველი კლიენტები მოვლენ, სწრაფად ჩაიცვით, რომ ჩემი მაღაზიის გაღება შევძლო.

**კაცი.** თქვენი მაღაზიის? მე ვფიქრობ, ეს მაღაზია ჩვენს მეგობარ შენ ტეს ეკუთვნის! *(შუი ტა თავს გააქნევს.)* რაო, ეს მაღაზია მას არ ეკუთვნის?

**რძალი.** ესე იგი, შენ ტემ მოგვატყუა! ნეტავი თვითონ სად იკარგება?

**შუი ტა.** შენ ტეს დაავიანდება. მან მოხოვა თქვენთვის გადმომეცა, მანდ ჩემი ბიძაშვილის მოსვლის შემდეგ თქვენთვის არაფრის გაკეთება აღარ შემიძლიაო.

**ქალი** (*შეშფოთებული*). ჩვენ კი მას კეთილ ადამიანად ვთვლიდით!

**ძმისშვილი.** ამას ნუ დაუჯერებთ! შენ ტე მოვძებნოთ!

**კაცი.** დიას, ასედაც მოვიქცევით. (*იგი განკარგულებებს იძლევა.*) შენ, შენ, შენა და შენ, შენ ტეს მოძებნით. ჩვენ ბაბუასთან ერთად აქ დავრჩებით, რათა ციხესიმაგრე დავიცვათ. ბიჭი კი ამ ხანში საჭმლისთვის იზრუნებს. (*ბიჭს.*) ხედავ საფუნთუშეს აი იქ, კუთხეში? როგორმე შეძვერი და უბე კარგა ზორბად აივსე.

**რძალი.** ერთი-ორი ცალი პატარა თეთრი ნამცხვარიც წამოიღე! იცოდე, გაფრთხილდი, მეფუნთუშემ არ ჩაგავლოს და ნურც პოლიციელს გადაეყრები გზაზე!

(*ბიჭი თავს აქნევს და მიდის. დანარჩენები ჩაცმას ამთავრებენ.*)

**შუი ტა.** როგორ ფიქრობთ, ფუნთუშების მოპარვა, იმ მაღაზიას, რომელმაც თქვენ თავშესაფარი მოგცათ, სახელს არ გაუტეხს?

**ძმისშვილი.** მაგ კაცს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, შენ ტეს მალე ვიპოვით, შენ ტე ახდის მაგას ნიღაბს.

(*ძმისშვილი ძმა, რძალი და ძმისწული ქალი გადიან.*)

**რძალი.** (*სიარულში*). საუზმიდან რაიმე გვარგუნეთ!

**შუიტა** (*წენარად*). თქვენ მას ვერ იპოვით. ჩემს ნათესავს რასაკვირველია, გული წყდება, რომ სტუმარ-მასპინძლობის ადათ-წესების უსაზღვრო მოთხოვნილებები ბოლომდე ვერ დაიცვა. მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენ ძალიან ბევრნი ხართ! ეს არის თამბაქოს მაღაზია და ფროილაინ შენ ტემ ამითი უნდა იცხოვროს.

**კაცი.** ჩვენ შენ ტეს ამდაგვარი რამ არც წამოცდებოდა.

**შუი ტა.** თქვენ შეიძლება მართალი ხართ. (*დურგაღს.*) მთელი უბედურება ის არის, რომ ამ ქალაქში გაჭირვება იმდენად დიდია, – ერთი კაცი მასთან ვერაფერს

გახდება; სამწუხაროა ისიც, რომ თერთმეტი საუკუნის განმავლობაში არაფერი შეცვლილა მას შემდეგ, ვიღაცამ ეს ოთხტაეპიანი ლექსი რომ დაწერა:

რაა საჭირო?! – გუბერნატორს დაუსვებს კითხვა,

რომ სიცივით არ გაიყინოს მთელი ქალაქი?

– „ათი ათასი ფეხისათვის გრძელი საბანი,

რომელიც სულ მთლად დაფარავდა მთელ გარეუბანს!“

*(შუი ტა მღაზიის დაღაგებას იწყებს).*

**დურგალი.** მე ვხედავ, რომ ცდილობთ თქვენი ნათესავის საქმეები მოაწესრიგოთ. აი, აგერ, თაროებისათვის რაღაც პატარა ვაღია გადასახდელი, მოწმეების თვალწინ დაწერილი და მათ მიერვე დამოწმებული 100 ვერცხლის დოლარია.

**შუი ტა** *(ჯიბიდან ანგარიშს იღებს, დურგალს არცთუ მაინცდამაინც მეგობრული ტონით.)* ხომ არ ფიქრობთ, რომ 100 ვერცხლის დოლარი ძალიან ბევრია?

**დურგალი.** არა. და ვერც ვერაფერს დაუუკლებ. მე ცოლი და შვილები მყავს სარჩენი.

**შუი ტა** *(მკვახედ).* რამდენი ბავშვი გყავთ?

**დურგალი.** ოთხი.

**შუი ტა.** მაშინ მე 20 ვერცხლის დოლარს გთავაზობთ.

*(კაცი იცინის.)*

**დურგალი.** თქვენ რა, ჭკუიდან ხომ არ შეცდით? თაროები კაკლის ხისგანაა გაკეთებული!

**შუი ტა.** მაშინ შეგიძლიათ წაიღოთ ისინი.

**დურგალი.** ეს რას ნიშნავს?

**შუი ტა.** რას და, ეს თაროები ჩემთვის ძვირია. გთხოვთ კაკლის თაროები თავიდან მომაცილოთ.

**ქალი.** კარგად ჩააკმენდინა ხმა. *(ისიც იცინის).*

**დურგალი.** *(გაუბედავად)*, მე მოვითხოვ, ფროილან შენ ტე მოიყვანოთ. ეჭვი არ მეპარება, იგი უკეთესი ადამიანია, ვიდრე თქვენ.

**შუი ტა.** რასაკვირველია, მაგრამ იგი გაკოტრდა.

**დურგალი** *(ხწრაფად დაავლებს ხელს ერთ თაროს, კართან მიიტანს)*. ახლა შეგიძლიათ თქვენი პაპიროსები იატაკზე დააწყოთ! ჩემთვის სულ ერთია.

**შუი ტა** *(კაცს)*. მიეხმარეთ!

**კაცი** *(ერთ თაროს წამოაღებს ხელს და კარიკსენ მიაქვს, თან იღრიჭება)*. მაშ ასე, შენი თაროებიანად მოუსვი აქედან!

**დურგალი.** ძაღლო! ჩემი ოჯახი შიმშილით უნდა ამოწყდეს?

**შუი ტა.** ერთხელ კიდევ გთავაზობთ 20 ვერცხლის დოლარს,

რადგან არ მსურს ჩემი პაპიროსები იატაკზე დაგაწყო.

**დურგალი.** ასი!

*(შუი ტა გულგრილად იცქირება ფანჯარაში. კაცი ემზადება კიდევ გაიტანოს თარო.)*

კარზე ნუ მიამსხვრევ, იდიოტო! *(სახოწარკვეთილი)* მაგრამ თაროები ხომ ერთ ზომაზეა დაჭრილი! ისინი მხოლოდ ამ სოროსთვის გამოდგება და სხვაგან არსად. ფიცრები დაჭრილია, ბატონო!

**შუი ტა.** მართალი ხართ. ამიტომაც გთავაზობთ 20 ვერცხლის დოლარს, რომ ფიცრები დაჭრილია.

*(ქალი კმაყოფილებისაგან ცქმუტავს)*.

**დურგალი** *(უცებ დადლილი)*. მეტი აღარ შემიძლია. წაიღეთ თაროები და რაც გსურდეთ, ის გადამიხადეთ.

**შუი ტა.** ოცი ვერცხლის დოლარი.

*(ჯიბიდან ორ დიდ მონეტას იღებს და მაგიდაზე დებს. დურგალი იღებს.)*

**კაცი** *(თაროები უკან შემოაქვს)*. ერთმანეთზე ახორავებული დაჭრილი ფიცრებისათვის საკმარისია!

**დურგალი.** დიას, საკმარისია, ალბათ ჩემს დასათრობად! *(მიდის.)*

**კაცი.** იგი უკვე მივაბრძანეთ!

**ქალი** *(სიცილისაგან თვალებზე მომდგარ ცრემლებს იმშრალებს).* „კაკლის ხისგანააო! „-“ თაროებს წავიდებო! „ – „ ასი ვერცხლის დოლარიო! „-“ ოთხი ბავშვი მყავსო! „ –“ მაშინ 20 ვერცხლის დოლარს გიხდით! „-“ მაგრამ ფიცრები ხომ დაჭრილიაო! „-“ მართალი ხარ! „20 ვერცხლის დოლარიო!“ ამგვარ ტიპებს ასე უნდა მოექცე.

**შუი ტა** *(სერიოზულად).* აიბარგენით.

**კაცი.** ჩვენ?

**შუი ტა.** დიას, თქვენ. სწორედ თქვენა ხართ ქურდები და მუქთამჭამელები. თუკი თქვენ სწრაფად აიბარგებით და ლაპარაკისათვის დროს არ დაკარგავთ, კიდევ შეგიძლიათ თავს უშველოთ.

**კაცი.** ყველაზე უკეთესია, ხმასაც თუ არ გავცემთ. შიმშილით კუჭი მიხმება და რა დროს ყვირილია. ნეტავი ვიცოდე, ის ბიჭი სადღა დაიკარგა?

**შუი ტა.** ჰო, სად დაიკარგა ბიჭი? მე უკვე გითხარით, მოპარული ნამცხვრებით ჩემს მაღაზიაში არ შემოვუშვებ-მეთქი. *(უცებ იყვირებს.)* ერთხელ კიდევ გიმეორებთ: წაეთრიეთ!

*(არც ერთი ადგილიდან არ იძვრის.) (კვლავ მშვიდად).* როგორც თქვენ გსურდეთ! *(კართან მივა და წელში მოხრილი ვიღაცას ესალმება. კარებში პოლიციელი გამოჩნდება.)*

ვიმედოვნებ ჩემ წინ დგას მოხელე, რომელიც ამ უბანს იცავს.

**პოლიციელი.** მართალს ბრძანებთ, ბატონო...

**შუი ტა** *(ერთმანეთს უღიმიან).* სასიამოვნო ამინდია დღეს!

**პოლიციელი.** მხოლოდ ცოტათი ცხელა.

**შუი ტა** შეიძლება ცხელა კიდევ.

კაცი (ხმადაბლა ცოლს). ამან რომ ლათია გააბას იქამდე. ვიდრე ბიჭი დაბრუნდება, ნაღდად გაგვბაწრავენ.

(კაცი ცდილობს, შუი ტას მალულად რაღაცა ანიშნოს.)

შუი ტა (კაცს ყურადღებას არ აქცევს). არის თუ არა განსხვავება, სად აფასებ კაცი ამინდს, გრილ შენობაში თუ მტვრიან ქუჩაში.

პოლიციელი. დიდი განსხვავებაა.

ქალი (კაცს). დამშვიდდი! ბიჭი კარებში ჩამდგარ პოლიციელს რომ დაინახავს, არ შემოვა.

შუი ტა. შემობრძანდით. აქ ნამდვილად გრილა. მე და ერთმა ჩემმა ნათესავმა მაღაზია გავხსენით, ნება მიბოძეთ შეგახსენოთ, რომ ჩვენ ძალიან დიდი მნიშვნელობას ვანიჭებთ რაც შეიძლება კარგი ურთიერთობა გვქონდეს ხელისუფლებასთან.

პოლიციელი. (შემოდის). თქვენ ძალიან კეთილი ბრძანდებით, ბატონო შუი ტა. დიას, აქ ნამდვილად გრილა.

კაცი (ხმადაბლა). განზრახ შემოიყვანა, ბიჭმა რომ პოლიციელი არ დაინახოს.

შუი ტა. სტუმრები არიან! როგორც მითხრეს, ჩემი ნათესავის შორეული ნაცნობები გახლავან. მოგზაურობენ და აქ გავლით არიან, (წელში იხრება.) ეს – ეს იყო სწორედ ერთმანეთს ვემშვიდობებოდით.

კაცი (ხრინწიანი ხმით). დიას, ეს-ეს იყო წასვლას ვაპირებდით.

შუი ტა. ჩემს ნათესავს გადავცემ, რომ თქვენ მადლობას უთვლით ღამის გათევისათვის. დრო კი არა გქონდათ დაგეცადათ, ვიდრე იგი დაბრუნდებოდა.

(ქუჩიდან ისმის ხმაური და ყვირილი: „ქურდი დაიჭირეს!“)

პოლიციელი. რა მოხდა?

(კარებში დგას ბიჭი. უბიდან პატარა კვერები და ნამცხვრები ეფანტება. ქალი ნირწამხდარი ანიშნებს, გარეთ გადიო. ბიჭი შებრუნდება და წასვლას დააპირებს.)

შეჩერდი! (ხელს ჩააგლებს.) ნამცხვარი ვინ მოგცა?

**ბიჭი.** აი, იქიდან მომაქვს.

**პოლიციელი.** ააა, მოიპარე ხომ?

**ქალი.** ჩვენ არაფერი ვიცოდით, ბიჭმა თვითნებურად ჩაიდინა ასეთი საქციელი. შე არამზადავ, შენა!

**პოლიციელი.** ბატონო შუი ტა, შეგიძლიათ ამიხსნათ რა ხდება?

*(შუი ტა დუმს).*

კეთილი ყველანი ჩემთან ერთად წამოსვალთ პოლიციის განყოფილებაში.

**შუი ტა.** ძალიან შეწუხებული ვარ, რომ ჩემს მაღაზიაში ასეთი რამ მოხდა.

**ქალი.** მან დაინახა, ბიჭი აქედან რომ გავიდა!

**შუი ტა.** მერწმუნეთ, ბატონო პოლიციელო, ქურდობის დაფარვა რომ მდომებოდა აქ არ მოგიწვევდით.

**პოლიციელი.** ეს ცხადია. თქვენც გამიგებთ, ბატონო შუი ტა, რომ ჩემი მოვალეობაა, ეს ხალხი წავიყვანო. *(შუი ტა წელში იხრება).* წინ გამიძეხით. *(გარეთ მიერეკება).*

**ბაბუა** (მშვიდობიანად კარის ზღურბლზე). ნახვამდის.

*(შუი ტას გარდა, ყველანი გადიან. შუი ტა იქაურობის დალაგებას განაგრძობს. შემოდის სახლის მეპატრონე ქალი).*

**სახლის მეპატრონე ქალი.** მაშ ასე, თქვენ ბრძნადებით ის ბატონი ბიძაშვილი! რას უნდა ნიშნავდეს ის, რომ ჩემი სახლიდან პოლიციელს ხალხი მიჰყავს? როგორ მოახერხა თქვენმა ნათესავმა ყველა გამგლეღ-გამომგლეღისათვის იქ ღამის გასათევი ბინა მიეცა? ასეა, როცა სახლში ისეთ ადამიანს შემოუშვებ, რომელიც გუშინ სოროში ცხოვრობდა, ხოლო კუთხეში მცხოვრებ მეფუნთუშეს ფეტვის კვერს სთხოვდა! ხედავთ, მეც რაღაც რაღაცეები ვიცი.

**შუი ტა.** ვხედავ. ჩემი ბიძაშვილის შესახებ, თქვენთვის ბევრი ცუდი რამ უამბნიათ, მას ბრალს სდებენ, შიმშილობდა! საყოველთაოდ ცნობილია, რომ იგი სიღარიბეში

ცხოვრობდა, მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი ცუდი რეპუტაცია აქვს: სულს ძლივს მიათრევს!

**სახლის მეპატრონე ქალი.** ოჰ, გემუდარებით, ყოველგვარი სენტიმენტალობის გარეშე! მე ვლაპარაკობ მის ყოფაქცევაზე და არა მის შემოსავალზე. ეჭვიც არ მეპარება, რომ გარკვეული შემოსავალი ჰქონდა. სხვაგვარად კი მაღაზიასაც არავინ მისცემდა. ზოგიერთმა მოხუცმა ვაუბატონმა იზრუნა ამისათვის. საიდან მიიღო მაღაზია? ბატონო, ეს დარბაისლური სახლია! ხალხს! ხალხს, რომელიც აქ ბინის ქირას იხდის, არ სურს, ასეთ პიროვნებასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება, დიას! (პაუზა.) მტარვალნი კი არა ვარ. მაგრამ ყველაფერი ხომ უნდა გავითვალისწინო.

**შუი ტა (ცივად).** ქალბატონი მი ტჩიუ, მე დრო არა მაქვს. მითხარით პირდაპირ, რა ელირება ამ დარბაისლურ სახლში ცხოვრება?

**სახლის მეპატრონე ქალი.** უნდა მოგახსენოთ, რომ სხვათა შორის თქვენც ცივსისხლიანი ხართ!

**შუი ტა (დახლიდან ბინის დაქირავების ხელშეკრულება ამოიღო).** ქირა ძალიან ძვირია. ამ ხელშეკრულებიდან ასეთი დასკვნა გამოვიტანე, რომ ქირა ყოველთვიურადაა გადასახდელი.

**სახლის მეპატრონე ქალი (სწრაფად).** მაგრამ არა ისეთი ადამიანებისათვის, როგორც თქვენი ბიძაშვილია.

**შუი ტა.** ეს როგორ უნდა გავიგოთ?

**სახლის მეპატრონე ქალი.** როგორ და, ისეთი ადამიანები, როგორც თქვენი ბიძაშვილია, ნახევარი წლის ბინის ქირას, 200 ვერცხლის დოლარს წინასწარ იხდიან.

**შუი ტა.** 200 ვერცხლის დოლარი! ბარემ ცოცხლად შემჭამე! საიდან მოვიტანო ამდენი ფული დიდი ადებ-მიცემობის იმედი აქ მე არ მაქვს. ერთადერთ იმედს ცემენტის ქარხნის ტომრების მეკრავ მუშა ქალებზე ვამყარებ, საოცრად ბევრს ეწვეიან, როგორც მითხრეს, სამუშაო ძალიან მომქანცველი აქვთ.

**სახლის მეპატრონე ქალი.** ამაზე აქამდე უნდა გეფიქრათ.



**შუი ტა.** ჩემმა ბიძაშვილმა მიუტყვებელი შეცდომა დაუშვა, გაუბედურებულ ხალხს თავშესაფარი რომ მისცა, მაგრამ მას შეუძლია გამოსწორდეს, მე ვიზრუნებ, რომ იგი გამოსწორდეს მეორე მხრივ, როგორ შეგიძლიათ თქვენ, ჩემს ბიძაშვილზე უკეთესი მდგმური იშოვოთ? იგი ხომ დაბალი ფენების ცხოვრებას იცნობს, რადგან თვითონ წარმოშობით დაბალი წრიდანაა?! ჩემი ბიძაშვილი იმდენს იმუშავებს, ხელის გულზე ტყავს გადაიდრობს, რათა ბინის ქირა დროზე გადაგიხადოთ, ყველაფერს გააკეთებს, ყველაფერის შემოგწირავთ, ყველაფერს გაყიდის, არაფრის წინაშე არ შედრკება, და ამასთანავე, ისეთი წყნარი იქნება, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამს, ყველაფერს დაგიჯერებთ, ოღონდ იქ აღარ დაბრუნდეს. ასეთი მდგმური ოქროზე ძვირფასია.

**სახლის მეპატრონე ქალი.** 200 ვერცხლის დოლარი წინასწარ, ან არადა თქვენი ბიძაშვილი კვლავ ქუჩას დაუბრუნდება, საიდანაც მოვიდა.

*(შემოდის პოლიციელი.)*

**პოლიციელი.** ხელს ხომ არ შეგიშლით, ბატონო შუი ტა!

**სახლის მეპატრონე ქალი.** პოლიცია ნამდვილად, რაღაც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ამ მაღაზიისადმი.

**პოლიციელი.** ქალბატონო მი ტჩიუ, შემიძლია დაგემოწმოთ, რომ თქვენ მართალს ბრძანებთ. ბატონმა შუი ტამ ჩვენ დიდი სამსახური გაგვიწია, და მეც მხოლოდ იმიტომ მოვედი, პოლიციის სახელით მადლობა გამოვუცხადო.

**სახლის მეპატრონე ქალი.** ეს მე არ მეხება. ვიმედოვნებ ბატონო შუი ტა, ჩემი წინადადება თქვენს ბიძაშვილს მოეწონება. მე მიყვარს დამქირავებლებთან ურთიერთგაგების ატმოსფეროში ცხოვრება. ნახვამდის, ჩემო ბატონო! *(მიდის).*

**შუი ტა.** ნახვამდის, ქალბატონო მი ტჩიუ.

**პოლიციელი.** რაიმე უთანხმოება გაქვთ ქალბატონ მი ტჩიუსთან?

**შუი ტა.** ბინის ქირას წინასწარ მოითხოვს, რადგან ჩემი ბიძაშვილი თვალში არ მოსდის.

**პოლიციელი.** მერედა, თქვენ ფული არა გაქვთ? *(შუი ტი დუმს.)*

თქვენისთანას, ბატონო შუი ტა, რაღაც კრედიტის გამონახვა ხომ უნდა შეეძლოს?

**შუი ტა.** შესაძლებელია, მაგრამ როგორ უნდა შესძლოს კრედიტის გამონახვა ისეთმა ადამიანმა, როგორიც შენ ტე არის?

**პოლიციელი.** თქვენ რა, აქ აღარ აპირებთ დარჩენას?

**შუი ტა.** არა, და არც უკან ჩამოსვლა შემიძლია. მხოლოდ გავლით შემეძლო ბიძაშვილისათვის დახმარების ხელი გამეწვდინა, რადგან უფრო უარესისაგან დამეფარა. მალე იგი საკუთარი თავის წინაშე თვითონ იქნება პასუხისმგებელი. სულ იმას ვფიქრობ, მაშინ რაღა ეშველება.

**პოლიციელი.** ბატონო შუი ტა, ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენ ბინის ქირასთან დაკავშირებით სიძნელები შეგხვდათ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ თავდაპირველად ამ მაღაზიას ეჭვის თვალით ვუცქეროდით, მაგრამ თქვენმა მოქმედებამ დაგვანახა, რა კაციც ბრძანდებით. ჩვენ, ხელისუფალნი, სწრაფად ვხვდებით, ვინ შეიძლება წესრიგის დამცველების ბურჯად მივიჩნიოთ.

**შუი ტა** *(ნაღვლიანად)*. ბატონო ჩემო, ეს პატარა მაღაზია რომ გადავარჩინო, რომელიც ჩემს ბიძაშვილს ღმერთების საჩუქრად მიანიხია, მზადა ვარ ყველაფერი გავაკეთო, რის ნებასაც კანონი დამრთავს. მაგრამ სიმკაცრე და მზაკვრობა მხოლოდ დაბეჩავებულების წინააღმდეგ გამოიყენება, რადგან საზღვრები ჭკვიანურადაა გავლებული. მე ვგავარ იმ ადამიანს, რომელიც ზღვას გადაურჩა, მაგრამ ცვარმა დაახრჩო! *(პატარა პაუზის შემდეგ)* ეწევით?

**პოლიციელი** *(ორ სიგარეტს ჯიბეში იღებს)*. ჩვენთვის ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის, ძალიან უსიამოვნო იქნებოდა თქვენისთანა კაცის დაკარგვა, ბატონო შუი ტა. მაგრამ თქვენ ქალბატონ მი ტჩიუსაც უნდა გავუგოთ. თავს ნუ გავისუფლებთ და გულახდილად ვთქვათ. შენ ტე ხომ საკუთარი სხეულით ვაჭრობდა და ასე ცხოვრობდა. თქვენ შეგიძლიათ შემედართ, მაშ რა უნდა ექნათ? მაგალითად, რითი უნდა გადაეხადა ბინის ქირაო? მაგრამ ფაქტი ჯიუტია: ეს არ არის დასაფასებელი საქციელი რატომ? პირველი: სიყვარულს არ ყიდნიან, სხვაგვარად ეს იქნებოდა ვაჭრული სიყვარული. მეორე: დავაფასოთ არა ის, ვინც სიყვარულისათვის ფულს იხდის, არამედ ვისაც სიყვარული შეუძლია. მესამე: არა ერთი მუჭა ბრინჯისათვის, არამედ სიყვარულის ხათრით. კეთილი,

მეტყვით თქვენ, რას შევლის ახლა ეს ბრძნულ-ბრძნული აზრები, როცა მოსახდენი უკვე მოხდა? როგორ უნდა მოიქცეს იგი? მან ხომ უნდა გადაიხადოს ნახევარი წლის ბინის ქირა? ბატონო შუი ტა, უნდა გითხრათ, ამის თაობაზე ვერაფერს გიპასუხებთ, *(მონდომებულად ფიქრობს)*. ბატონო შუი ტა, მოვიფიქრე! მოძებნეთ ვინმე კაცი თქვენი ბიძაშვილისათვის!

*(შემოდის ჩია ტანის დედაბერი.)*

**დედაბერი.** ჩემი ქმრისათვის იაფფასიანი კარგი სიგარა მომეცით. ხვალ სწორედ ორმოცი წელი სრულდება ჩვენი ჯვრისწერიდან და პატარა დღესასწაულს ვმართავთ.

**შუი ტა** *(თავაზიანად)*. ორმოცი წელი გავიდა და კვლავ ზეიმობთ?

**დედაბერი.** რაზედაც ჯიბე გაგვწვდება. მოპირდაპირე მხარეს ჩვენ ხალიჩების სავაჭრო გვაქვს. ვიმედონებ კარგი მეზობლობა გვექნება, განსაკუთრებით ასეთ ცუდ დროებაში.

**შუი ტა** *(სხვადასხვაგვარ კოლოფს დაუწყობს წინ)*. ოდითგან ასე ყოფილა და იქნება. სწორედ ამისი მეშინია.

**პოლიციელი.** ბატონო შუი ტა, ჩვენ კაპიტალი გვჭირდება. ამიტომ გთავაზობთ ქორწინებას.

**შუი ტა** *(პოლიშით მიმართავს დედაბერს)*. სულმა წამსძლია და ბატონი პოლიციელი ჩემი პირადი დარდებით შევაწუხე.

**პოლიციელი.** ჩვენ ნახევარი წლის ბინის ქირის გადასახდელი ფული არ გაგვაჩნია. კეთილი, მაშინ ცოლად შევირთოთ ცოტაოდენი ფული.

**შუი ტა.** ეს არცთუ ისე ადვილი იქნება.

**პოლიციელი.** რატომ? შენ ტე კარგი საცოლეა. ერთი პატარა აღმაგალი საწარმო აქვს. *(დედაბერს)* თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?

**დედაბერი** *(დაბნეულად)*. დიახ...

**პოლიციელი.** განცხადება გაზეთში.

**დედაბერი** *(თავშეკავებულად)*. თუკი ფროილაინი თანახმაა.

**პოლიციელი.** საწინააღმდეგო რა უნდა ჰქონდეს? განცხადების ტექსტს ახლავე შევადგენ. ხელი ხელს ჰბანს და ორივე პირს. თქვენ არ ფიქროთ, თითქოს მთავრობა წერილ მეწარმეებს არსებობისათვის მკაცრ ბრძოლაში მხარს არ უჭერდეს, თქვენ ჩვენთვის საჭირო ხალხი ვართ, და ამიტომაც ვადგენთ საქორწინო განცხადების ტექსტს! ხა, ხა, ხა!

*(მკვირცხლად დაადრობს ბლოკნოტს ფანქრის წვერს ენით დაასველებს და წერას დაიწყებს).*

**შუი ტა (ხელა).** ეს არაა ცუდი იდეა.

**პოლიციელი.** „როგორი... წესრიგიანი... კაცი პატარა კაპიტალით... გამორიცხული არაა ქვრივი კაცი... სურვილი აქვს ცოლად შეირთოს... აღმავლობის გზით მიმავალი თამბაქოს მაღაზია?“ და იქვე დავუმატებთ: „გარეგნულად მომხიბლავი და სიმპატიური ვარ“. როგორია?

**შუი ტა.** ხომ არ ფიქრობთ, რომ ოდნავ გადააჭარბეთ.

**დედაბერი (მხიარულად).** სრულიადაც არა. ფროილან მე თვითონ ვნახე *(პოლიციელი ბლოკნოტიდან ფურცელს ხევს და შუი ტას გადასცემს.)*

**შუი ტა.** შეძრწუნებული შევცქერი, რაოდენი ბედნიერი უნდა იყო, რომ ბორბლის ქვეშ არ მოჰყვე! რამდენი ეშმაკობა! რამდენი მეგობარი გჭირდება! *(პოლიციელს.)* მიუხედავად იმისა, რა არ ვიღონე, მაგრამ ბინის ქირას ვერა და ვერაფერი მოვუხერხე. და ახლა მოხვედით თქვენ და კეთილი რჩევით დამეხმარეთ. მე ნამდვილად ვხედავ გზას ხსნისას.

3

### **სადამო ქალაქის პარკში**

*(ტანსაცმელჩამოხეული ახალგაზრდა კაცი თვალს აყოლებს თვითმფრინავს. როგორც ჩანს, თვითმფრინავი პარკის თავზე მიფრინავს. ახალგაზრდა კაცი ჯიბიდან თოკს ამოიღებს და რაღაცის ძებნაში ირგვლივ მიმოიხედავს, როცა იგი მაღალი ტირიფისაკენ გასწევს გზაზე ორი მეძავი ქალი გამოჩნდება... ერთი მათგანი უკვე მოხუცია, მეორე რვასულიანი ოჯახიდანაა – ძმისწული).*

**ახალგაზრდა.** სადამო მშვიდობისა, ვაჟბატონო. წამოხვალ ჩემთან, სულის ჩასაკოკლოზინებელი?

**ზუნი.** რატომაც არა, ჩემო ქალბატონებო, თუკი რაიმე საჭმელს მიყიდით.

**მოსუცი.** შენ, რა, ხომ არ შეიშალე? (*ახალგაზრდას.*) წამო, წავიდეთ, ამასთან მხოლოდ დროს დაგეგმავთ. ეს ხომ უმუშევარი მფრინავია.

**ახალგაზრდა.** პარკში უკვე არავინ იქნება, წვიმას აპირებს.

**მოსუცი.** მაინც ვნახოთ, იქნებ ვინმე იყოს.

*(ისინი ვხას განავრძობენ. ზუნი ისევ ამოიღებს თოკს, ირგვლივ იყურება და თოკს ტირიფის ტოტზე ისვრის. კვლავ ვიღაცა შეუშლის ხელს. ორივე მეძავი სწრაფად ბრუნდება უკან. ისინი ზუნს ვერ ხედავენ).*

**ახალგაზრდა.** თავსხმა იქნება.

*(ვხაზე შენ ტე მოსეირნობს).*

**მოსუცი.** შეხედე, აგერ მოდის ურჩხული, შენ და შენიანები მაგან ჩაგყარათ უბედურებაში!

**ახალგაზრდა.** მაგან კი არა, უბედურებაში მაგის ბიძაშვილმა ჩაგყარა, ამ ქალმა კი შეგვიფარა და შემდეგ გვთხოვა, ნამცხვრის ფული გადაიხადეთო. ამას არაფერს ვერჩი.

**მოსუცი.** მე ვერჩი! (*ხმაბლლა.*) ოჰ, აგერ ჩვენი ნაზი დაიკო გამოჩნდა თავისი ოქროს ქოთნით! მაღაზია კი აქვს, მაგრამ სულ იმის ცდაშია, როგორმე საყვარლები წაგვართვას.

**შენ ტე.** ნუ შემჭამე! ჩაიხანაში მივდივარ, პატარა ტბასთან.

**ახალგაზრდა.** მართალია, სამბავშვიან ქერივ კაცს მიჰყვება ცოლადო?

**შენ ტე.** კი, იქ უნდა შევხვდე.

**ზუნი** (*მოუთმენლად.*) ბოლოს და ბოლოს წაეთრიეთ აქედან, თქვე ჯიბიდან გავარდნილებო! აქაც აღარ შეიძლება მოისვენოს ადამიანმა?

**მოსუცი.** ხმა ჩაიწყვიტე!

*(ორივე მეძავი გადის.)*

**ზუნი** *(მიაყვირებს).* მძოვრებო! *(ხალხს.)* აქაც, ასეთ მიყრუებულ ადგილას დაუღალავად დებენ ჩანგალს თავიანთ მსხვერპლს, ბუჩქებშიც, წვიმაშიც კი სასოწარკვეთილი ეძებენ მყიდველებს.

**შენ ტე** *(გაბრაზებული).* რატომ ღანძღავთ მათ? *(იგი თვალს მოჰკრავს თოკს.)* ოჰ.

**ზუნი.** თვალები რას დაგიჭყეტია?

**შენ ტე.** რად გინდათ თოკი?

**ზუნი.** წადი, დაიკო, წადი! ფული არ მაქვს, გახვრეტილი კაპიკიანიც არ გამაჩნია. კიდევ რომ მქონდეს, შენს თავს ერთ კათხა წყალს ვარჩევდი. *(წვიმას იწყებს.)*

**შენ ტე.** რად გინდათ თოკი? არა გაქვთ ამის ნება!

**ზუნი.** შენ რა გესაქმება? აქედან წაეთრიე!

**შენ ტე.** წვიმს.

**ზუნი.** არ გაბედო ამ ხის ქვეშ დადგომა.

**შენ ტე** *(გაუნძრევლად დგას წვიმაში).* არა.

**ზუნი.** დაიკო, მომეშვი, არაფერი არ გიშველის, სულ ერთია, ვერაფერს გამომრჩები. მერედა, რა საზიზღარი შესახედავი ხარ. მოგრეხილი ფეხები გაქვს.

**შენ ტე.** არაა მართალი.

**ზუნი.** არ მაჩვენო! ეშმაკსაც წაუღიხარ, მოდი ხეს შეეფარე, თუკი წვიმს!

*(შენ ტე ნელა მიდის და ხის ქვეშ ჯდება.)*

**შენ ტე.** რატომ გადაწყვიტეთ ასეთი რამის ჩადენა?

**ზუნი.** გინდა იცოდე? მაშინ გეტყვი, იქნებ თავიდან მომწყდე. *(პაუზა.)* შენ იცი, რა არის მფრინავი?

**შენ ტე.** კი, ჩაიხანაში მყავს ნანახი.

**ზუნი.** არა, შენ ისინი არ გინახავს, შესაძლებელია რამდენიმე თავქარიანი სულელი შეგხვედრიან, რომელსაც ტყავის ქუდები ახურავთ, ბიჭბუჭები, რომლებსაც ძრავისათვის სმენა და მანქანისთვის გრძობა არ გააჩნიათ. მხოლოდ ასეთი ხდებიან მფრინავები, რადგანაც ანგარის მმართველის მოქრთამვა შეუძლიათ. ასეთ მფრინავს რომ უთხრა: შენი ყუთი 2000 ფუტის სიმაღლიდან ღრუბლებს შორის ჩამოაგდე და შემდეგ ბერკეტის ერთი დაწოლით დაიჭიროე, მაშინ იგი გეტყვის, ეს ხელშეკრულებაში არ წერიაო. ვინც ისე არ ფრინავს, რომ თავისი ყუთის მიწაზე დასმა საკუთარი უკანალივით არ შეუძლია, იგი მფრინავი კი არა, რეგვენია, მაგრამ მე მფრინავი ვარ, და მაინც ყველაზე დიდი რეგვენი, რადგან პეკინის სკოლაში ფრენის შესახებ ყველა წიგნი წავიკითხე. მხოლოდ ერთი წიგნის ერთი გვერდი არ წამიკითხავს, იმ გვერდზე კი ეწერა, რომ მფრინავები მეტად აღარ გეჭირდებოდნენ. ასე და ამგვარად, გაეხდი უთვითმფრინავო მფრინავი, საფოსტო მფრინავი უფოსტოდ. მაგრამ ეს რას ნიშნავს, ამის გაგება შენ არ შეგიძლია.

**შენ ტე.** ვფიქრობ, მაინც გავიგებ.

**ზუნი.** არა, გეუბნები, ვერ გაიგებ-მეთქი. ესე იგი, შენ არ შეგიძლია მიმიხვედე.

**შენ ტე** (*ცრემლნარევი სიცილით*). ბავშობაში ჩვენ ერთი ფრთამოტეხილი წერო გვყავდა. შეგვეჩვია და ყოველგვარ ცელქობას მოგვიტევებდა ხოლმე; სადაც წავიდოდით, ყვირილით ყველგან თან მოგვდეგდა ამაყად, რა არის, ნუ ირბენთ და ნუ გამასწრებთო. მაგრამ შემოდგომაზე და გაზაფხულზე, როცა სოფლის თავზე წეროების გუნდები მიფრინავდნენ, იგი მოსვენებას კარგავდა და მე მისი კარგად მესმოდა.

**ზუნი.** ნუ ბღავი.

**შენ ტე.** აღარ ვიტყვებ.

**ზუნი.** სახის ფერს ვნებს.

**შენ ტე.** უკვე აღარ ვტირი.

(*სახელოებით ცრემლებს იმშრალავს. ზუნი ხეს მიეყრდნობა, არ მობრუნდება, ისე შეეხება შენ ტეს სახეზე*).

**ზუნი.** შენ რა, სახეც არ შეგიძლია წესიერად მოიწმინდო? (იგი ცხვირსახოცით მოწმენდს სახეს. პაუზა.)

თუკი იმისათვის ზიხარ აქ, რომ თავი არ ჩამოვიხრჩო მაშინ ბევრს არაფერს გთხოვ, პირი მაინც გააღე და თქვი რაიმე.

**შენ ტე.** არაფერი არ ვიცი.

**ზუნი.** ნეტავი ვიცოდე, ტოტზე ჩამოკიდებული თოკი რატომ გაჭერი, დაიკო?

**შენ ტე.** შემეშინდა. თქვენ ამის გაკეთება იმიტომ გსურდათ, რომ ძალიან მოღუშული საღამოა. (ხალხს)

ჩვენს ქვეყანაში

არ უნდა იყოს მოღუშული საღამოები,

მდინარეებზე მაღალი და ფართო ხიდები.

არ უნდა ყოფდეს საათები დღესა და ღამეს,

ანდა ზამთარი რა საჭიროა, საშიში არის ეს ყველაფერი.

რადგანაც ქვეყნად ყოველგვარი უბედურება

ფეხდაფეხ დაგდევს.

ზოგიერთები იცილებენ თავისი ნებით

ამ აუტანელ ბინძურ ცხოვრებას.

**ზუნი.** შენს შესახებ მაინც მიაშვებ რაიმე.

**შენ ტე.** რა უნდა მოგიყვე? მე პატარა მაღაზია მაქვს.

**ზუნი (დამცინავად).** ოჰ, შენ ჩანგლის მოსადებად არა ხარ გამოსული, შენ მაღაზია გაქვს!

**შენ ტე (მტკიცედ).** მაღაზია კი მაქვს, მაგრამ ადრე ქუჩაში დავსეირნობდი.

**ზუნი.** და მაღაზია, შენ, ღმერთებმა გაჩუქეს?

**შენ ტე.** დიახ.



**ზუნი.** ერთ მშვენიერ საღამოს ისინი გამოგეცხადნენ და გითხრეს, აი შენ ფულიო.

**შენ ტე** (*წინარად იცინის*). ერთხელ დილით.

**ზუნი.** ენა არ გადაყლაპე მათ დანახვაზე.

**შენ ტე** (*ცოტა ხნის პაუზის შემდეგ*). ცოტა ციტრაზე დაკვრა შემიძლია და ადამიანებსაც ვბაძავ. (*იგი პატივცემული კაცის დაბალი ხმით ამბობს*) არა, რა გინდა რომ ქნა, ფულის ქისა დამვიწყნია! მაგრამ მერე მაღაზია გავიჩინე. მაშინვე პირველი, რაც მოვიმოქმედე, ის იყო რომ, ციტრა გავაჩუქე. ვიფიქრე ახლა შემიძლია მოსაწყენი ადამიანი ვიყო. ციტრა აღარაა საჭირო-მეთქი.

მე ვარ მდიდარი, ვამბობდი ჩემთვის,

სულ მარტო ვივლი, ვიძინებ მარტო

და მთელი წელი. – ვამბობდი ჩემთვის,

კაცს ახლოს არვის გავეკარები.

**ზუნი.** მაგრამ ახლა ცოლად მიჰყვები ვიღაცას? ის კაცი ჩაიხანაში პატარა ტბასთან გელოდება.

*შენ ტე დუმს.*

კაცმა რომ თქვას, რა გესმის შენ სიყვარულის?

**შენ ტე.** ყველაფერი.

**ზუნი.** არც არაფერი, დაიკო. იქნებ თქვა, სასიამოვნო იყო?

**შენ ტე.** არა.

**ზუნი** (*შენ ტეს სახეზე ხელს ისე გადაუსვამს, რომ არც შემობრუნდება*). გსიამოვნებს?

**შენ ტე.** ჰო.

**ზუნი.** საკმარისია, სულ ესა ხარ, რა ქალაქია ეს!

**შენ ტე.** მეგობრები არა გყავთ?

**ზუნი.** უამრავი, მაგრამ ისეთი კი არავინაა, სურვილი ჰქონდეს მომისმინოს, რომ კვლავ უმუშევარი დავეთრევი. ისინი ისეთი სახით მიცქერიან, თითქოს ვინმემ შესჩივლა, ზღვაში ჯერ კიდევ არის წყვილიო. შენ გყავს მეგობარი?

**შენ ტე (ყოყმანით).** მყავს ერთი ბიძაშვილი.

**ზუნი.** მაშინ იმ ბიძაშვილს უფროსიილდი.

**შენ ტე.** იგი აქ ერთადერთხელ იყო. ახლახან წავიდა და არც არასოდეს დაბრუნდება. მაგრამ იმედი ასე რამ გადაგიწურათ? ამბობენ, უიმედოთ ლაპარაკი ნიშნავს—სიკეთე არ იწამო.

**ზუნი.** განაგრძე, განაგრძე! ხმა მაინც ხმააა.

**შენ ტე (მონდომებულად).** მიუხედავად დიდი უბედურებისა, კეთილი ადამიანები კიდევ მოიძებნებიან. ერთხელ, როცა პატარა ვიყავი, ფიხის კონიანად წავიქეცი. ერთმა მოხუცმა კაცმა წამომაყენა და გროშიც მაჩუქა. ამ ამბავს ხშირად ვიხსენებ. მას, ვისაც ცოტა საჭმელი აქვს, სხვას განსაკურებული სიყვარულით უნაწილებს ლუკმას. ჩანს ადამიანები სიამოვნებით ამჟღავნებენ ხოლმე იმას, რისი უნარიც შესწევთ. ჰოდა, იმაზე უკეთესი რაა, თუკი ისინი კეთილნი იქნებიან. ბოროტებაა როცა არაფრის უნარი არ გაგაჩნია, როცა ვინმე სიმღერას მღერის, ან არადა დანადგარს აგებს, ანდა ბრინჯს თესავს, ეს, ჩვეულებრივ, სიკეთეა. ამიტომ თქვენ კეთილი ხართ.

**ზუნი.** ვხედავ, შენ მაინცდამაინც ბევრი არ გინდა.

**შენ ტე.** ჰო, წვიმის წვეთი ახლა ვიგრძენი.

**ზუნი.** სად?

**შენ ტე.** თვალებს შორის.

**ზუნი.** უფრო მარჯვენასთან

თუ მარცხენა თვალთან ახლოს?

**შენ ტე.** უფრო მარცხენასთან.

**ზუნი.** კეთილი. (ცოტა ხნის შემდეგ ნამძინარევის ხმაზე ეტყვის.)

კაცებთან შენ აღარაფერი გესაქმება?

**შენ ტე** *(ღიმილით)*. მაგრამ ფეხები დაგრეხილი მაინც არა მაქვს

**ზუნი**. შესაძლებელია, არა.

**შენ ტე**. ნამდვილად, არა?

**ზუნი**. *(დაღლილი ხეს მიყვრდნობა)*. მაგრამ, რადგან ორი დღეს არაფერი მიჭამია და ერთი დღეა, რაც არაფერი დამილევია, ამიტომ რომც მსურდეს შენი სიყვარული, მაინც არ შემიძლია, დაიკო.

**შენ ტე**. წვიმაში კარგია.

*(მეთულუხე ვანგი შემოდის. იგი მღერის.)*

### **მეთულუხის სიმღერა წვიმაში**

ღია ცის ქვეშ წყალსა ვყიდი,

გალუმპული ვდგავარ, მაწვიმს,

ძლივს მოეზიდე შორი გზიდან,

არ მიფასებს მაინც კაცი.

არ გსურთ წყალი, ქოფაკებო!

წყალი, წყალი, რომ გავევირი,

განა ენა მექავება?

ყველა ძუნწობს და ჩემს სასმელს

ახლოს არავინ ეკარება.

არ გსურთ წყალი, ქოფაკებო!

სიზმრად ვნახე: შვიდი წელი

გვალვა ხრავდა დედამიწას,  
წვეთი წყალი ნატვრად იქცა,  
ხალხს წყურვილი წვაავდა მწველი;  
ყველას მაშინ მოვაგონდი,  
ყველა ჩემს წინ თხოვნით თრთოდა,  
მაგრამ წყურვილს მას ვუკლავდი,  
ვინც სიფათში მომდიოდა.  
ხომ მოწყურდათ ძლიერ ძაღლებს!

*(სიცილით.)* ჰოდა, კარგად ხომ ბრძანდებით,  
სვამთ და ყლუპავთ არხეინად,  
ღრუბელთ ჯიქის შემწეობით  
ზეცამ მუქთად გახეირათ.

წყალი, წყალი, რომ გაეყვირო,  
განა ენა მექავება,  
ყველა ძუნწობს და ჩემს სასმელს  
ახლოს არვინ ეკარება.

არ გსურთ წყალი, ქოფაკებო!

*(წვიმამ გადაიღო. შენ ტე ვანგს შეხედავს და მასთან მიირბენს).*

**შენ ტე.** ოჰ, ვანგ, დაბრუნდი? შენი წყლის ჭურჭელი ჩემთან აწყვია?

**ვანგი.** დიდი მადლობა, ჭურჭელი რომ შემინახე! როგორ ხარ, შენ ტე?

**შენ ტე.** კარგად. მე ერთი ძალიან ჭკვიანი და გაბედული კაცი გავიცანი და მინდა  
შენგან ერთი კათხა წყალი ვიყიდო.

**ვანგი.** გადაწიე თავი, პირი გააღე და რამდენიც გსურს, იმდენი წყალი ჩაგივა  
პირში. აი, აგერ, ტირიფიდან ისევ წვეთავს.

**შენ ტე.** მაგრამ მე წყალი მინდა, ვანგ.

მე წყალი მინდა, ვანგ,

ძალზე შორიდან მოტანილი,

შენ რომ დაგქანცა მან.

წვიმა რომ მოდის ამის გამო ის არ სადღება,

მე კი მჭირდება, აგერ ხედავ იმ ბატონისათვის.

ის მფრინავია, შევარდენი,

გაბედულია, ეურჩება ღრუბელთ სამეფოს.

შმაგი გრიგალის მიუხედავად

სერავს ცის ტატნობს და შორეული ქვეყნებიდან მეგობრებისთვის,

მას მოაქვს ფოსტა მეგობრული.

*(შენ ტე ფულს უხდის და კათხით ხელში ზუნისაკენ გარბის.)*

*(ვანგისსაკენ მიბრუნდება და სიცილით ეძახის).* ჩასძინებია. სასოწარკვეთილებამ, წვიმამ და მე არაქათი გამოვაცალეთ.

### **ინტერმედია**

*(ვანგის ღამისათევი. წყლის მიღში. მეთულუხეს სძინავს. მუსიკა უკრავს. წყლის მილი უფრო ნათლად გამოჩნდება და მძინარეს ღმერთები გამოეცხადებიან).*

**ვანგი** *(გაბრწყინებული).* დაგინახეთ ნათელმოსილნო! შენ ტე ისეთივეა, როგორც ძველად იყო!

**პირველი ღმერთი.** ჩვენ ეს სიხარულს გვგრის.

**ვანგი.** შენ ტე შეყვარებულია! მან თავისი მეგობარი მაჩვენა. შენ ტე ნამდვილად კარგადაა.

**პირველი ღმერთი.** სასიამოვნო მოსასმენია. იმედია, შენ ტეს სიკეთისადმი სწრაფვა გაუძლიერდებოდა.

**ვანგი.** აუცილებლად! იგი იმდენ სიკეთეს სჩადის, რისი ძალაც შესწევს.

**პირველი ღმერთი.** რა სიკეთეს სჩადის? მოგვიყევი ერთი, ძვირფასო ვანგ!

**ვანგი.** შენ ტეს კეთილი სიტყვა ყველასთვის მზადა აქვს.

**პირველი ღმერთი** (*ცნობისმოყვარეობით*). ჰო, მერე?

**ვანგი.** იშვიათად მისი პატარა მაღაზიიდან ვინმე უთამბაქოდ გამოვიდეს, თუნდაც ფული არა ჰქონდეს.

**პირველი ღმერთი.** ეს ცუდად არ უღერს, კიდევ რა?

**ვანგი.** რვასულიან ოჯახს თავშესაფარი მისცა!

**პირველი ღმერთი** (*აღფრთოვანებული მიმართავს მეორეს*). რვასულიანი ოჯახი! (*ვანგს*) იქნებ კიდევ გვეტყვი რაიმეს?

**ვანგი.** შენ ტემ ჩემგან ერთი კათხა წყალი იყიდა, მიუხედავად იმისა, რომ წვიმდა.

**პირველი ღმერთი.** რასაკვირველია, ეს ყველაფერი წვრილმანი სიკეთეა. ეს გასაგებია.

**ვანგი.** მაგრამ ყველაფერი ეს წვრილმანი ფული ღირს. ამდენი შემოსავალი კი პატარა მაღაზიას არა აქვს.

**პირველი ღმერთი.** რასაკვირველია, რასაკვირველია! მაგრამ წინდახედული მებაღე ერთ ციცქნა ადგილზეც ხომ სასწაულებს ახდენს.

**ვანგი.** შენ ტეც ჭეშმარიტად ასე იქცევა! ყოველ დილით ბრინჯს ანაწილებს, ამას კი მისი შემოსავლის თითქმის ნახევარი უნდება, შეგიძლიათ მენდოთ!

**პირველი ღმერთი** (*ოდნავ გულგატეხილი*). მე არც არაფერს ვამბობ, დასაწყისით უკმაყოფილო არა ვარ.

**ვანგი.** გახსოვდეთ, დროება ამით არ გამოცვლილა! შენ ტემ თავის ბიძაშვილს დახმარებისათვის ერთხელ უკვე მოუხმო, როცა მისი მაღაზია სიმნელეების წინაშე აღმოჩნდა.

ძლივს მოიძებნა ქარისაგან დაცული კუთხე,  
ზამთრის სიცივით დაღვრემილი, ციურ სივრციდან  
ქვილხივილით აიშალა და ადგილისთვის  
ერთუროს ებრძვის ჩიტების გუნდი;  
თხელი კედელი მშიერ მელამ მთლიანად გაღრღნა,  
ცალფეხა მგელმა  
პატარა ჯვამი საქმიანად გადააბრუნა.

მოკლედ, შენ ტემ წარმოების მარტო გაძლოდა ვერ შეძლო. მაგრამ ყველა  
ერთსულოვნად დაგეთანხმებათ, რომ იგი კეთილი გოგონაა. ძალიან ბევრი სიკეთე  
მოედინება მისი მაღაზიიდან. რამდენიც უნდა, იმდენი ილაპარაკოს ღურგალმა ღინ  
ტომ.

**პირველი ღმერთი.** ეს რას ნიშნავს? განა ღურგალი ღინ ტო რაიმე ცუდს ლაპარაკობს  
შენ ტეს შესახებ?

**ვანგი.** ოჰ, იგი მხოლოდ იმას გაიძახის, მაღაზიის თაროების საფასური მთლიანად  
არ გადაუხდიათო.

**მეორე ღმერთი.** რას ამბობ? ღურგალს არ გადაუხადეს ფული? შენ ტეს მაღაზიაში?  
როგორ შეეძლო შენ ტეს ასე მოქცეულიყო?

**ვანგი.** ალბათ მეტი ფული აღარ ჰქონდა.

**მეორე ღმერთი.** სულ ერთია. როცა ვალი გაქვს, უნდა გადაიხადო. უსამართლობის  
ოდნავ გამოვლენაც კი თავიდან უნდა იქნეს აცილებელი. პირველ ყოვლისა, კანონის  
ანბანი უნდა შესრულდეს, საქმის შინაარსი ვეძიოთ შემდეგ.

**ვანგი.** ყველაფერი ბიძაშვილის ბრალია, ნათელმოსილნო, შენ ტე არაფერ შუაშია!

**მეორე ღმერთი.** მაშინ ის ბიძაშვილი შენ ტეს კარის ზღურბლს ფეხს ვეღარ  
გადააბიჯებს!

**ვანგი** (*განადგურებული*). გავიგე, ნათელმოსილო! შენ ტეს დასაცავად ნამდვილად კიდევ მომიხდება რამდენიმე სიტყვის თქმა, კერძოდ, ის, რომ ბიძაშვილი საკმაოდ ყურადსაღები საქმოსანი კაცი ჩანს, ის კი არადა, პოლიციაც პატივს სცემს.

**პირველი ღმერთი**. ცხადია, ჩვენ არ გვსურს ბატონი ბიძაშვილი დაუსწრებლად გავასამართლოთ, გამოგიტყდებით – საქმოსნობის არაფერი გამეგება. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შევიტყოთ, საზოგადოდ რა უკეთესია. ნუთუ საქმოსნობა ასე საჭიროა? ახლა ყველანი საქმოსნობენ?! ნეტავი შვიდი კეთილი მეფე საქმოსნობას ეწეოდა? ნუთუ სამართლიანი კუნგი თევზს ყიდდა? რა საერთო აქვს საქმოსნობას პატიოსან და ღირსეულ ცხოვრებასთან?

**მეორე ღმერთი** (*ძლიერ განაწყენებული*). ყოველ შემთხვევაში, ასეთი რამ არასოდეს არ უნდა მოხდეს.

(*მეორე ღმერთი წასასვლელად შებრუნდება. ორი დანარჩენი ღმერთიც შებრუნდება.*)

**მესამე ღმერთი** (*შემერთალი*). გვაპატიე დღევანდელი მკაცრი ტონი! დაღლილები და უძილონი ვართ. ღამის გასათევი! მდიდრები ღარიბების საუკეთესო დახასიათებას გვაძლევენ, მაგრამ ღარიბებს საკმარისი ოთახები არა აქვთ.

**ღმერთები**. (*ნელნელა მიდიან, იწყევენებათ*). თქვენს შორის ვინც საუკეთესოა, იგი სუსტია! არაფერი გადამწყვეტი მნიშვნელობა ამას არა აქვს. თუ აქვს და ცოტა, სულ ცოტა! რასაკვირველია, ყველაფერი გულით გაკეთდა, მაგრამ მაინც არაფერს არ ჰგავდა! შენ ტეს სულ ცოტა...

(*მათი ხმა უკვე აღარ ისმის.*)

**ვანგი** (*მისძახის*). ოჰ, ნუ იქნებით შეუბრალებელნი, ნათელმოსილო! თავიდანვე ძალიან ბევრს ნუ მოითხოვთ!

4

### **მოედანი შენ ტეს მაღაზიის წინ**

სადალაქო, ხალიჩების საწარმო და შენ ტეს თამბაქოს მაღაზია. ორშაბათი დღეა. შენ ტეს მაღაზიის წინ რვასულიანი ოჯახიდან გადარჩენილი ორი წევრი იცდის, ბაბუა და რძალი, იქვე არიან უმუშევარი და შინი.



**რძალი.** შენ ტე წუხელ შინ არ იყო!

**შინი.** დაუჯერებელი საქციელია! როგორც იქნა მძვინვარე ბატონი ბიძაშვილი წავიდა. შენ ტემ ჩვენს თხოვნას ყური ათხოვა და დანაზოგი ბრინჯიდან ზოგჯერ რაღაცას გამოიმეტებს, ბოლო ხანს კი ღამეებს სადღაც ათევს, ვიღაცებთან დაეთრევა, მხოლოდ ღმერთებმა თუ უწყიან მისი ასავალ-დასავალი!

*(სადალაქოდან ხმამაღალი ლაპარაკი ისმის. იქიდან ვანგი გამოდის, მას მსუქანი დალაქი ბატონი შუ ფუ მოსდევს; შუ ფუს ხელში თმის დასახვევი მძიმე მაშა უჭირავს.)*

**ბატონი შუ ფუ.** მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა შენი აქოთებული წყლით ჩემი კლიენტების გაბეზრება! აიღე შენი კათხა და აქედან მოუსვი!

*(ვანგი ბატონი შუ ფუს მოწოდებულ კათხას წაეპოტინება, ხოლო შუ ფუ თმის დასახვევ მაშას ვანგს ხელზე ისე დაარტყამს, რომ ვანგი იყვირებს.)*

ღირსი ხარ! ეს შენთვის ჭკუის სასწავლი გაკვეთილი იქნება!

*(იგი ხვნეშით სადალაქოში შებრუნდება.)*

**უმუშევარი** *(კათხას აიღებს და ვანგს გაუწვდის).* ცემისათვის შეგიძლია პასუხი აგებინო.

**ვანგი.** ხელი აღარ მივარგა.

**უმუშევარი.** ხომ არ გადაგიტყდათ?

**ვანგი.** უკვე ვეღარ გამოძრავებ.

**უმუშევარი.** დაჯექი და ხელზე ცოტა წყალი გადაისხი!

*(ვანგი დაჯდება.)*

**შინი.** ყოველ შემთხვევაში, შენთვის წყალი იაფია.

**რძალი.** აქ დილის რვა საათზეც კი სელის ქსოვილის ნაგლეჯსაც კი ვერ იშოვი. შენ ტე ნამდვილად სასიყვარული ავანტიურაში გაეხვია! სამარცხვინოა!

**შინი** *(მოდუშული).* ჩვენ სულ დავავიწყდით!

*(ქუჩაბანდს შენ ტე მოუყვება, ქოთნით ბრინჯი მოაქვს.)*

**შენ ტე** *(ხალხს).* ადრე დილით ქალაქი ჯერ არასოდეს მენახა. ამ საათებში ჯერ კიდევ ვიწექი და თავზე ჭუჭყიანი საბანი მეხურა, გაღვიძების მეშინოდა. დღეს კი გაზეთის გამყიდველ ბიჭუნებთან ერთად მოვდიოდი, კაცებთან ერთად, რომლებიც ასფლატს წყლით რწყავდნენ. ურმებს შორის, რომლითაც სოფლიდან ახალი ბოსტნეული მოჰქონდათ. მე გრძელი გზა გამოვიარე ზუნის კვარტლიდან აქამდე, მაგრამ ფეხის ყოველ გადადგმაზე უფრო და უფრო მეუფლებოდა მხიარული განწყობა. ხშირად მსმენია, როცა შეყვარებული ხარ, ღრუბლებში დაფრინავო, მაგრამ ყველაზე ლამაზი თურმე ისაა, როცა მიწაზე, ასფლატზე დადიხარ. აბა ერთი შეხედეთ, სახლის მასივები დილით ადრე ცეცხლმოკიდებული ღორღის გროვას არ მოგაგონებთ, ამ დროს ზეცა ჯერ კიდევ ვარდისფერი და გამჭვირვალეა, რადგან უმტვეროა. დამიჯერეთ, ძალიან ბევრს კარგავთ, თუ თქვენ არ გიყვართ თქვენი ქალაქის იმ საათებში ცქერა, როცა იგი ფხიზელი მოსუცი ხელოსანივით იღვიძებს, სუფთა ჰაერს ჩაისუნთქავს, და სამუშაო იარაღს წაეტანება, როგორც პოეტები იტყვიან. *(მომლოდინეებს.)* დილა მშვიდობისა! აი, ბრინჯი მოგიტანეთ! *(უნაწილებს, შემდეგ ვანგს მოჰკრავს თვალს.)* დილა შვიდობისა ვანგ. დღეს მე აცეტებული ვარ. გზად რომ მოვდიოდი ყველა ფანჯარაში ვიჭყიტებოდი და ახლა სურვილი მაქვს თავშალი ვიყიდო. *(ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ.)* ძალიან მინდა ლამაზი შესახედავი ვიყო.

*(იგი სწრაფად შედის ხალხების მაღაზიაში.)*

**ბატონი შუ ფუ** *(იგი კვლავ კარებში გამოჩნდება, ხალხს).* განცვიფრებული ვარ, როგორი ლამაზია ფროილან შენ ტე, თამბაქოს მაღაზიის მფლობელი ამ დრომდე სრულებით არ მომწონდა. სამი წუთია, რაც იგი ვნახე, და მგონი უკვე შემიყვარდა. დაუჯერებლად სიმპატიური პიროვნებაა! *(ვანგს.)* აქედან წაეთრიე, არამზადავ!

*(იგი სადალაქოში შებრუნდება.)*

*(შენ ტე და ძლიერ მოხუცებული წყვილი, ხალხებით მოვაჭრე და მისი ცოლი ხალხების სავაჭროდან გამოვლენ. შენ ტეს შალი, ხოლო ხალხებით მოვაჭრეს სარკე მოაქვს.)*

**დედაბერი** თავშალი ძალიან ლამაზია და არც ძვირი ღირს, მხოლოდ ერთ ადგილას არის გაცრეცილი.

**შენ ტე** (*თავშალს უყურებს, რომელიც დედაბერს ხელში უჭირავს*). მწვანეც ლამაზია.

**დედაბერი** (*ღიმილით*). მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ცოტა შელანძულიცაა.

**შენ ტე**. ღიას, აფსუსია. ამ ჩემი მაღაზიით დიდი ნახტომების გაკეთება არ შემიძლია. ჯერ კიდევ ცოტა შემოსავალი მაქვს, ხოლო გასავალი კი ბევრია.

**დედაბერი**. ქველმოქმედების ბრალია. თქვენ ძალიან ხელგამლილი ნუ იქნებით. დასაწყისში ყოველი ფინჯანი ბრინჯიც დიდი რამაა, ხომ ასეა?

**შენ ტე** (*გაცრეცილ თავშალს იხინჯავს*). მართალია, ასე უნდა იყოს, მაგრამ ახლა მე თავში ცოტა მიქრის. ერთი მითხარი, ეს ფერი თუ მიხდება?

**დედაბერი**. ეს უკვე აუცილებლად, მამაკაცს უნდა ჰკითხოთ.

**შენ ტე** (*მოხუც კაცს მიუბრუნდება*). მიხდება?

**მოხუცი კაცი**. უკეთესია, თუ მე არ შემეკითხებით...

**შენ ტე** (*ძალიან თავაზიანად*). არა, მე თქვენ გეკითხებით.

**მოხუცი კაცი** (*ისევ თავაზიანად*). თავშალი გიხდებათ, მაგრამ მკრთალი ფერი გარედან მოაქციეთ.

(*შენ ტე ფულს იხდის.*)

**დედაბერი**. თუ თავშალი არ მოგეწონებათ, თავისუფლად შეგიძლიათ მისი გაცვლა. (*შენ ტეს გვერდზე გაიყვანს.*) იმ კაცს ცოტა ფული მაინც თუ აქვს?

**შენ ტე** (*ხიცილით*). ო, არა.

**დედაბერი**. მაშინ რითი იხდით ნახევარი წლის ბინის ქირას?

**შენ ტე**. ნახევარი წლის ბინის ქირას! ეს სულ დამავიწყდა!

**დედაბერი**. ასეც ვფიქრობდი! ხოლო მომავალი ორშაბათი უკვე პირველი რიცხვია. იცით, თქვენთან, მოლაპარაკება მსურდა მას შემდეგ რაც თქვენ გაგიცანით, ჩემი ქმარი და მე ოდნავ ეჭვის თვალით ვუყურებდით თქვენს საქორწინო განცხადებას.

ჩვენ გადავწყვიტეთ, გაჭირვების დროს მხარში ამოგდგომოდით. ჩვენ დანაზოგი ფული გვაქვს და შეგვიძლია 200 ვერცხლის დოლარი გასესხოთ. თუ გსურთ, სანაცვლოდ შეგიძლიათ თქვენი თამბაქოს მარაგი ჩვენთან დააგირავოთ. ცხადია, წერილობითი ქაღალდი ჩვენ შორის საჭირო არაა.

**შენ ტე.** თქვენ რა, მართლა გინდათ ასეთ თავქარიან არსებას ფული ასესხოთ?

**დედაბერი.** გამოგიტყდებით, თქვენს ბატონ ბიძაშვილს, რომელიც, ცხადია, თავქარიანი არაა, ნამდვილად არც არაფერს ვასესხებდით, მაგრამ თქვენ თავისუფლად შეგიძლია გასესხოთ.

**მოხუცი კაცი** (*მათთან მივა*). გადაწყდა, შევთანხმდით.

**შენ ტე.** კარგი იქნებოდა, ბატონო დენგ, ის, რაც თქვენმა ცოლმა თქვა ღმერთებს გაეგონათ. ღმერთები ბედნიერ, კეთილ ადამიანებს ეძებენ, და თქვენ ნამდვილად ბედნიერები ხართ, რადგან სიყვარულის გამო გაუბედურებულს დახმარების ხელს მიწვდით.

*(მოხუცები ერთმანეთს უღიმიან.)*

**მოხუცი კაცი.** ფული აგერაა.

*(იგი შენ ტეს კონვერტს გადასცემს. შენ ტე გამოართმევს და წელში იხრება, მოხუცებიც წელში იხრებიან. ისინი თავიანთ მაღაზიებს დაუბრუნდებიან.)*

**შენ ტე** (*ვანგს, კონვერტს მაღლა ასწევს*). ეს არის ნახევარი წლის ბინის ქირის გადასახადი! განა ეს საოცრება არაა! რას იტყვი ჩემი ახალი თავშლის შესახებ, ვანგ?

**ვანგი.** შენ ეს მისთვის იყიდე, ქალაქის პარკში რომ ვნახე?

*(შენ ტე თავს უქნევს.)*

**შინი.** თქვენი საეჭვო თავგადასავლების მოყოლას, იქნებ სჯობდა, მაგისი მტკივანი ხელისთვის დაგეხედათ.

**შენ ტე** (*შეშინებული*). ხელზე რა დაგემართა?

**შინი.** დალაქმა ჩვენ თვალწინ, თმის დასახვევი მაშა დაარტყა.

**შენ ტე** (*თავისი უყურადღებობით შეძრწუნებული*). მე კი არაფერი შემინიშნავს! ამწუთსავე ექიმთან უნდა წახვიდე, თორემ ხელი გაგიშემდება და მუშაობას ვერასოდეს შეძლებ. ეს დიდი უბედურებაა. სწრაფად, წამოდექი! სწრაფად გასწი!

**უმუშევარი**. ექიმთან კი არა, მოსამართლესთან უნდა წავიდე! მას შეუძლია მდიდარ დალაქს ზარალის ანაზღაურება მოსთხოვოს.

**ვანგი**. შენ ფიქრობ, ამას აზრი აქვს?

**შინი**. თუკი ხელი მართლაც დაზიანებულია. მაგრამ არის კი?

**ვანგი**. ვფიქრობ კი. უკვე გასივდა. ვითომ სიცოცხლეში პენსიას მომცემენ?

**შინი**. აუცილებლად მოწმე უნდა გყავდეს.

**ვანგი**. თქვენ ხომ ყველამ დაინახეთ! ყველას შეგიძლიათ დამიმოწმოთ.

*(იგი ირგვლივ იყურება. უმუშევარი ბაბუა და რძალი სახლის კედელთან სხედან და ჭამენ. არავინ ზევით არ იყურება.)*

**შენ ტე** (*შინს*). თქვენ ხომ თვითონ დაინახეთ?

**შინი**. არ მსურს პოლიციასთან საქმე მქონდეს.

**შენ ტე** (*რძალს*). მაშინ თქვენ!

**რძალი**. მე? მე იქით არც ვიყურებოდი!

**შინი**. როგორ თუ არ იყურებოდით! მე დავინახე, რომ იყურებოდით! მხოლოდ დალაქის გეშინიათ, რადგან იგი ყოველის შემძლეა.

**შენ ტე** (*ბაბუას*). მე დარწმუნებული ვარ, რომ მომხდარ ამბავს თქვენ დაამოწმებთ.

**რძალი**. მის ჩვენებას არ მიიღებენ. მეტიმეტად გამოჩერჩეტებულია.

**შენ ტე** (*უმუშევარს*). შესაძლებელია სამუდამო პენსიის საქმე წყდება.

**უმუშევარი**. მე უკვე მათხოვრობისათვის ორჯერ ვარ რეგისტრირებული. ჩემი ჩვენება საქმეს უფრო წაუხდენს.

**შენ ტე** (*უნდობლად*). ესე იგი, არც ერთ თქვენგანს არ სურს თქვას რაც მოხდა? დღისით, მზისით, კაცს ხელი მოამტვრიეს, ყველა ამას უყურებდა და არავის არ სურს თქვას?

(*გაბრაზებული*.)

უბადრუკებო,

ძალა იხმარეს თქვენ ძმაზე და თქვენ კი თვალს სუჭავთ.

დაშავებული მძიმედ ყვირის და თქვენ კი ღუმხართ!

ძალით ძლიერი ამა ქვეყნის, დადის, მსხვერპლს ირჩევს

და თქვენ კი ამბობთ:

ის დაგვზოგავს,

რადგანაც ვართ მორჩილები მისი ნებისა;

ეს ქალაქი რა ქალაქია, ანდა რა ხალხი?!

იქ სადაც მეფობს უსამართლობა უნდა აჯანყდნენ.

თუ არ აჯანყდა, ის ქალაქი დაე, ცეცხლში გამოიბუგოს,

ვიდრემდე ღამე მოატანდეს.

ვანგ, რადგან აქ მყოფთაგანი არავინ მოწმედ არ მოგყვება, მაშინ მე მსურს შენი მოწმე ვიყო და ვთქვა, რომ ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახე.

**შინი.** ეს ცრუ ფიცი იქნება.

**ვანგი.** არ ვიცი, დავთანხმდე თუ არა! მაგრამ ნამდვილად უნდა დავთანხმდე. (*ხელს დასცქერის, შეწუხებული*.) თქვენ როგორ ფიქრობთ. ხელი უფრო გასივდა? მეჩვენება, თითქოს სიმსივნე შედარებით დაცხრა.

**უმუშევარი.** (*ვანგს ამშვიდებს*). არა, სიმსივნე ნამდვილად არ დამცხრაღა.

**ვანგი.** ნამდვილად არა? ჰო, ის კი არა და, ვფიქრობ ცოტათი უფრო გასივდა. იქნებ მართლა სახსარია გატეხილი. უკეთესია ახლავე მოსამართლესთან გავიქცე. (*ხელი ფრთხილად უჭირავს, თვალს არ აცილებს სირბილით მიდის*.)

*(შინი სადალაქოსკენ ვარბის.)*

**უმუშევარი.** იგი დალქთან დასაბეზღებლად გაიქცა.

**რძალი.** ჩვენ არ შეგვიძლია ქვეყნის გადასხვაფერება.

**შენ ტე** *(დამწუხრებული).* თქვენი განაწყენება არ მსურდა, მხოლოდ შემეშინდა. არა, მე მსურდა თქვენი განაწყენება! წადით! ჩემმა თვალებმა არ დაგინახოთ!

უმუშევარი რძალი და ბაბუა, ღეჭვა- ღეჭვით მიდიან.

**შენ ტე** *(ხალხს).*

ახლა ისინი არაფერზე არ პასუხობენ,

მკვდარი ნივთივით, სადაც გინდა იქ დააყენებ

და ისევ სწრაფად, როგორცა გსურს, შეუცვლი ადგილს,

ღგანან მღუმარედ, მათზე მხოლოდ ერთი მოქმედებს,

როცა საჭმლის სუნს შეიგრძნობენ, თავს ზევით წევენ.

*(ვიღაც მოხუცი ქალი შემორბის. ეს არის ზუნის დედა, ქალბატონი იანგი.)*

**ქალბატონი იანგი** *(სულს ძლივს ითქვამს).* თქვენ ბრძანდებით ფროილან შენ ტე? ჩემმა შეიღმა ყველაფერი მიაშბო. მე ზუნის დედა ვარ, ქალბატონი იანგი. გესმით თქვენ, ზუნს კვალვ იმედი გაუჩნდა, მგონი მფრინავის ადგილი მიიღოს! დღეს დილით, ეს ეს არის, პეკინიდან საფოსტო თვითმფრინავების ანგარის მმართველისაგან წერილი მიიღო.

**შენ ტე.** ესე იგი მას შეუძლია ისევ იფრინოს? ოჰ, ქალბატონო იანგ!

**ქალბატონი იანგი.** მაგრამ ადგილი საშინლად ძვირი ღირს: 500 ვერცხლის დოლარი.

**შენ ტე.** ბევრია, მაგრამ ფულის გულისათვის საქმეს ხომ არ ჩავშლით? სხვა რომ აღარაფერი, მაღაზია მაქვს.

**ქალბატონი იანგი.** თუკი თქვენ რაიმეს გააკეთება შეგიძლიათ!

**შენ ტე** *(ეხვევა).* ნეტავი შემეძლოს!

**ქალბატონი იანგი.** თქვენ ნიჭიერ ადამიანს დაწინაურების საშუალებას მისცემდით!

**შენ ტე.** როგორ შეუძლიათ ადამიანს ხელი შეუშალონ, როცა იგი საჭირო საქმეს აკეთებს! (ცოტა ხნის შემდეგ) ერთი კია, მაღაზიაში უფრო ცოტას მომცემენ, ხელზე მხოლოდ 200 ვერცხლის დოლარი მაქვს, ეს არის ვისესხე. რაც მაქვს, რასაკვირველია, ახალვე შეგიძლიათ წაიღოთ, თამბაქოს მარაგს გავყიდი და იმით გადავიხდი.

(იგი მოხუცების მიცემულ ფულს ქალბატონ იანგს აძლევს.)

**ქალბატონი იანგი.** ოჰ, ფროილან შენ ტე, ეს დახმარება კი არა, სულზე მისწრებაა. მერედა, თქვენ იცით, ამ ქალაქში ზუნს მკვდარ მფრინავს ეძახდნენ, რადგან ყველა დარწმუნებული იყო, როგორც მკვდარს, ისევე მაგას არ შეუძლია ფრენაო.

**შენ ტე.** მფრინავის ადგილისათვის ჩვენ კიდევ გვჭირდება 300 ვერცხლის დოლარი. უნდა რაღაც მოვიფიქროთ, ქალბატონო იანგ (ხელა.) მე ვიცნობ ისეთ კაცს, რომელსაც შეუძლია დამეხმაროს. ეს არის ის, ვინც ერთხელ უკვე დამეხმარა. მეტად არ მსურდა მისთვის მომეხმო, რადგან იგი ძალიან მკაცრი და ძალიან ეშმაკია. ნეტავი ეს იყოს უკანასკნელი. მაგრამ მფრინავმა უნდა იგრძნოს, ეს ნათელია.

(შორიდან ძრავის ხმაური ისმის).

**ქალბატონი იანგი.** ნეტავი ვისზედაც თქვენ ლაპარაკობთ ფულის შოვნა შეეძლოს! ხელავთ თქვენ, ეს არის დილის საფოსტო თვითმფრინავი, პეკინში მიფრინავს!

**შენ ტე** (გადაწყვეტილად). ხელი დაუქნიეთ, ქალბატონო იანგ! მფრინავი ნამდვილად დაგინახავთ! (იგი თავშალს უქნევს.) თქვენც დაუქნიეთ ხელი!

**ქალბატონი იანგი** (ხელს დაუქნევს). იცნობთ იმ მფრინავს?

**შენ ტე.** არა. ვიცნობ ვინც უნდა იფრინოს, რადგან უიმედობით შეპყრობილმა უნდა იფრინოს, ქალბატონო იანგ. ერთმა ხომ მაინც უნდა დააღწიოს თავი ყოველგვარ გაჭირვებას. ერთი ხომ მაინც უნდა ავიდეს ყველაზე მაღლა. (ხალს.)

ჩემი ძვირფასი იანგ ზუნი ეურჩება ღრუბელთ სამეფოს,

შმაგი გრიგალის მიუხედავად,



ცას გადასერავს,  
და შორეული ქვეყნებიდან მეგობრებისთვის  
იგი მეგობრულ ფოსტას მოიტანს.

### **ინტერმედია ფარდის წინ**

შემოდის შენ ტე; ხელში შუი ტას ნილაბი და კოსტიუმი უჭირავს, მდერის.

სიმღერა ღმერთებისა და კეთილი ადამიანების უმწეობაზე

ჩვენს ქვეყანაში

ძალა არ შესწევს, რომ კეთილმა სიკეთე თესოს.

მხოლოდ ძლიერის მხარდაჭერით

მას შეუძლია დაამტკიცოს სიკეთე თვისი.

კეთილი კაცი ვერასოდეს დაგეხმარება

და ამ საქმეში თვით ღმერთები უძლურებია.

რატომ არა აქვთ ნეტავ ღმერთებს ნადმსატყორცნები,

ტანკი, ქვემეხი, ხომალდი და ყუმბარმზიდები.

რათა მოესპოთ ბოროტება ჩვენ საოცნებოდ,

ჩვენც და ღმერთებიც ვიქნებოდით გულდამშვიდებით.

*(იგი შუი ტას კოსტიუმს იცვამს და რამდენიმე ნაბიჯს მასავით გადაადგამს.)*

არ შესწევს კეთილ ადამიანებს

დიდხანს დარჩენა სიკეთის გზაზე,

ცარიელ თევშებს დაგეშილი ბრბო შესევია,

ღიას, ღმერთების მცნებანი და ქადაგებანი

არა შევლიან მშიერ კუჭს და უქონელობას.

რად არ ჩნდებიან ჩვენს ბაზრებში ნეტავ ღმერთები?!

უხვად დოვლათი დაარიგონ მომღიმარ სახით,

პური და ღვინო გვექონდეს ძმობის შემაერთები

და ერთმანეთის სიყვარულით ცხოვრობდეს ხალხი.

*(იგი შუი ტას ნიღაბს გაიკეთებს და მის ხმაზე განაგრძობს სიმღერას.)*

მცირე უღუფაც რომ ირგუნო, საჭიროა დიდი სიმკაცრე,

რომლის ძალასაც ვერდნობიან სახელმწიფონი.

თუკი თორმეტი არ გასრისეს

მეცამეტე გაჭირვებულს არ ეშველება.

რატომ არ ბჭობენ სამართალზე ღმერთები ცაში,

ღმერთები ამდენ მოუთმენელს ითმენენ რატომ,

ტანკსა და ქვემესს თუ კეთილებს მისცემდნენ, მაშინ

გაიხარებდა ქვეყანაზე სიკეთე მარტო.

5

### **თამბაქოს მაღაზია**

მაღაზიის დახლს იქით შუი ტა ზის და გაზეთს კითხულობს. იგი ყურადღებას არ აქცევს შინს, რომელიც ასუფთავებს და თან ლაპარაკობს.

**შინი.** ასეთი პატარა მაღაზია სწრაფად გაჩანაგდება, თუკი უბანში ნამდვილად გავრცელდა ხმა. ამაში შეგიძლიათ მენდოთ. დროა, თქვენ, როგორც წესიერმა კაცმა, ფარდა ახადოთ ფროილაინისა და ყვითელი ქუჩაბანდელი იანგ ზუნს შორის არსებულ ბნელ აფიორას. ნუ დაგაგიწყდებათ, რომ ბატონმა შუ ფუმ, ჩემს პირდაპირ მცხოვრებმა დალაქმა, რომელიც თორმეტი სახლს ფლობს და მხოლოდ მოხუცი ცოლი ჰყავს, სწორედ გუშინ ქებით მოიხსენია და გადაკრული სიტყვა მითხრა ფროილაინის შესახებ. ის კი არადა, შენ ტეს ეკონომიური მდგომარეობაც შეუტყვია. ვფიქრობ ეს არის ნამდვილი სიმპათიის დამადასტურებელი. *(რადგან შინს პასუხს არავინ გასცემს, ბოლოს იგი ვედროს აიღებს და გადის.)*

**ზუნის ხმა.** *(გარედან).* ეს არის ფროილაინ შენ ტეს მაღაზია?

**შინის ხმა.** დიას, ეს ისაა. მაგრამ დღეს აქ მისი ბიძაშვილია.

*(შუი ტა შენტესებური ნაბიჯებით მიიღებს სარკესთან და სურს თმა შეისწოროს. სარკეში შენიშნავს, რომ შეცდა. იგი წყნარი სიცილით შემობრუნდება. შემოდის იანგ ზუნი. მას ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი შინი მოჰყვება. იგი ზუნს გვერდს აუვლის და დახლში შევა.)*

**ზუნი.** მე იანგ ზუნი ვარ. *(შუი ტა წელში მოხრილი მიესალმება.)* შენ ტე აქ არის?

**შუი ტა.** არა, აქ არ გახლავთ.

**ზუნი.** თქვენ გეცოდინებათ ჩვენ რა დამოკიდებულებაში ვართ. *(იგი მაღაზიას თვალს მოაგვებს.)* კარგი მაღაზიაა. მე კი დარწმუნებული ვიყავი შენ ტე ტრაბახობდა. *(იგი კმაყოფილი იყურება ყუთებში და ფაიფურის ქოთნებში.)* ადამიანო, მე კვლავ ვიფრენ! იგი სიგარას იღებს, ხოლო შუი ტა ცეცხლს მოუკიდებს. თქვენ როგორ ფიქრობთ, შევძლებთ ჩვენ მაღაზიიდან 300 ვერცხლის დოლარის გამოწურვას.

**შუი ტა.** შემძლია გკითხოთ. თქვენ იქნებ განზრახვა გაქვთ მაღაზია ახლავე გაყიდოთ?

**ზუნი.** ჩვენ რა, 300 ვერცხლის დოლარი ნაღდად გვექნება?

*(შუი ტა უარის ნიშნად თავს გააქნევს.)*

**შუი ტა.** ნამდვილად თავაზიანად მოიქცა, 200 ვერცხლის დოლარი რომ იმწუთსავე გააჩინა. მაგრამ 300 ვერცხლის დოლარის გარეშე, რომელიც იმ ფულს აკლია, არაფერი გამოვა. ალბათ იგი ოდნავ აჩქარდა, როცა ფულს დაგპირდათ. შეიძლება ამას მაღაზიაც შეეწიროს. ნათქვამია: აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია.

**ზუნი.** ფული ან ახლავე უნდა ვიშოვო, ანდა აღარასოდეს აღარ დამჭირდება. გოგონები არ ეკუთვნიან მათ რიცხვს, რომლებიც გაცემაზე დიდხანს ფიქრობენ. კაცები ვართ და ჩვენს შორის დარჩეს. ამ დრომდე შენ ტეს არაფერზე არ უყუყუანია.

**შუი ტა.** მართლა!

**ზუნი.** ესეც მხოლოდ მის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

**შუი ტა.** შემიძლია ვიცოდე, 500 ვერცხლის დოლარი რა საჭიროებისთვისაა განკუთვნილი.?

**ზუნი.** ნამდვილად შეგიძლიათ. ვხედავ გსურთ კბილი მომისინჯოთ. პეკინელ ანგრის მმართველს, რომელსაც საფრენოსნო სკოლიდან ვმეგობრობ, თუკი 500 ვერცხლის დოლარს მივართმევ, შეუძლია ადგილი გამიჩინოს.

**შუი ტა.** მერედა ასეთი თანხა უზომოდ ბევრი არაა?

**ზუნი.** არა, იმ კაცმა ერთ-ერთ მფრინავს საქმეში დაუდევრობა უნდა დასწამოს, მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავს და ამიტომ ზედმიწევნით ბეჯითად ასრულებს სამუშაოს. გამიგეთ? სხვათა შორის, მე საიდუმლოდ გითხარით და საჭირო არაა შენ ტემ იცოდეს.

**შუი ტა.** იქნებ მართლაც ასე სჯობდეს, მხოლოდ ერთი რამ მინდა ვიცოდე: ანგარის მმართველი მომავალ თვეში თქვენ ხომ არ გაგყიდით?

**ზუნი.** მე არა. დაუდევარი არ ვიქნები. საკმაო ხანია უადგილოდ დავდივარ.

**შუი ტა** (თავს დაუქნევს). მშიერი ძაღლი უფრო ჩქარა ეწევა ურემს შინისაკენ. (იგი რამდენიმე ხანს გამომცდელად უყურებს ზუნს.) პასუხისმგებლობა ძალიან დიდია. ბატონო ინავ ზუნ, თქვენ ნათესავისაგან მოითხოვთ, რომ მან თავისი პატარა ქონება

და ყველა თავისი მეგობარი ამ ქალაქში თქვენ განაცვალოთ, თავის ბედიც თქვენ განდოთ, ვფიქრობ, რომ თქვენ განზრახული გაქვთ შენ ტე ცოლად შეირთოთ?

**ზუნი.** ამისათვის მზადა ვარ.

**შუი ტა.** მერედა, დასანანი არაა, რამდენიმე ვერცხლის დოლარისათვის მაღაზია ქარს გაატანოთ? ყოველთვის ცოტას მიიღებთ იმაში, რისი სწრაფად გაყიდვაც გასურთ. 200 ვერცხლის დოლარით, რომელიც თქვენ ხელთ გაქვთ, ნახევარი წლის ბინის ქირას გადაიხდით. ნუთუ თქვენ არ გხიბლავთ ის ამბავი, რომ საშუალება გექვსათ თამბაქოს საწარმოს გაუძღვეთ?

**ზუნი.** მე? განა მფრინავი იან ზუნი დახლში უნდა დაინახონ: „მაგარი სიგარეტი გნებავთ თუ რბილი, ღრმად პატივცემულო ბატონო?“ ეს იანგ ზუნის საქმე არაა, ყოველშემთხვევაში ამ საუკუნეში მაინც.

**შუი ტა.** ნება მიბოძეთ გკითხოთ ფრენოსნობა საქმოსნობა არის?

**ზუნი** (*ჯიბიდან წერილს ამოიღებს*). ბატონო მე თვეში 250 ვერცხლის დოლარს მივიღებ! თქვენ თვითონვე შეხედეთ წერილს, მარკაც აქვს და პეკინის ბეჭედიც არტყია.

**შუი ტა.** 250 ვერცხლის დოლარი? ეს ძალიან ბევრია.

**ზუნი.** თქვენ ფიქრობდით, ტყუილუბრალოდ დაფურინავ?

**შუი ტა.** როგორც ჩანს, ადგილი კარგია. ბატონო იანგ ზუნ, ჩემმა ნათესავმა დამავალა, მფრინავის ადგილის მიღებაში, რაც თქვენთვის ყველაზე მთავარია, დაგეხმაროთ. ჩემი ნათესავის თვალსაზრისიდან გამომდინარე, მე ვერავითარ დამარწმუნებელ საფუძველს ვერ ვხედავ, რომ მან თავის გულის კარნახს არ მისდიოს. მას სრული უფლება აქვს ეზიაროს სიყვარულის სიხარულს. მზადა ვარ, ყველაფერი, რაც აქ არის, ფულად ვაქციო. აგერ სახლის მეპატრონე ქალბატონი მი ტჩიუ მოდის, ვაჭრობის თაობაზე რჩევა უნდა ვკითხო.

**სახლის მეპატრონე ქალი** (*შემოდის*). გამარჯობა ბატონო შუი ტა. თქვენ, ცხადია, კარგად იცით, ბინის გადასახადზე მოგაკითხეთ, რომლის ვადა ზეგ თავდება.

**შუი ტა.** ქალბატონო მი ტჩიუ ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ საეჭვო გახდა ჩემი ნათესავი მაღაზიის პატრონობას შეძლებს თუ არა. შენ ტემ გათხოვება გადაწყვიტა და მომავალ საქმროს (*იგი იანგ ზუნს წარადგენს.*) – ბატონ იანგ ზუნს, იგი პეკინში თან მიჰყავს. იქ კი მათ სურთ ახალ ცხოვრებას ჩაუყარონ საფუძველი. თუ ჩემს თამბაქოში საკმარის ფულს მივიღებ, ვყიდი.

**სახლის მეპატრონე ქალი.** მერედა რამდენი გსურთ?

**ზუნი.** 300. მხოლოდ ამწუთსავე მაგიდაზე დააწყვეთ.

**შუი ტა** (*სწრაფად*). არა, 500!

**სახლის მეპატრონე ქალი.** (*ზუნს*). იქნებ შევძლო, როგორმე ხელი მოგიმართოთ, რა ღირდა თქვენი თამბაქო?

**შუი ტა.** ჩემმა ნათესავმა ამისთვის ერთხელ 1000 ვერცხლის დოლარი გადაიხადა, ხოლო გაყიდვით ძალიან ცოტა გაყიდა.

**სახლის მეპატრონე ქალი.** 1000 ვერცხლის დოლარი! თქვენი ნათესავი რა საკვირველია, მოუტყუებიათ. ერთ რაღაცას გეტყვით: მთელი მაღაზიისათვის 300 ვერცხლის დოლარს გავიმეტებ თუკი თქვენ ზეგ აქედან აიბარებთ.

**ზუნი.** ჩვენ ამას გავაკეთებთ! როდის, შე ძველო შენა!

**შუი ტა.** ძალიან ცოტაა!

**ზუნი.** საკმარისია!

**შუი ტა.** სულ ცოტა, 500 მაინც მინდა მივიღო.

**ზუნი.** რისთვის?

**შუი ტა.** ნება მიბოძეთ, რომ ჩემი ნათესავის შეყვარებულს რამდენიმე სიტყვა ვუთხრა. (*ზუნს გვერდით გაიხმობს.*) რაც აქ თუთუნია, მოხუც ცოლ-ქმართან 200 ვერცხლის დოლარად არის დაგირაგებული, ის ფული თქვენ გუშინ გადმოგცეს.

**ზუნი** (*ყოყმანით*). დაგირაგების თაობაზე რაიმე ხელწერილი თუ არის გაცემული.

**შუი ტა.** არა.

**ზუნი** (*სახლის მეპატრონე ქალს, პატარა პაუზის შემდეგ*) ჩვენ შეგვიძლია 300 ვერცხლის დოლარად დაგიტოვოთ.

**სახლის მეპატრონე ქალი.** მაგრამ მე მსურს ვიცოდე, მაღაზიას რაიმე ვალი ხომ არა აქვს.

**ზუნი.** უპასუხეთ.

**შუი ტა.** მაღაზიას არავითარი ვალი არა აქვს.

**ზუნი.** 300 ვერცხლის დოლარს როდის მივიღებთ?

**სახლის მეპატრონე ქალი.** ზეგ. მანამდე შეგიძლიათ კიდევ მოიფიქროთ. თუ თქვენ ერთ თვეს მოთმინეთ და მაღაზიას არ გაყიდით, კიდევ ივაჭრებთ და უფრო მეტ ფულს ამოქაჩავთ, მე 300 ვერცხლის დოლარს გიხდით და ამასაც მხოლოდ იმიტომ ვაკეთებ, რომ სიკეთე მსურს ვთქვო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ლაპარაკია ორ ახლგაზრდა შეყვარებულზე.

*(ვადის)*

**ზუნი** (*მიადახეხს*). თანახმა ვართ! ყუთები, ქოთნები და პატარა ტომრები, ყველაფერი 300 ვერცხლის დოლარად წაიღეთ და ტანჯვასაც ბოლო მოეღება. *(შუი ტას)* ზეგამდე რომ სხვა ვინმემ მეტი შემოგეთავაზოს? მაშინ შეგვიძლია ის 200 ვერცხლის დოლარი მოხუცებს უკან დავებრუნოთ.

**შუი ტა.** ასეთ მოკლე დროში ვერასგზით. 300-ზე მეტს, რაც მიტჩიუმ შემოგეთავაზა, ერთ ვერცხლის დოლარსაც ვერ მივიღებთ. პირველი ხანისათვის ორ კაცს რომ სამგზავრო ეყოფა, იმდენი ფული თუ მაინცა გაქვთ?

**ზუნი.** ნამდვილად მაქვს.

**შუი ტა.** ნამდვილად გაქვთ?

**ზუნი.** ქვას გავხეთქავ და საიდანმე გავაჩენ, მოპარვაც რომ დამჭირდეს!

**შუი ტა.** აჰ, ასეა ხომ, ეს თანხაც საიდანღაც უნდა გააჩინო?

**ზუნი.** თავს ნუ იცხელებ ფიქრით, ძმობილო, პეკინამდე როგორმე ჩავაღწევ.

**შუი ტა.** მაგრამ ორი ადამიანისათვის არც ისე იაფი იქნება.

**ზუნი.** ორი ადამიანისათვის? გოგოს აქ ვტოვებ, პირველ ხანებში ჩემთვის იგი მხოლოდ მძიმე ტვირთი იქნება.

**შუი ტა.** გასაგებია.

**ზუნი.** რას მომშტერებისხართ, თითქოს არასოდეს გინახავართ? საბანი როგორც გაგწვდება, ისე უნდა დაიხურო.

**შუი ტა.** მერედა, ჩემმა ნათესავმა რითიღა უნდა იცხოვროს?

**ზუნი.** თქვენ ვერაფრით ვერ დაეხმარებით?

**შუი ტა.** ვეცდები. (პაუზა.) ძალიან კარგი იქნება, 200 ვერცხლის დოლარს ახლავე თუ დამიბრუნებთ, ბატონო იანგ ზუნ, და აქ იდოს, ვიდრე პეკინის 2 ბილეთს არ მაჩვენებთ.

**ზუნი.** ძვირფასო ცოლის ძმავ, ძალიან კარგი იქნება, თუ ჩვენ საქმეში ცხვირს არ ჩაჰყოფთ.

**შუი ტა.** ფროილან შენ ტემ...

**ზუნი.** მშვიდად შეგიძლიათ მანდოთ ის გოგონა.

**შუი ტა.** სულ ადვილი შესაძლებელია მაღაზიის გაყიდვა არც ისურვოს როცა გაიგებს...

**ზუნი.** მაშინაც ისურვებს.

**შუი ტა.** მე რომ წინააღმდეგი ვიყო, არ გეშინიათ?

**ზუნი.** ძვირფასო ბატონო?



**შუი ტა.** ჩანს გავიწყდებათ, რომ შენ ტე ადამიანია და გონება აქვს.

**ზუნი** *(გამხიარულებული).* როცა ზოგიერთი ადამიანი ქალთა სქესის კეთილგონიერებასა და გავლენაზე რწმენას გამოთქვამს, ყოველთვის განცვიფრებული ვრჩები. გაგიგონიათ კი, თუნდაც ერთხელ სიყვარულის ძაღლისა, ანდა ხორცის ძახილის შესახებ? თქვენ შენ ტეს გონების იმედი გაქვთ? მას არავითარი გონება არ გააჩნია! ცხოვრება მკაცრად მოექცა იმ საწყალ არსებას! საკმარისია მხარზე ხელი დავადო და ვუთხრა, ჩემთან წამოდი-მეთქი, რომ ჩემი ხმა ზარების რეკვასავით ჩაესმას და შემდეგ საკუთარი დედაც ვეღარ იცნოს.

**შუი ტა** *(დაღლილი).* ბატონო იანგ ზუნ!

**ზუნი.** ბატონო... რა გქვიათ თქვენ?

**შუი ტა.** ჩემი ნათესავი თქვენი ერთგულია, რადგან...

**ზუნი.** იმიტომ არის ერთგული, რომ მის მკერდს ვეაღერებები? ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომე! *(იგი ერთ სიგარას კიდევ იღებს, რამდენიმე ცაღს ჯიბეში იღებს და ბოლოს მთელ ყუთს ამოიხრის იღლიაში.)* შენ ტესთან ცარიელი ხელით არ მიხვალ: ქორწინება ძალაში რჩება. ამიტომ შენ ტემ მომიტანოს 300 ვერცხლის დოლარი, ანდა შენ მომიტანე, ან იმან ან შენ! *(გაღის.)*

**შინი.** *(საკუჭნაოდან თავს გამოყოფს).* ძალიან უსიამოვნო პიროვნებაა! მერედა, მთელმა ყვითელმა ქუჩამ იცის, რომ გოგონა გამოჭერილი ჰყავს.

**შუი ტა** *(ყვირილით).* მაღაზიამ ჭირი მოგგჭამა! იანგ ზუნსაც აღარ უყვარს! ყველაფერი გაცამტვერდა, დავიღუპე! *(იგი დამწყვედული მხეცივით აქეთ-იქით აწყდება და ერთსა და იამვეს გაიძახის)* „მაღაზამ ჭირი მოგჭამა!“ ბოლოს უცებ გაჩერდება და შინს მიმართავს.) „შინ, თქვენ წყალსაწრეტ თხრილში გაიზარდეთ, მეც აგრეთვე. ჩვენ ქარაფშუტები ვართ არა! როცა უხეშობა არის საჭირო, განა უხეშობა გვაკლია? არა! მე მზადა ვარ, თქვენ კისერში გწვდეთ და იმდენხანს განჯღრიოთ, ვიდრე არ ამოაფურთხებთ მონეტას, რომელიც მე მომპარეთ, თქვენ ეს იცით. საშინელი დრო დადგა, ეს ქალაქი კი არა, ჯოჯოხეთია, მაგრამ ჩვენ ციცაბო კედელზე ხევით მივფოფხავთ. ამ დროს რომელიმე ჩვენთაგანს უბედურება ეწვევა:

მას ვინმე შეუყვარდება ეს საკმარისია დაღუპვისათვის. უბრალო სისუსტე და, ადარ იარსებებს ქვეყნად, როგორ უნდა გავთავისუფლდეთ ყოველგვარი ამ სისუსტისაგან, რომელსაც სიყვარული ჰქვია? ეს საერთოდ შეუძლებელია! ეს ძალიან ძვირად ფასობს. მაგრამ, ერთი მითხარით, განა შეიძლება სულ ასე თვალებდაცეცებული იცხოვრო? რას ჰგავს ეს, ეს რა ქვეყანაა?

ტროფობის ალერსი დახრჩობაში გადადის შემდეგ,

სასიყვარულო ამოსუნთქვა გადაიქცევა შიშის ყვირილად.

იქაურობას ქორები რად დასტრიალებენ?

იქ ერთი ქალი პაემანზე მიეშურება!

**შინი.** ვფიქრობ, უკეთესი იქნება, ახლავე დალაქი მოვიყვანო. თქვენ მას უნდა მოეღაპარაკოთ. პატიოსანი კაცია. თქვენი ნათესავისთვის დალაქი ყველაზე უფრო შესაფერისია.

*(რადგან პასუხი არავინ გასცა, იგი სირბილით მიდის. ვიდრე ბატონი შუ ფუ შემოვა, შუი ტა ისევ აქეთ-იქით აწყდება; შუ ფუს შინი, მოსდევს, მის ნიშანზე იგი უკან იხევს.)*

**შუი ტა.** *(შესახვედრად მიეშურება).* ძვირფასო ბატონო, ყურმოკრულად ვიცი, რომ თქვენ ჩემი ნათესავი ქალი მოგწონთ. თავი დავანებოთ ახლა ყოველგვარ ზრდილობას, მოკრძალებას, ყველაფერი ეს გვერდზე გადავდოთ, რადგან ფროილანინი ამ წუთში უდიდეს საფრთხეშია ჩავარდნილი.

**ბატონი შუ ფუ.** ოჰო!

**შუი ტა.** რამდენიმე საათის წინ ჩემი ნათესავი ჯერ კიდევ მაღაზიის მფლობელი გახდა, ახლა სხვა არაფერია, თუ არა მათხოვარი. ბატონო შუ ფუ, ამ მაღაზიამ ჭირი მოგჭამათ.

**ბატონი შუ ფუ.** ბატონო შუი ტა, ფროილანინ შენ ტეს მომხიბლაობა მისი მაღაზიის სიკეთით კი არაა გამოწვეული, არამედ მისი გულის სიკეთით. სახელი, რომელსაც

ეს უბანი ფროილანის უწოდებს, ყველაფრის მეტყველია: ქალაქის გარე უბნის ანგელოზი!

**შუი ტა.** ძვირფასო ბატონო. ეს სიკეთე ჩემს ნათესავს ერთადერთი დღის მანძილზე 200 ვერცხლის დოლარი დაუჯდა! ბოლო უნდა მოეღოს ასეთ რამეს.

**ბატონი შუ ფუ.** ნება მიბოძეთ, რომ სხვა აზრი გამოვთქვა: სიკეთეს სწორედ ახლა გაეხსნას გზა. ფროილანის ნატურა ასეთია, სიკეთეს სჩადის, რა მოსატანია ოთხი კაცის საჭმელი, ამ სურათს ყოველ დღით გულაჩვილებული ვუყურებ! რატომ არ უნდა გამოკვებოს მან თუნდაც ოთხასი სული? მე ყური მოვკარი, შენ ტე, თურმე თავს იმტვრევს, იქნებ როგორმე რამდენიმე უსახლკაროს თავშესაფარი მისცეს. სასაკლავოს უკან მდებარე ჩემი სახლები ცარიელია. ის სახლები შენ ტეს გამგებლობაში გადამიცია და. ა. შ. და ა. შ. ბატონო შუი ტა, იმედი უნდა ვიქონიო თუ არა, რომ ასეთი იდეები, რომლებიც უკანასკნელი დღეების მანძილზე აზრად მომივიდა, ფროილანის შენ ტეს ყურადღების ღირსი გახდება?

**შუი ტა.** ბატონო შუ ფუ, იგი ასეთ მაღალ აზრებს აღტაცებით მოისმენს.

*(პოლიციელის თანხლებით შემოდის ვანგი, ბატონი შუ ფუ თაროების შესამოწმებლად შებრუნდება.)*

**ვანგი.** ფროილან შენ ტე არ არის?

**შუი ტა.** არა.

**ვანგი.** მე მეთუღუხე ვანგი ვარ. თქვენ ბატონო შუი ტა ბრძანდებით, ხომ?

**შუი ტა.** სავსებით მართალია. გამარჯობა, ვანგ.

**ვანგი.** შენ ტეს მეგობარი ვარ.

**შუი ტა.** ვიცი, რომ თქვენ შენ ტეს უძველესი მეგობართაგანი ხართ.

**ვანგი** *(პოლიციელს).* ხედავთ? *(შუი ტას.)* ჩემი ხელის თაობაზე მოვედი.

**პოლიციელი.** ხელი მოტეხილია, ეს უკვე ნამდვილია.

**შუი ტა** (*სწრაფად*). ვხედავ, ხელის გადახვევა გსურთ.

(*გვერდით ოთახიდან თავშალი შემოაქვს და ვანგს ეხვრის.*)

**ვანგი**. მაგრამ ეს ხომ მთლად ახალი თავშალია?

**შუი ტა**. შენ ტეს იგი უკვე აღარ სჭირდება.

**ვანგი**. შენ ტემ ეს თავშალი იმიტომ იყიდა, იქნებ ვიღაცას მოგვეწონო.

**შუი ტა**. როგორც გამოირკვა, უკვე აღარ არის საჭირო;

**ვანგი** (*თავშალს ხელზე შემოიხვევს*). შენ ტე ჩემი ერთადერთი მოწმეა.

**პოლიციელი**. მგონი თქვენი ნათესავი შესწრებიან, დალაქმა შუ ფუმ თმის დასახვევი მაშით მეთუღუსე რომ სცემა. იცით ამის თაობაზე რაიმე?

**შუი ტა**. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემი ნათესავი თვითონ არ იყო ადგილზე. როცა ეს პატარა შემთხვევა მოხდა.

**ვანგი**. ეს გაუგებრობაა! ჯერ შენ ტე მოვიდეს და ყველაფერს ფარდა აეხდება. იგი ყველაფერს დაამოწმებს, სადაა შენ ტე?

**შუი ტა** (*სერიოზულად*). ბატონო ვანგ, თქვენ ჩემი ნათესავის მეგობარი ყოფილხართ. ჩემს ნათესავს სწორედ ახლა დიდი საზრუნავი გაუჩნდა. იგი სულით ხორცამდე გაძარცვეს. მომავალში მან პაწაწკინტელა სისუსტეც კი აღარ უნდა გამოიჩინოს. დარწმუნებული ვარ თქვენ არ ისურვებთ, რომ საბოლოოდ მან ყველაფერი დაკარგოს, თუკი ცრუ მოწმედ დაუდგება ვინმეს.

**ვანგი** (*დაბნეულად*). მაგრამ მე სწორედ მისი რჩევით წავედი მოსამართლესთან.

**შუი ტა**. გეგონათ მოსამართლე ხელს მოგიჩინდათ?

**პოლიციელი**. არა, მაგრამ მოსამართლე დალაქს ფულს გადაახდევინებდა. (*ბატონი შუ ფუ შემობრუნდება.*)

**შუი ტა**. ბატონო ვანგ, წესადა მაქვს ჩემი მეგობრების ჩხუბში არ ჩავერიო.

*(შუი ტა მდაბლად თავს დაუკრავს ბატონ შუ ფუს, შუ ფუს ასევე თავის დაკვრით მიესალმება.)*

**ვანგი** *(ხელზე შემოხვეულ თავშალს მოიძრობს და უკან მისცემს, ნაღვლიანად).*  
გასაგებია.

**პოლიციელი.** მგონი, შემძლია წავიდე. ტყუილის თქმით უსამართლობა ჩაიდინე, და ისიც, წესიერი კაცის მოტყუება განიზრახე. შემდგვისათვის საჩივარზე ცოტა ფრთხილად იყავი, ყმაწვილო, ბატონმა შე ფუმ თუ არ შეგიცოდა, შეიძლება შეურაცყოფისათვის ციხეში მიგაბრძანონ. ახლა კი აქედან მოუსვი! *(ორივენი გადიან.)*

**შუი ტა.** ბოდიშს ვიხდი ამ შემთხვევის გამო.

**ბატონი შუ ფუ.** მიპატიებია. *(სწრაფად.)* „იმ ვიღაცის“ საქმემ *(იგი თავშალზე მიუთითებს.)* ნამდვილად ჩაიარა? სულ დამთავრდა?

**შუი ტა.** სრულიად ცნობილია, რა კაციც არის. თუმცა დროა საჭირო. ვიდრე შენ ტეს ჭრილობა მოუშუშდება.

**ბატონი შუ ფუ.** სიფრთხილესა და წინდახედულებას გამოიჩინენ.

**შუი ტა.** სულ ახლი ჭრილობებია.

**ბატონი შუ ფუ.** შენ ტე სოფელში გაემგზავრება.

**შუი ტა.** რამდენიმე კვირით ყოველ შემთხვევაში შენი ტე მოხარული იქნება, ყველაფერზე წინასწარ ისეთ ვინმესთან მოილაპარაკოს, ვისი ნდობაც მას შეეძლება.

**ბატონი შუ ფუ.** პატარა ვახშამზე, ასევე პატარა, მაგრამ კარგ რესტორანში.

**შუი ტა.** საიდუმლო ვითარებაში. ვჩქარობ ჩემს ნათესავს ყველაფერი შევატყობინო. იმედია გონიერებას გამოიჩენს. იგი ძალიან შემფოთებულია მაღაზიაზე ფიქრით, რომელსაც ღმერთების საჩუქრად თვლის. რამდენიმე წუთით მოითმინეთ! *(გვერდით ოთახში გადის.)*

**შინი** (თავს გამოჰყოფს). შეიძლება მოგილოცოთ?

**ბატონი შუ ფუ.** შეიძლება, ქალბატონო შინ. დღესვე აუწყეთ ჩემი სახელით იმ ხალხს, რომლებიც შენ ტესთან თავშესაფარს ეძებენ, რომ სასაკლავოს უკან მდებარე სახლს ვუთმოვ საცხოვრებლად.

(შინი ღრეჭვით თავს უკრავს.)

(ბატონი შუ ფუ წამოდგება, ხალხს მიმართავს). როგორ გგონიათ ჩემო ქალბატონებო და ბატონებო? შეიძლება მეტის გაკეთება? შეიძლება უფრო თავგანწირული იყო? უფრო გულისხმიერი? უფრო შორს მჭვრეტელი? პატარა ვახშამი! ამ დროს, საერთოდ, როგორ ვუღვარულსა და უწმინდურს არ ფიქრობენ. და მაინც არაფერი მოხდება, არაფერი. არავითარი ხელის შეხება; ვითომ შემთხვევითაც კი, მაშინაც, როცა სამარილეს ასაღებად ხელს გავწევ. მხოლოდ იდეების გაცვლა-გამოცვლას ექნება ადგილი. მაგიდაზე დადგმულ ყვავილებს შორის ორი სული ერთმანეთს იპოვის. კარგად გამახსენდა, თეთრი ქრიზანთემები. (ჩაინიშნავს.) არა, კაცი რომ გაჭირვებაში ჩავარდება, წიხლი არ უნდა დააჭირო. ის, რომ მას იმედები გაუცრუვდა, ამით შენ არ უნდა ისარგებლო. შეთავაზებული იქნება თანაგრძნობა და დახმარება, მაგრამ თითქმის უხმაუროდ. ცხადია, ეს მხოლოდ გამოხედვით იქნება საცნაური, გამოხედვით რომელიც შეიძლება სიტყვაზე მეტსაც ნიშნავდეს.

**შინი.** ყველაფერი სურვილის მიხედვით გაკეთდა, ბატონო შუ ფუ?

**ბატონი შუ ფუ.** ოჰ, მხოლოდ და მხოლოდ სურვილის მიხედვით. შესაძლებელია ამ ადგილებში ცვლილებები მოხდეს. ის ვიღაცა პიროვნება თავიდან იქნება მოცილებული და მაღაზიაზე მისი პრეტენზიებიც ნაცარტუტად იქცევა. ზოგიერთებს, რომლებსაც არ შერცხვებათ და ამ ქალაქის უმანკო გოგონას შეურაცყოფას მიაყენებენ, მომავალში ჩემთან ექნებათ საქმე. რა იცით თქვენ იმ იანგ ზუნის შესახებ?

**შინი.** იგი არის ყველაზე ჭუჭყიანი, ყველაზე ზარმაცი...

**ბატონი შუ ფუ.** იგი არაფერია, იგი არ არსებობს, იგი ცოცხლებში არ წერია, შინ.

(შემოდის ზუნი.)

**ზუნი.** რა ხდება აქ?

**შინი.** ბატონო შუ ფუ, გნებავთ, რომ ბატონ შუი ტას დავუძახო? მას არავითარი სურვილი არ ექნება, რომ აქ, მაღაზიაში უცხო ხალხი დაძრწოდეს.

**ბატონი შუ ფუ.** ფროილდინ შენ ტეს ბატონ შუი ტასთან დიდმნიშვნელოვანი მოლაპარაკებები აქვს, შეუძლებელია გავაწყვეტინოთ.

**ზუნი.** რაო, შენ ტე აქ არის? აქ შემოსული არც დამინახავს ნეტავი რა მოლაპარაკება აქვთ? უნდა მივიღო მონაწილეობა!

**ბატონი შუ ფუ** (*ზუნს გვერდით ოთახში არ შეუშვებს*). დაცდა მოგიხდებათ, ბატონო ჩემო, ვიცი ვინც ბრძანდებით. ნება მიბოძეთ გაცნობოთ, რომ ფროილდინ შენ ტე და მე მზადა ვართ ჩვენი ჯვრისწერა გამოვაცხადოთ.

**ზუნი.** რა?

**შინი.** თქვენ ეს გიკვირთ?

(*ზუნს გვერდით ოთახში გასვლა სურს და დალაქს ჭიდაობას გაუმართავს, იქიდან შენ ტე გამოდის.*)

**ბატონი შუ ფუ.** ბოდიში, ძვირფასო შენ ტე. იქნებ თქვენ მაინც აუხსნათ.

**ზუნი.** რა ამბავია შენ ტე? შენ რა, ჭკუიდან ხომ არ შეიშალე?

**შენ ტე** (*სუნთქვა შეკრული*). ზუნ, ჩემი ბიძაშვილი და ბატონი შუ ფუ შეთანხმდნენ, რომ მე ბატონი შუ ფუს იდეებს ყურად ვიღებ, თუ როგორ დავეხმაროთ ამ უბანში მცხოვრებ ხალხს. (*პაუზა*) ჩემი ბიძაშვილი, ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგია.

**ზუნი.** და შენ დათანხმდი?

**შენ ტე.** ჰო.

**ზუნი.** შენ მათ გითხრეს, რომ მე ცუდი კაცი ვარ?

(*შენ ტე დუმს*).

აღბათ, მართლაც ასეთი ვარ, შენ ტე. ამიტომაც მჭირდებოდი. მე ერთი სულმდაბალი ადამიანი ვარ. უფულო, უსაქციელო. მაგრამ თავს არავის დავაჩაგვრინებ. შენ უბედურებაში იგდებ თავს, შენ ტე. (*ზუნი შენ ტესთან მივა. ხმადაბლა.*) ერთი იმას შეხედე თვალები აღარა გაქვს? (შენ ტეს მხარზე ხელს დაადებს). საბრალო ქმნილებაგ, შენ კიდევ უბედურება გაკლდა, რომ არ მოგიმატონ? ცოლქმრობა ანგარიშით? უჩემოდ ისინი პირდაპირ სასაკლაოზე წაგათრევენ. თვითონ თქვი, უჩემოდ შენ მათ წაჰყვებოდი?

**შენ ტე.** ჰო.

**ზუნი.** იმ კაცს. რომელიც შენ არ გიყვარს!

**შენ ტე.** ჰო.

**ზუნი.** ყველაფერი დაგავიწყდა? როგორ წვიმდა?

**შენ ტე.** არა.

**ზუნი.** ტოტი რომ გადამიჭერი, ერთი კათხა წყალი რომ მიყიდე, ფულს დამპირდი, რომ კვლავ ფრენა შემძლებოდა?

**შენ ტე** (*კანკალით*). რა გინდა?

**ზუნი.** ის, რომ ჩემთან ერთად წამოხვიდე.

**შენ ტე.** ბატონო შუ ფუ, ბოდიშს ვიხდი, მე ზუნთან ერთად უნდა წავიდე.

**ზუნი.** ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი, იცით თქვენ! (*იგი შენ ტეს კართან მიიყვანს.*) მაღაზიის გასაღებები სად გაქვს? (*შენ ტე ჯიბიდან გასაღებს ამოიღებს და შინს გადასცემს.*) კარის ზღრუბელზე დადეთ, როცა ყველაფერს მორჩებით. წავიდეთ, შენ ტე.

**ბატონი შუ ფუ.** მაგრამ ეს ხომ ძალადობაა! (*ზურგიდან მიაყვირებს.*) ბატონო შუი ტა!

**ზუნი.** ერთი იმას უთხარი, აქ ნუ ღრიალებს.



**შენ ტე.** გთხოვთ ჩემ ბიძაშვილს ნუ ეძახით, ბატონო შუ ფუ. ვიცი, იგი არ მეთანხმება, მაგრამ იმასაც ვგრძნობ, რომ მართალი არ არის. *(ხალხს.)*

მე მსურს მას გავეყვე, ვიზედაც ვარ შეყვარებული.

არ მსურს ყველაფრის ანგარიშით ვიმტვიროთ თავი,

არ მსურს ვიფიქრო, კარგია თუ ცუდია იგი,

არ მსურს ვიცოდე, ვუყვარვარ თუ არაფრად მაგდებს,

მე მსურს მას გავეყვე, ვის ზედაც ვარ შეყვარებული.

**ზუნი.** ასეა ეს.

*(ორივენი გადიან.)*

### **ინტერმედია ფარდის წინ**

საქორწინოდ მორთული შენ ტე ჯვრის დასაწერად მიდის, ხალხისკენ შემობრუნდება.

**შენ ტე.** საშინელი თავგადასავალი გადამხდა. როცა მხიარული და მოლოდინით აღსავსე კარებში გამოვედი, ქუჩაში ხალიჩებით მოვაჭრის ცოლი დამხვდა და კანკალით მიამბო, რომ მისი ქმარი ფულის გამო, რომელიც მე მასესხა, ადელვებისა და შიშისაგან ავად გამხდარა. ქალს ჰგონია ეშველება, თუკი ყოველ მიზეზგარეშე ფულს ახლავე უკან დავაბრუნებ. რასაკვირველია, დავპირდი. ქალი საოცრად სახეგაბრწყინებული იყო და თვალცრემლიანმა ყოველგვარი სიკეთე მისურვა, თან ბოდიშს მიხდიდა, რომ ვერც შენ ბიძაშვილს და ვერც ზუნს ვერ ვენდობითო. როცა ქალი წავიდა, ისეთმა შიშის ზარმა ამიტანა, იძულებული გახდი, კიბეზე ჩამოემჯდარიყავი, როცა გრძნობები კვლავ ამეშალა, იანგ ზუნის მკლავებს ისევ მივაშურე. ვერ გავუძელი იანგ ზუნის ხმასა და ალერსს. ავმა სიტყვამ, რაც მან შუიტას აკადრა, შენ ტეს ჭკუა ვერ ასწავლა. იანგ ზუნის მკლავებში რომ ვეფლობოდი, ვფიქრობდი: ღმერთებსაც ხომ სურდათ, რომ საკუთარი თავის მიმართაც კეთილი ვიყო.

არც სხვა დაღუპო, არც სხვას მისცე ნება დაგღუპოს,

ყველგან, ყველასთან სიკეთე თესო,

ესაა კარგი.

როგორ შემიძლია ასე უბრალოდ ორი კეთილი მოხუცის დავიწყება! ზუნმა, როგორც პატარა ქარიშხალმა, ჩემი მაღაზია, და ამასთან ერთად ყველა ჩემი მეგობარი, პეკინის მიმართულებით გააქროლა, მაგრამ იანგ ზუნი ცუდი კაცი არაა და მეც ვუყვარვარ. ვიდრე მასთან ვარ, ცუდს არაფერს ჩაიდენს. ზუნს სურს დიდი და ძლიერი იყოს და განსაკუთრებით გულქვა გამოჩნდეს. როცა ვეტყვი, რომ მოხუცებს არ შეუძლიათ გადასახადის გადახდა-მეთქი, იგი ყველაფერს მიმიხვედბა. უკეთესი იქნება, თუ ზუნი ცემენტის ქარხანაში დაიწყებს მუშაობას, ვიდრე უკეთური გზით მფრინავი გახდება. სიმართლე რომ ითქვას. მფრინაობა მისი უდიდესი მისწრაფებაა. ნუთუ მეყოფა ძალა, რათა მასში სიკეთე გავადვიდო? ახლა საქორწინო გზაზე დამდგარს, შიშისა და სიხარულის გრძნობა ერთდროულად მეუფლება.

*(სწრაფად გადის.)*

### **ცალკე ოთახი ქალაქის რესტორნის იაფასიან რესტორანში**

ოფიციალტი მექორწილებს ღვინოს სთავაზობს. შენ ტეს ახლოს დგანან: ბაბუა, რძალი, დიშვილი გოგონა, შინი და უმუშევარი, კუთხეში განმარტოებით ერთი ბონზა დგას. წონ წამოწეული ზუნი დედამისს, ქალბატონ იანგს ელაპარაკება. ზუნს სმოკინგი აცვია.

**ზუნი.** რაღაც უსიამოვნებანი მოხდა დედა. ესესაა შენ ტემ, სრულიად გულწრფელად განმიცხადა, რომ ჩემი გულისთვის მაღაზიას ვერ გაყიდის. ვიდაცეებმა ვალის დაბრუნება მოითხოვეს, სწორედ იმ 200 ვერცხლის დოლარისა, რომელიც შენ ტემ მომცა. თანაც შენ ტეს ბიძაშვილმა მითხრა, რომ სესხების ხელწერილი საერთოდ არ არსებობსო.

**ქალბატონი იანგი.** მერედა, შენ რა უპასუხე? რასაკვირველია შენ მისი ცოლად შერთვა არ შეგიძლია.

**ზუნი.** შენ ტესთან ასეთ რამეზე ლაპარაკს არავითარი აზრი არა აქვს. იგი მეტიხმეტად სქელშუბლიანია. ბიძაშვილის მოსაყვანად კაცი გავგზავნე.

**ქალბატონი იანგი.** კი მაგრამ, ბიძაშვილი არ იყო, დალაქზე რომ ათხოვებდა?!

**ზუნი.** ის ჯვრისწერა მე ჩავშალე, დალაქი გზიდან ჩამოვიცილე. ბიძაშვილი მალე მიხვდება, რომ მაღაზიის საქმე წასულია, თუკი 200 ვერცხლის დოლარს არ დავაბრუნებ, მევალებები ხომ მაღაზიის კონფისკაციას მოახდენენ; მაგრამ მისთვის ისიც გასაგებია, რომ თუ 300 ვერცხლის დოლარს ვერ ვიშოვი, ადგილი დამეკარგება.

**ქალბატონი იანგი.** მე რესტორნის წინ შენ ტეს ბიძაშვილს დაუდარაჯდები. შენ კი საცოლესთან წადი, ზუნ!

**შენ ტე** (*ღვინის დასხმის დროს ხალხს მიმართავს*). არ შევმცდარვარ, ზუნს ცოლად რომ გავყევი. მას არაფრით არ გამოუხატავს იმედების გაცრუება. მიუხედავად იმისა რომ ზუნმა მძიმე ტრამვა მიიღო, როცა ფრენაზე უარი უთხრეს, იგი მაინც სავსებით მხიარულია, იმედს არ კარგავს, ძალიან მიყვარს ზუნი. (*შენ ტე ზუნს თავის დაქნევით მოიხმობს.*) ზუნ, საცოლესთან ჭიქა ჯერ კიდევ არ მიგიჭახუებია!

**ზუნი.** რისი სადღეგრძელო დავლიოთ?

**შენ ტე.** ჩვენი მომავლის.

(*სვამენ.*)

**ზუნი.** როცა სასიძოს სმოკინგის თხოვება აღარ დაჭირდება!

**შენ ტე.** მაგრამ საცოლის კაბა წვიმაში კიდევ მოხვდება!

**ზუნი.** ყველაფრის სადღეგრძელო იყოს. რაც ჩვენ გესურს!

**შენ ტე.** რომ ყველაფერი სწრაფად შეგისრულდეს.

**ქალბატონი იანგი.** (*სიარულის დროს შინს*). ჩემი შვილით აღფრთოვანებული ვარ. სულ იმას ვეჩინებოდი, ვისაც კი ხელს დაადებ, ყველა ცოლად წამოგყვება – მეთქი. – რატომ? ჩემი შვილი მექანიკოსიც არის და მფრინავიც. მერედა, ახლა რას

მეუბნება? ცოლს სიყვარულით ვირთავ, ფული გადამწყვეტი არ არის, ეს ქორწინება სიყვარულითააო. *(რძაღს.)* ერთხელაც ხომ უნდა მომხდარიყო, ხომ მართალია? მაგრამ დედისთვის ძალიან ძნელია, ძალიან ძნელი. *(ბონზას ხმამაღლა.)* ნუ აჩქარდებით. თუკი თქვენ ცერემონიალისათვის იმდენივე დრო დაგჭირდებათ, რამდენ ხანსაც გასამრჯელოზე მევაჭრებით, მაშინ გასამრჯელო შესაფერისად გაიზრდება. *(შენ ტეს.)* ჩვენ, რასაკვირველია, ცოტა კიდევ უნდა დავიცადოთ, ჩემო საყვარელო. ერთ-ერთი პატივსაცემი სტუმართაგანი ჯერ კიდევ არ მოსულა. *(ყველას.)* ბოდიშს ვიხდი, გეთაყვათ. *(გადის.)*

**რძაღი.** სიამოვნებით მოითმენენ, ვიდრე ღვინო არის. *(სხდებიან.)*

**უმუშევარი.** არსად არ გვაგვიანდება.

**ზუნი** *(სტუმრების წინ ხმამაღლა და ოხუნჯობით).* და ჯვრისწერის წინ, შენ კიდევ ერთი პატარა გამოცდა უნდა მოგიწყო. ეს სრულებითაც არ იქნება უსარგებლო გამოცდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ასე სასწრაფოდ გადაწყვეტენ ქორწინებას. *(სტუმრებს.)* წარმოდგენაც არა მაქვს როგორი ცოლი მარგუნა ბედმა. ეს ამბავი მოსვენებას მიკარგავს. შენ, მაგალითად, შეგიძლია სამი ჩაის ფოთლისგან ხუთი ფინჯანი ჩაი მოადულო?

**შენ ტე.** არა.

**ზუნი.** ესე იგი, ჩაი არ მეღირსება. შეგიძლია თუ არა ისეთ თივის ტომარაზე იძინო, მღვდლის ლოცვანის წიგნის ზომა რომაა?

**შენ ტე.** ორივემ?

**ზუნი.** მარტომ.

**შენ ტე.** მაშინ არა.

**ზუნი.** სასოწარკვეთილი ვარ, ეს როგორი ცოლი მარგუნა ბედმა.

*(ყველანი იცინიან. შენ ტეს ზურგის უკან ქალბატონი იანგი გამოჩნდება. იგი ზუნს მხრების აჩეხვით ანიშნებს, რომ სტუმარს, რომელსაც ველოდებით, არ ჩანსო.)*

**ქალბატონი იანგი** (ბონზას მიმართავს, რომელიც საათს აჩვენებს). ასე რა გეჩქარებათ? ნუთუ რამდენიმე წამი არ შეგიძლიათ დაიცადოთ? ვუყურებ. სვამენ, ეწვევიან და არც არავინ ჩქარობს. (ქალბატონი იანგი სტუმრებთან ჯდება.)

**შენ ტე.** კი მაგრამ ჩვენ ხომ უნდა მოვითათბიროთ, საქმეები როგორ მოვაწესრიგოთ?

**ქალბატონი იანგი.** ოო, დღეს არავითარი საქმეები, გეთაყვა! ეს ძალიან მოსაწყენს გახდიდა ზეიმს, ხომ ასეა?

(შემოსასვლელის ზარი წკრიალებს. ყველანი კარს მიაშტერდებიან, მაგრამ არავინ შემოდის).

**შენ ტე.** ზუნ, დედაშენი ვის ელოდება?

**ზუნი.** შენთვის ეს მოულოდნელი იქნება. რა მაგის პასუხია და შენი ბიძაშვილი, შუი ტა რას აკეთებს? ჩვენ ერთმანეთს კარგად გავუგეთ. ძალიან საღად მოაზროვნე აღამიანია! თავიანი კაცია! რატომ არაფერს ამბობ?

**შენ ტე.** არ ვიცი, არ მინდა მასზე ვიფიქრო.

**ზუნი.** რატომ არ გინდა?

**შენ ტე.** რადგან შენ მასთან საერთო ენა მონახე. თუკი მე გიყვარვარ, მისი სიყვარული უკვე აღარ უნდა შეგეძლოს.

**ზუნი.** მაშინ სამ ეშმაკსაც წაუღია მისი თავი. ნგრევის ეშმაკს, ნისლის ეშმაკს და სათბობის ეშმაკს, დალიე ჯიუტო!

(იგი შენ ტეს აიძულებს დალიოს.)

**რძალი (შინს).** აქ რაღაც საქმე კარგად ვერაა.

**შინი.** თქვენ სხვა რამეს ელოდით თუ.

**ბონზა** (მტკიცე გადაწყვეტილებით მიუახლოვდება ქალბატონ იანგს, საათით ხელში). უნდა წავიდე ქალბატონო იანგ, დღეს კიდევ ერთ ქორწილს უნდა დავესწრო, ხოლო სვალ დილიდან დასაფლავებას.

**ქალბატონი იანგი.** თქვენ ფიქრობთ, ჩემთვის სასიამოვნოა, ამდენ ხანს რომ გაცდევინებთ? ჩვენ იმედი გვქონდა, ერთ დოქ ღვინოს ვიკმარებდით. ხედავთ დოქი უკვე ძირამდე დაიყვანეს. *(ხმამაღლა შენ ტეს.)* ვერ გამიგია, ძვირფასო შენ ტე, შენი ბიძაშვილი ასე დიდხანს რატომ გვალოდინებს?

**შენ ტე.** ჩემი ბიძაშვილი?

**ქალბატონი იანგი.** დიას, ჩემო ძვირფასო, სწორედ იმას ველოდებით. მე ძველი ადათების მომხრე ვარ, პატარძლის ახლო ნათესავი ქორწილს უნდა ესწრებოდეს.

**შენ ტე.** ოი, ზუნ, ეს 300 ვერცხლის დოლარის გამო?

**ზუნი** *(შენ ტეს არ უყურებს).* ხომ გესმის, რის გამოც. ქალბატონი ზუნი ძველი ადათების მომხრეა. მეც ვემორჩილები: თხუთმეტი წუთი კიდევ დავუცადოთ და, თუ ამ ხანშიც არ მოვიდა, ჯანდაბას მისი თავი, მაშინ კი დავიწყეთ!

**ქალბატონი იანგი.** თქვენ, ცხადია, ყველამ კარგად იცით, რომ ჩემი შვილი საფოსტო მფრინავის ადგილს მიიღებს. ჩემთვის ეს ძალიან სასიამოვნოა. ახლანდელ დროში საჭიროა, კარგი გამომუშავება გქონდეს.

**რძალი.** პეკინში იშოვა ადგილი, ხომ მართლია?

**ქალბატონი იანგი.** დიას, პეკინში.

**შენ ტე.** ზუნ, დედაშენს უნდა უთხრა, რომ პეკინიდან არაფერი გამოვა.

**ზუნი.** შენი ბიძაშვილი ეტყვის, თუკი იგიც ისევე ფიქრობს, როგორც შენ. ჩვენ შორის დარჩეს: მე ასე არ ვფიქრობ.

**შენ ტე.** *(შეშინებული).* ზუნ!

**ზუნი.** როგორ მეჯავრება ეს სეჩუანი! მერედა, რა ქალაქია? იცი, როცა თვალებს ნახევრად მოვხუჭავ, აქაურები როგორ მესახებიან? თითქოს ისინი ცხენები არიან. ნაღვლიანად სწევენ კისრებს ზევით. ეს რა ღვთის რისხვა დაგვატყდა თავსო? როგორ, ჩვენ უკვე აღარა ვართ საჭირო? რაო, ჩვენი დრო წავიდაო? ნეტავი ამ

ცხენებმა ქალაქში ერთმანეთი სასიკვდილოდ დაკბინონ! ოი, ნეტავი აქედან თავს დავაღწევდე!

**შენ ტე.** მაგრამ მოხუცებს დავპირდი, ფულს უკან დაგიბრუნებ მეოქი.

**ზუნი.** დიახ, ეს უკვე მითხარი. ჰოდა, რადგან ამგვარ სისულეებს სჩადიხარ, კარგია, რომ შენი ბიძაშვილი მოვა. დალიე და საქმეების მოგვარება ჩვენ მოგვანდე! ჩვენ ყველაფერს მოვუვლით.

**შენ ტე** (*სასოწარკვეთილი*). კი, მაგრამ ჩემ ბიძაშვილს მოსვლა არ შეუძლია!

**ზუნი.** ეს რას ნიშნავს?

**შენ ტე.** იგი უკვე აქ აღარ გახლავთ.

**ზუნი.** მერედა, შეგიძლია მითხრა, ჩვენს მომავალზე რას ფიქრობ?

**შენ ტე.** მე ვფიქრობ, შენ კიდევ გაქვს 200 ვერცხლის დოლარი. ხვალ ის ფული შეგვიძლია უკან დავაბრუნოთ და თამბაქო შევინარჩუნოთ, რომელიც ბევრად უფრო ძვირად ფასობს, და ცემენტის ქარხანასთან გავეყიდოთ, სხვაგვარად ჩვენ ნახევარი წლის ბინის ქირის გადამხდელები არა ვართ.

**ზუნი.** ეს დაივიწყე! სასწრაფოდ დაივიწყე, დაიკო! ესე იგი, მე ქუჩაში უნდა დავდგე და ცემენტის ქარხნის მუშებს თამბაქოზე ვევაჭრო. მე, იანგ ზუნი, მფრინავი! მაშინ უკეთესი იქნება, 200 ვერცხლის დოლარს თუ ერთ ღამეში გამოუყვან წირვას, ან არადა მდინარეში გადავუძახებ! შენი ბიძაშვილი მიცნობს. მასთან გაეჩარხე საქმე, სამასს ქორწილზე მომიტანს.

**შენ ტე.** ჩემს ბიძაშვილს მოსვლა არ შეუძლია.

**ზუნი.** მე კი ვფიქრობ, შეუძლებელია არ მოვიდეს.

**შენ ტე.** სადაც მე ვარ, მას იქ ყოფნა არ შეუძლია.

**ზუნი.** როგორი საიდუმლოებითაა აღსავსე!

**შენ ტე.** ზუნ, შენ უნდა იცოდე, იგი შენი მეგობარი არაა. მე ვარ ის, ვისაც შენ უყვარხარ. ჩემს ბიძაშვილს შუი ტას არავინ უყვარს. იგი ჩემი მეგობარია და არა ჩემი მეგობრის მეგობარი. იგი თანახმა იყო, რომ შენ მოხუცების ფული მიგელო, რადგან პეკინში მფრინავის ადგილზე ფიქრობდი. მაგრამ 300 ვერცხლის დოლარს იგი ქორწილზე შენ არ მოგიტანს.

*(თვალს თვალში გაუყურის).* მან თქვა, პეკინამდე მხოლოდ ერთი ბილეთი გიყივია.

**ზუნი.** დიას, ეს გუშინ იყო, მაგრამ, აბა ერთი შეხედე, დღეს რისი ჩვენება შემიძლია! *(გულის ჯიბიდან ორ ქაღალდს ნახევრად ამოაძრობს.)* არაა საჭირო მოხუცმა დედამ იცოდეს. აი, ორი ბილეთი პეკინამდე, ჩემთვის და შენთვის, კიდევ ფიქრობ, რომ შენი ბიძაშვილი ქორწინების წინააღმდეგია?

**შენ ტე** არა, ადგილი კარგია. მაგრამ მე მაღაზია აღარა მაქვს.

**ზუნი.** შენი გულისთვის ავეჯი გაყიდე.

**შენ ტე.** ნულარ ლაპარაკობ! ბილეთებსაც ნულარ მაჩვენებ! თავზარდაცემული ვარ, ვგრძნობ სულ იოლად შემიძლია შენ წამოგყევი. მაგრამ ზუნ, შენ რომ 300 ვერცხლის დოლარი მოგცე, მაშინ მოხუცებს რაღა ვუყო?

**ზუნი.** მე რაღას მიშვები? *(პაუზა.)* უკეთესია, დალიე! ალბათ წინდახედული ხარ, მე კი არ მინდა წინდახედული ცოლი. როცა ვსვამ, მაშინ კვლავ ვფრინავ. შენ კი, როცა დალევი, მაშინ იქნებ შეძლებისდაგვარად გამიგო.

**შენ ტე.** არ იფიქრო შენი არ მესმოდეს, ვიცი, შენ ფრენა გსურს, მე კი დახმარება არ შემიძლია.

**ზუნი.** „აგერ თვითმფრინავი, საყვარელო, მაგრამ მას მხოლოდ ერთი ფრთა აქვს!“

**შენ ტე.** ზუნ, პატიოსანი გზით პეკინში ადგილს ვერ ვიშოვით. ამიტომ მჭირდება 200 ვერცხლის დოლარი, რომელიც მე მოგეცი. ახლავე დამიბრუნე, ზუნ!

**ზუნი.** „ახლავე მომეცი ზუნ!“ კაცმა რომ თქვას, რას ლაპარაკობ თუ იცი? ხარ თუ არა ჩემი ცოლი, რომ მღალატობ, ნუთუ ვერ ხედები? ჩემსა და შენს საბედნიეროდ, ჩემზე აღარაფერია დამოკიდებული, უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია.



**ქალბატონი იანგი.** *(ცრუად).* ზუნ, დარწმუნებული ხარ, რომ პატარძლის ბიძაშვილი მოვა? რადგან არ გამოცხადდა, ადვილი შესაძლებელია, იგი ამ ქორწინების წინააღმდეგია.

**ზუნი.** რატომ ფიქრობ, ასე, დედა! ის და მე ერთი გული და ერთი სული ვართ. მე კარს ფართოდ გავაღებ, რათა მან იმავე წუთში მოგვეპებნოს, როგორც კი აქ მოირბენს, იგი ხომ თავისი მეგობრის ზუნის მეჯვარე უნდა იყოს. *(იგი კარისკენ მიდის და ფეხისკერით გააღებს. შემდეგ ბარბაცით უკან ბრუნდება, ეტყობა ბევრი აქვს დაღეული და კვლავ შენ ტეს გვერდით ჯდება.)* ჩვენ დაველოდებით. შენი ბიძაშვილი უფრო გონიერია, ვიდრე შენ. გენიალურად თქვა მან, სიყვარული ცხოვრებას ეკუთვნისო. რაც ყველაზე მთავარია, მან იცის, რას ნიშნავს ეს შენთვის. აღარც მაღაზია და აღარც გათხოვება!

*(ელოდებიან.)*

**ქალბატონი იანგი.** ახლა კი მოდის.

*(ნაბიჯების ხმა ისმის და ყველანი კარს მიაშტერდებიან. ნაბიჯების ხმა მიწყდება.)*

**შინი.** აყალმაყალი მოხდება. ვგრძნობ კიდევ და სუნიც მცემს. პატარძალი ქორწილს ელოდება, სიძე კი ბატონ ბიძაშვილს.

**ზუნი.** ბატონ ბიძაშვილს არ ეჩქარება.

**შენ ტე.** *(წყნარად).* ოჰ, ზუნ!

**ზუნი.** აქ იჯდე ბილეთებით ჯიბეში და გვერდით ისეთი სულელი გყავდეს, რომელსაც თვლა არ შეუძლია! მე ვიცი, დადგება დღე, სახლში პოლიციას მოიყვანს, რათა 200 ვერცხლის დოლარი წამართვას.

**შენ ტე** *(ხალხს).* ცუდი ადამიანია, და უნდა მეც ცუდი გავხდე. აგერ ვარ მე, ვისაც იგი უყვარს, იგი კი ბიძაშვილს ელოდება. მაგრამ ჩემს ირგვლივ ბედშავი ადამიანები სხედან: ბებრუხანა ავადმყოფი ქმრით, ღარიბები, რომლებიც ხვალ ბრინჯისათვის კართან აიტუხებიან და ერთი უცნობი პეკინელი კაცი, რომელსაც თავისი ადგილის გარდა, არაფერი ახსოვს. ყველანი მე მფარველობენ, რადგან ყველას ჩემი იმედი აქვს.

**ზუნი** (*მინის დოქს არის მიშტერებული; დოქში ღვინო ძირამდე დასულა.*) ღვინიანი დოქი ჩვენი საათია. ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ და თუკი სტუმრებმა ღვინო დალიეს, მაშინ საათი სამუდამოდ გაჩერდება.

(*ქალბატონი იანგი ანიშნებს გაჩუქდით, რადგან კვლავ ნაბიჯების ხმა მოისმის.*)

**ოფიციანტი** (*შემოდის*). ხომ არ მიბრძანებთ, ერთი დოქი ღვინო კიდევ მოგიტანოთ ქალბატონო იანგ?

**ქალბატონი იანგი**. არა, მე ვფიქრობ, საკმარისია, ღვინომ მხოლოდ ცოტათი უნდა შეგახუროს. ხომ ასეა?

**შინი**. ძვირიც იქნება.

**ქალბატონი იანგი**. ოფლად ვიღვრები, როცა ღვინოს ვსვამ.

**ოფიციანტი**. მაშინ ნება მიბოძეთ, დანახარჯი მოგთხოვოთ?

**ქალბატონი იანგი** (*ყურს არ უვდებს*). ბატონებს ვთხოვ, ცოტა მოთმინება კიდევ იქონიონ, ნათესავი უკვე გზაშია. (*ოფიციანტს*) ზეიმში ხელს ნუ გვიშლი!

**ოფიციანტი**. ნება არა მაქვს; ვიდრე დანახარჯს არ გადაიხდით, აქედან გაგიშვათ.

**ქალბატონი იანგი**. მაგრამ მე ხომ მიცნობენ!

**ოფიციანტი**. მართალია.

**ქალბატონი იანგი**. გაუგონარია, დღევანდელი მომსახურება! რას იტყვი ამის შესახებ, ზუნ?

**ბონზა**. ნება მიბოძეთ გამოგემშვიდობოთ. (*მედიდურად გადის*.)

**ქალბატონი იანგი** (*დაეჭვებული*). ყველანი წყნარად ისხედით! რამდენიმე წუთში მღვდელი დაბრუნდება.

**ზუნი**. მოეშვი დედა, ბატონებო, მღვდლის წასვლის შემდეგ თქვენი დაკავება, უკვე აღარ შეგვიძლია.

**რძალი.** წავიდეთ ბაბუა

**ბაბუა** (*ჯერ ჭიქას გამოსცლის*). პატარძლის დღეგრძელობისა იყოს!

**ძმიშვილი** (*შენ ტეს*). ამისგან ნუ გეწყინებათ. გულით ფიქრობს ამას. მას თქვენ უყვარხართ.

**შინი.** ამას მე თავსღაფის დასხმას ვუწოდებ!

(*სტუმრები ყველანი გადიან*).

**შენ ტე.** მეც წავიდე ზუნ?

**ზუნი.** არა, შენ დაიცდი. (*საქორწინო სამკაულს ისე მოსწევს, რომ სამკაული გვერდულად დაეკიდება*). ეს რა, შენი ქორწილი არ არის? მე დაველოდები და მოხუცი დედაც დაელოდება. დედაჩემს ყოველ შემთხვევაში, მაინც იმედი აქვს, რომ შევარდენი ღრუბლებში ინავარდებს, ახლა კი დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს წმინდა უშაბათო კვირაში მოხდება, მაშინ დედაჩემი კარის წინ გამოვა და ჩემი თვითმფრინავი გრიადით გადაივლის სახლის თავზე. (*ცარიელ სკამებს მიმართავს, თითქოს სტუმრები კიდევ იქ არიან*.) ქალბატონებო და ბატონებო; რატომ შეწყვიტეთ მასლაათი? აქაურობა არ მოგწონთ? ქორწილი ცოტათი გადასწიეს, რადგან უახლოეს ნათესავს ელოდებიან და კიდევ იმისთვის, რომ პატარძალმა არ იცის, რა არის სიყვარული. თქვენ რომ გაგართოთ, სიძე ერთ სიმღერას გიმღერებთ.

(*იგი მღერის*.)

სიმღერა წმინდა უშაბათო კვირაზე

ღარიბ ჭერქვეშ ვინც გაზრდილა

აკვანში აქვს ჩასმენილი;

როგორ დაჯდა ოქროს ტახტზე.

დატაკ ქალის პირმშო შვილი...

როდის უნდა მომხდარიყო?!

ეს დღე იყო... და არ იყო.

კეთილს საქმე უფასდება,

წააცლიან მზაკვარს კისერს,

მაძღარსა და ყოფილ მშვიერს

ერთი სუფრა ახალისებს.

ერთი სუფრა გაშლილიყო

იყო, მაგრამ, რომ არ იყო.

წყალს ქვიშნარი აღმა მიაქვს,

ცით ბალახმა გადმოგვხედა,

ყველა თავს დებს სიკარგეზე,

მიწა იქცა სამოთხედა...

ყველას გული დამტკბარიყო...

უშაბათო კვირა იყო.

ამ წმინდა დღეს მფრინავი ვარ

და შენ კიდევ გენერალი,

სამუშაოს შოვნა არ ჭირს,

მშვიდად ცხოვრობს ყველა ქალი.

როდის უნდა მომხდარიყო?!

ეს დღე იყო... და არ იყო.

ამ წმინდა დღეს მფრინავი ვარ  
და შენ კიდევ გენერალი,  
სამუშაოს შოვნა არ ჭირს,  
მშვიდად ცხოვრობს ყველა ქალი.

როდის იყო მომხდარიყო?!

ეს დღე იყო... და არ იყო.

ვთქვით ეს მოხდა ყველაფერი,

რადგან არ გვაქვს ძალა ცდისა,

მაგრამ მხოლოდ არა ღამით,

დილით მამლის ყივილისას...

უშაბათო კვირა დილას,

მამალმა რომ მიაყივლა.

**ქალბატონი იანგი.** იგი უკვე აღარ მოვა.

სამნი სხედან, ორი მათგანი კარებს არის მიშტერებული.

**ინტერმედია. ვანგის ღამისსათევი**

მეთულუხეს სიზმარში კვლავ ღმერთები გამოეცხადებიან. ვანგს ერთ დიდ წიგნზე სძინავს. მუსიკა.

**ვანგი.** კარგია, რომ მობრძანდით, ნათელმოსილნო! ნება მიბოძეთ, ერთი შეკითხვა მოგცეთ. ეს ამბავი ძლიერ მადეღვებს. მღვდლის დანგრეულ ქოხში, მღვდელმა იქაურობა მიატოვა და ცემენტის ქარხანაში დაიწყო მუშაობა, ერთი წიგნი ვიპოვე და მასში ერთი უცნაური ადგილი აღმოვაჩინე. აუცილებლად უნდა წაგაკითხოთ. აი ისიც:

*(იგი მარცხენა ხელით, წარმოსახვით წიგნს ფურცლავს. იმ წიგნის ზევით, რომელიც ამას მუხლებზე უდევს, წარმოსახვით წიგნს წასაკითხავად მაღლა სწევს, ნამდვილი კი ძირს დევს.)*

„სუნგში არის ერთი ადგილი, რომელიც კვინჩის ჭკალად იწოდება. იქ ხარობს კაქტუსი, კვიპაროსი და თუთის ხეები. ერთი ან ორი ციდა სისქის ხეებს ისეთი ადამიანები სჭრიან, რომლებსაც ძაღლის გალიებისათვის ჯოხები სჭირდებათ. სამი და ოთხი ფუტი სისქის ხეებს წარჩინებული და მდიდარი ოჯახები სჭრიან, საკუთარი კუბოებისათვის ფიცრებს ამზადებენ. შვიდი და რვა ფუტის სისქის ხეებს კი ის ადამიანები სჭრიან, რომლებიც საკუთარი მშვენიერი ვილებისათვის მორებს ეძებენ. ამგვარად, ხეები თავიანთ ხანს ვერ ითავებენ და სიცოცხლის შუა გზაზე ხერხითა და ნაჯახით ეღებოთ ბოლო. ვინც გამოსადეგია, იგი იტანჯება“.

**მესამე ღმერთი.** ასე თუ ვიმსჯელებთ, მაშინ ურგები ყველაზე უკეთესია.

**ვანგი.** არა, იგი ყველაზე ბედნიერია. უცუდესი უბედნიერესია.

**პირველი ღმერთი.** რას არ წერენ!

**მეორე ღმერთი.** ასე ძლიერ რატომ გაწუხებს ეს არაკი, მეთულუხევე?

**ვანგი.** შენ ტეს გამო, ნათელმოსილნო! მან სიყვარულში მარცხი განიცადა, რადგან მოყვასის სიყვარულის მცნებას მიჰყვა. შესაძლებელია, იგი ამ ქვეყნისათვის მართლაც მეტისმეტად კეთილია, ნათელმოსილნო!

**პირველი ღმერთი.** შენ სუსტი, გაჭირვებული ადამიანი ხარ! ჩანს ტილებმა და ეჭვებმა ნახევრად გამოგხრეს.

**ვანგი.** მართალს ბრანებთ, ნათელმოსილნო! მაპატიეთ! ეს იმიტომ ვთქვი, ვიფიქრე, საქმეში იქნებ თქვენ ჩარეულიყავით.

**პირველი ღმერთი.** ყოვლად შეუძლებელია. აგერ ჩვენი მეგობარი. *(მესამე ღმერთზე მიუთითებს, რომლებსაც ერთი თვალი ჩალურჯებული აქვს.)* გუშინ ჩხუბში ჩაერია და შედეგს შენც ხედავ.

**ვანგი.** მაშინ ბიძაშვილის გამოძახება გახდა საჭირო. იგი საოცრად მოხერხებული ადამიანია, საკუთარ ტყავზე გამოვცადე, მაგრამ მანაც ვერაფერი ვერ გააწყო. მაღაზიამ ჭირი მოგჭამა.

**მესამე ღმერთი** (*შეწუხებული*). იქნებ როგორმე დავეხმაროთ?

**პირველი ღმერთი.** მე მაინც იმ აზრისა ვარ, რომ შენ ტემ საკუთარ თავს თვითონვე უნდა უშველოს.

**მეორე ღმერთი** (*შკაბრად*). რამდენადაც მისი მდგომარეობა ცუდია, კეთილი ადამიანი თავის თავს მით უფრო უკეთ გამოაჩენს. წამება გაწმენდს ადამიანს!

**პირველი ღმერთი.** მთელ ჩვენ იმედებს შენ ტეზე ვამყარებთ.

**მესამე ღმერთი.** არც ჩვენს ძიებას უჩანს კარგი პირი. ჩვენ აქა-იქ წავაწყდით კეთილ ცდებს, გასახარელ განზრახვებს, მაღალ პრინციპებს, მაგრამ ყველაფერი ეს კეთილი ადამიანობისათვის საკმარისი არ არის. თუკი გზად კეთილი ადამიანები შეგხვედრია, არც ერთი მათგანი ადამიანის საკადრისად არ ცხოვრობდა. (*მიმნდობად.*) თავშესაფრის შოვნა ხომ განსაკუთრებით გაჭირდა. ჩალის ღეროებით შეგიძლია მიხვდე, ღამეებს სად ვათევთ.

**ვანგი.** ნუთი ერთი რამ მაინც არ შეგიძლიათ...

**ღმერთები.** არაფერი. ჩვენ მხოლოდ მეთვალყურეები ვართ. ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ ჩვენი კეთილი ადამიანი ნამდვილად მოძებნის თავის ადგილს ამ შავბნელ დედამიწაზე. ტვირთის სიმძიმესთან ერთად, მისი ძალაც გაიზრდება. მოითმინე, მეთულუხევე, და შენც მოესწრები ყველაფერი კეთილად წარიმართება.

*(ღმერთების გამოსახულებანი თანდათან ფერმკრთალდებიან, ხმებიც თანდათან სუსტდება. შემდეგ სულ გაქრებიან და ხმებიც მიწყდება.)*

ფორანზე უმნიშვნელო საოჯახო ნივთები აწყვია. სარეცხის თოკიდან შენ ტე და შინი თეთრეულს ხსნიან.

**შინი.** ვერ გამიგია, სწორედ, რატომ დანითა და კბილებით არ იბრძვით მაღაზიისათვის.

**შენ ტე.** როგორ ვიბრძოლო? ბინის ქირაც არა მაქვს. თანაც მოხუც ადამიანებს დავპირდი, 200 ვერცხლის დოლარს დღესვე დაგიბრუნებთ-მეთქი, მაგრამ რადგან ის ფული სხვას მივეცი იძულებული ვარ ქალბატონ მი ტჩიუს თუთუნი მივყიდო.

**შინი.** ესე იგი, ყველაფერი გათავდა! არც ქმარი, არც თუთუნი, არც თავშესაფარი! ასე დაემართება, ვინც მეტისმეტს მოინდომებს. რითიღა იცხოვრებ ახლა?

**შენ ტე.** არ ვიცი. იქნებ თუთუნის დახარისხებით რაიმე გამოვიმუშაო.

**შინი.** შუი ტას შარვალი აქ საიდანღა გაჩნდა? იგი რა, აქედან ტიტველი ხომ არ წასულა?

**შენ ტე.** სხვა შარვალიც ჰქონდა.

**შინი.** აკი თქვენ თქვით, იგი სამუშაოდ წავიდაო? შარვალი რატომღა დატოვა?

**შენ ტე.** ალბათ აღარ სჭირდებოდა.

**შინი.** ესე იგი, არ ჩავაწყო?

**შენ ტე.** არა.

*(შემორბის ბატონი შუ ფუ).*

**ბატონი შუ ფუ.** ნურაფერს მეტყვით. ყველაფერი ვიცი. თქვენ საკუთარი ბედნიერება გაწირეთ, რათა ორი მოხუცი ადამიანი, რომლებიც გენდოთ, არ გააკოტრებულებინ. ამოდ როდი გიწოდებთ ეს უბანი, ეს უნდო და ბოროტი კვარტალი, „გარეუბნის ანგელოზს“, ბატონმა სიქემ ვერ შეძლო თქვენ ზნეობრივ სიმაღლემდე ამოსულიყო და თქვენ იგი მიატოვეთ. ახლა კი კეტავთ თქვენს მაღაზიას. ამ პატარა კუნძულს, მრავალ ადამიანთა ნავთსაყუდელს. ამის ცქერა აღარ ძალმიძმს. ჩემი მაღაზიის



კარებიდან ყოველდღე ვხედავ თქვენს საწარმოსთან საცოდავი ადამიანების გროვას, გხედავთ თქვენ, ბრინჯს როგორ ანაწილებთ. ნუთუ ყველაფერი სამუდამოდ უნდა გაქრეს? ნუთუ სიკეთე უნდა დაიღუპოს? ოჰ, ნეტავი ნებას მომცემდეთ, თქვენს სასიკეთო საქმეში დაგეხმაროთ! არა, უარს ნუ მეტყვით! არავითარი რწმუნება არ მინდა. არავითარი დაპირება, რომ თქვენ ჩემს დახმარებას იღებთ! აი აგერ. *(იგი ჩეკს იღებს. ერთ ჩეკზე რაღაცას დაწერს და ფორანზე დადებს.)* ერთი ჩეკი გაგიმზადეთ, რომელიც სურვილისამებრ შეგიძლიათ შეავსოთ და, რამდენიც თქვენ გნებავთ, იმდენი თანხა ჩაწეროთ, შემდეგ კი შემეძლება წავიდე, წყანრად და თავაზიანად, სანაცვლოდ არც არაფერს ვთხოვლობ, წავალ ფეხის თითებზე შემდგარი, პატივისცემით აღსავსე, თავგანწირული. *(გადის.)*

**შინი** *(ჩეკს ათვალიერებს).* გადარჩენილი ხართ! თქვენისთანებს ბედი წყალობთ! ყოველთვის პოულობთ ერთ სულელს. ახლა კი იმოქმედეთ, ჩაწერეთ 1000 ვერცხლის დოლარი და, ვიდრე შუ ფუ გონს მოვა, მე ბანკში გაგიქცევით.

**შენ ტე.** თეთრეულის კალათა ფორანზე დადგით. თეთრეულის ფული მაგ ჩეკის გარეშეც შემოიძლია გადავიხადო.

**შინი.** როგორ? ჩეკის აღება არ გსურთ? ეს დანაშაულია! ასე იმიტომ ხომ არ იქცევით, რომ გგონიათ, მაშინ შუ ფუს ცოლად უნდა გაჰყვეთ? ეს იქნებოდა წმინდა წყლის სისულელე. ასეთები უნდა მოატყუო! მათ სიამოვნებას გვრის ასეთი რამ. ისევ და ისევ თქვენს მფრინავს ეპოტინებით, რომლის შესახებაც მთელმა ყვითელმა ქუჩამ და, აგრეთვე, მთელმა უბანმა იცის, რომ ცუდად მოგექცათ?

**შენ ტე.** ყველაფერი გაჭირვების შედეგია. *(ხალხს.)*

იგი მინახავს ღამით მძინარე,

ლოყებს ბერავდა ძილში

და მომეჩვენა გაბრაზებული;

დილაადრიან იმის ხალათს სინათლეზე, როცა გავხედე,

კედელი დავინახე,

როცა ეშმაკურ ხითხითს ვისმენდი, მაშინ შევშინდი კიდევ

და ძირგამძვრალი ფეხსაცმელით რომ დავინახე

მე შემეფარდა იგი.

**შინი.** ესე იგი, თქვენ მას კიდევ იცავთ? ასეთი სისულელის მომსწრე ჯერ არასოდეს ვყოფილვარ. *(გაბრაზებული.)* ამოვისუნთქავ, როცა ამ უბანში აღარ გიხილავთ.

**შენ ტე** *(თეთრეულის ჩამოხსნისას ბარბაცებს).* ოდნავ თავბრუ მეხვევა.

**შინი.** *(შენ ტეს თეთრეულს გამოართმევს).* ხშირად გეხვევათ თავბრუ, როცა გაიზმორებით, ანდა დაიხრებით? ბავშვს ხომ არ ელოდებით? *(იციინის.)* ლამაზად გაგაცურათ! თუ ეს მოხდა, ჩეკის საქმე წასულია! ასეთი გარემოებისათვის არაა იგი გათვალისწინებული. *(იგი კალათით ხელში გადის.)*

*(შენ ტე გაუძნრევლად გააყოლებს შინს თვალს. შემდეგ საკუთარ თავს შეათვალიერებს, მუცელზე ხელს მოისვამს და სახეზე დიდი სიხარული აღებეჭდება.)*

**შენ ტე.** *(წენარად).* ოი, სიხარულო! ჩემს მუცელში პატარა ადამიანი ჩაისახა. ჯერ კიდევ შეუმჩნეველია, მაგრამ იგი უკვე აქ არის. სამყარო მას საიდუმლოდ ელოდება. ქალაქში უკვე ლაპარაკობენ, გაჩნდა ისეთი ვინმე, ვისაც ანგარიში უნდა გაეწიოს. *(იგი საზოგადოებას თავის პატარა შვილს წარუდგენს.)* მფრინავია!

ჰე, მიესალმეთ სივრცეების ახალ დამპყრობელს,

უცნობი მთების და უდაბურადგილებისა!

ის უგზო-უკვლო უდაბნოებს თავს გადაუვლის,

დააკავშირებს იგი ფოსტით ადამიანებს.

*(შენ ტე წინ და უკან დადის და პატარა შვილი ხელჩაკიდებული დაჰყავს.)* მოდი შვილო, შეხედე ქვეყანას. აგერ ხე, წელში მოიხარე, მიესალმე, *(შენ ტე წელში მოიხრება.)* ასე, ახლა თქვენ ნაცნობები ხართ. მომისმინე, აგერ მეთულუხუ მოდის. მეგობარია, ხელი გაუწოდე. ნუ გეშინია. „გეთაყვა ერთი ჭიქა სუფთა წყალი ჩემი შვილისათვის. ცხელა“. *(შენ ტე ჭიქა წყალს აწვდის შვილს.)* აჰ, პოლიციელი! ახლა

კი გვერდი აუჯაროთ! იქნებ მდიდარი ფე პუნგის ბაღში რამდენიმე ცალი ალუბალი ვიშოვოთ. ვეცადოთ, არ დაგვინახონ. წამოდი, მამით ობოლო! შენც გინდა ალუბალი! წყნარად, წყნარად, შვილო! *(ისინი ფრთხილად მიდიან, ირგვლივ იხედებიან.)* არა, აქეთ, აქ ბუჩქებში დავიმალავით. არა, ასე პირდაპირ არ შეიძლება. შვილი ჩანს უკან ეწევა შენ ტეს. იგი კი წინააღმდეგობას უწევს. *(ჩვენ გონივრულად უნდა მოვიქცეთ.)* უცებ შენ ტე ნებდება. კარგია, რადგან შენ ასე პირდაპირ გსურს წასვლა. *(შენ ტე ბავშვს აიყვანს.)* შეგიძლია ალუბალი მოწყვიტო? ჩაიდუ პირში, ხეზე კარგად ინახება ხილი. *(შენ ტე ალუბალს ჭამს, რომელსაც შვილი ჩაუდებს პირში.)* გემრიელია. ეშმაკმა დალახვროს! პოლიციელი! ახლა კი თავს ვუშველოთ. *(ისინი გარბიან.)* აგერ ქუჩაც. ახლა კი წყნარად, ნელა გავწოთ, რათა თვალში არავის მოგხვდეთ. თითქოს მნიშვნელოვანი არც არაფერი მომხდარა...

*(შენ ტე მღერის, თითქოს ბავშვს ასეირნებს.)*

უსაფუძვლოდ, ერთხელ ქლიავს,

მაწანწალა მიჰპარვია,

ისე იყო დაგეშილი,

ზედ კეფაზე გაჰკრა კბილი.

*(შემოდის მეთულუხე ვანგი, ხელჩაკიდებული ბავშვი შემოჰყავს. ვანგი გაკვირვებული მიშტერებია შენ ტეს.)*

**ვანგი.** შენ ტე, გავიგე, შენი საქმეები ვერ მიდის კარგად, ვალები რომ გადაიხადო, თურმე მაღაზიასაც ჰყიდი. მაგრამ აგერ არის ბავშვი, რომელსაც თავშესაფარი არა აქვს. სასაკლავოს ეზოში დარბოდა. დურგალ ლინ ტოს შვილი უნდა იყოს; ლინ ტომ რამდენიმე კვირის უკან სადურგლო დაკარგა და მას შემდეგ ღვინის სმას მიჰყო ხელი. მისი ბავშვები კი მშივრები აქეთ-იქით დაწანწალდებენ. რა უნდა მოვუხერხოთ ბავშვებს?

**შენ ტე** *(ვანვს ბავშვს გამოართმევს.)* მოდი პატარა კაცო! *(ხალხს.)*

ჰეი, თქვენ! გესმის მცირე თხოვნა,

ხვალინდელი დღის კაცი ითხოვს დღეს თავშესაფარს,

იმის მეგობარს ყველა იცნობს, დამპყრობელია,

და ის შუამდგომლობს თქვენს წინაშე.

*(ვანგს.)* შეუძლია ბატონი შუ ფუს ბარაკებში იცხოვროს, მეც იქ უნდა გადავბარგდე. ბავში უნდა მეყოლოს, მაგრამ არავის უთხრა, თორემ იანგ ზუნი შეიტყობს და მას კი ჩვენ არ ვჭირდებით. ბატონი ლინ ტო ქვევით, ქალაქში სადმე მოძებნე და უთხარი აქ მოვიდეს.

**ვანგი.** დიდი მადლობა, შენ ტე. ვიცოდი, შენ რაღაცას მოახერხებდი. *(ბავშვს.)* ხედავ, შენ, კეთილმა კაცმა ყოველთვის იცის გზა ხსნისა. სწრაფად გავიქცევი და მამაშენს მოვიყვან. *(წახვლა სურს.)*

**შენ ტე.** ო, ვანგ, ახლადა გამახსენდა: ხელი როგორღა გაქვს? მე კი მსურდა მოწმედ დაგდგომოდი, მაგრამ ჩემმა ბიძაშვილმა....

**ვანგი.** ხელი ნულარ გადარდებს, შეხედე, უკვე ვისწავლე მარჯვენა ხელის გარეშე მუშაობა. თითქმის აღარც მჭირდება. *(ვანგი აჩვენებს, თუ როგორ შეუძლია მარჯვენა ხელის გარეშე წელის ჭურჭლის ხმარება.)* შეხედე, როგორ ვაკეთებ.

**შენ ტე.** მაგრამ ისე ნუ იზამ, რომ ხელი გაგიხმეს! აი აგერ, წაიღე ჩემი ფორანი, ყველაფერი გაყიდე და იმ ფულით ექიმთან წადი. სირცხვილით ვიწვები, რო მასე მოგატყუე. და კიდევ ვინ იცის რას არ ფიქრობ, დალაქისაგან ბარაკები რომ მივიღე?!

**ვანგი.** ახლა იქ უთავშესაფრო ხალხს შეუძლია იცხოვროს, შენ თვითონაც იქ მიდიხარ, ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩემი ხელი. ახლა კი წავალ და დურგალს მოვიყვან. *(გადის.)*

**შენ ტე** *(ვანგს მიადახეხს).* სიტყვა მომეცია, რომ ჩემთან ერთად ექიმთან წამოხვალ!

*(შინი დაბრუნდება და შენ ტეს ისევ და ისევ რაღაცას ანიშნებს.)*

რა მოხდა?

**შინი.** თქვენ რა, გაგიჟდით? ფორანი და უკანასკნელი ნივთები, რაც შემოგრჩათ, გთხოვთ გააჩუქოთ? ნეტავი ერთი ვიცოდეთ. რაში გენადვლება მისი ხელი? დალაქმა რომ გაიგოს, იმ სიმწრით ნაშოვნ თავშესაფრიდანაც გამოგაგდებს. ჩემთვის სარეცხის ფულიც არ მოგიციათ!

**შენ ტე.** რატომ ხარ ასეთი გულღვარძლიანი? *(ხალხს.)*

ო, ნუთუ, მძიმე არ არის თქვენთვის,

ახლობელის და მკვიდრის გათელვა?

შუბლის ძარღვები გებერებათ ფარისევლობით.

და რა თქმა უნდა, გაწვდილი ხელი

გასცემსა და სიმსუბუქით უკანვე იღებს...

ხშირად ხელების ჩავლებსას, საჭიროა მეტი დაძაბვა.

როგორი დიდი შეცდომაა გასაჩუქრება,

მაგრამ რა დიდია სიამოვნება – იყო კაცი თავაზიანი...

სიტყვა კეთილი, სასიკეთო ამოსუნთქვაა.

*(შინი გაბრაზებული მიდის.)*

*(ბავშვს.)* აქ დაჯექი და დაელოდე, ვიდრე მამაშენი მოვიდოდეს. *(ბავშვი მიწაზე ჯდება.)* ეზოში მოხუცი ცოლ-ქმარი შემოდის, ისინი, რომელიც შენ ტეს დიდ ტომრებს მოათრევენ.

**ქალი.** შენ ტე მარტო ხარ?

*(როცა შენ ტე თავს დაუქნევს, ქალი თავის ძმიშვილს ეძახის, რომელიც ისეთსავე ტომარას მოათრევს.)*

შენი ბიძაშვილი სადაა?

**შენ ტე.** გაემგზავრა.

**ქალი.** მერედა, აღარ დაბრუნდება?

**შენ ტე.** არა. მე მაღაზიას ვყიდი.

**ქალი.** ვიცით, სწორედ ამისათვის მოვედით. აგერ რამდენიმე ტომარა დამუშავებული თამბაქო გვაქვს, ჩვენი თხოვნაა ბარგიბარხანასთან ერთად ახალ საცხოვრებელ ადგილას ესეც თან გადაიტანო. ჩვენ უკვე შესანახი ადგილი აღარა გვაქვს, ქუჩაში კი ამ ტომრებიანად თვალში საცემი ვართ. არ ვიცი, ასეთი პატარა სამსახურის გაწევაზე როგორ უნდა გვითხრა უარი, მას შემდეგ, რაც შენს მაღაზიაში ასეთი უბედურება გეწვია.

**შენ ტე.** სიამოვნებით გემსახურებით.

**კაცი.** თუკი ვინმე შემთხვევით გკითხავთ, ტომრები ვისი კუთვნილებაა, უთხარი, ჩემითქო.

**შენ ტე.** ვინ უნდა მკითხოს?

**ქალი.** *(კანმკმირავად მიაშტერდება შენ ტეს).* მაგალითად, პოლიციამ იგი წინასწარ არის შეგონებული ჩვენს წინააღმდეგ და სურს, რომ გაგკოტრდეთ, სად დავაწყობ ტომრები.

**შენ ტე.** არ ვიცი. სწორედ ახლა არ მსურს ისეთი რამე ჩავიდინო, ციხეში ამოვეყო თავი.

**ქალი.** შენგან სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი. ეს რამდენიმე საცოდავი ტომარა თამბაქოც უნდა დაგკარგოთ, ესაა ყველაფერი, რაც ჩვენი ავლადიდებიდან გადავარჩინეთ!

*(შენ ტე ჯიუტად დუმს.)*

**კაცი.** გახსოვდეს, რომ ეს თამბაქო საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენს პატარა წამოწყებას. ჩვენ კიდევ შეგვიძლია კარიერა გავიკეთოთ.

**შენ ტე.** კარგი ტომრებს შეგინახათ, ჯერჯერობით საკუჭნაოში დააწყვეთ.

*(შენ ტე მათთან ერთად მაღაზიაში შედის. ბავშვი შენ ტეს თვალს გააყოლებს. შემდეგ შემერთალი იყურება, ნაგვის ვედროსთან მიდის და შიგ იქექება. რაღაცას ჭამს; შენ ტე და სამი სხვა უკან ბრუნდებიან.)*

**ქალი.** შენთვის მგონი გასაგები უნდა იყოს, რომ ჩვენ შენი იმედი გვაქვს.

**შენ ტე.** ჰო, *(იგი ბავშვს დაინახავს და გაშტერდება.)*

**კაცი.** ზეგ ბატონ შუ ფუს სახლებში მოგძებნით.

**შენ ტე.** ახლა კი სწრაფად წადით, რაღაც კარგად ვერ ვარ.

*(შენ ტე ძალით გაჰყრის მათ. სამივენი მიდიან.)*

მშიერია, ნაგვის ვედროში იქექება.

*(ბავშვს აიყვანს და მისი ბედით შეძრწუნებული ხალხს მიმართავს, თან ბავშვის პატარა ნაცრისფერ სახეზე მიუთითებს. იგი ფიცს სდებს და გადაწყვეტილებას იღებს საკუთარ ბავშვს არავითარ შემთხვევაში ასე უსულგულოდ არ მოექცეს.)*

ო, შვილო ჩემო, ჩემო მფრინავო,

იცი, შენ, სტუმრად სად მოდიხარ, რა ქვეყანაში?

მათ სურთ, ვით ცხოველს პირი გედოს ნაგვის ვედროში,

ერთი შეხედე ამ ნაცრისფერ პატარა ტუჩებს.

*(იგი ბავშვზე მიუთითებს.)*

როგორ ექცევით უსირცხვილოდ თქვენსავე მსგავსებს,

არ უფროსილდებით

საკუთარი სხეულის ნაყოფს,

არ გაგაჩნიათ თანაგრძნობა არავითარი.

თვით საკუთარი თავისადმი უბედურებო.

თვითონ მივხედავ საკუთარ თავს და ძუ ვეფხვივით გაგმპვინვარდები,

როცა საკუთარ თვალთ ვნახე მე ყველაფერი,

მსურს განვერიდო აქაურობას.

ვერ მოვისვენებ, ვიდრე ჩემს შვილს არ გადავარჩენ.

რაც მისწავლია ჩემს სკოლაში – წყალსაწრეტ მილში,

მუშტების ცემა, სიცრუე და ფარისეველობა,

ახლა შენ უნდა გამსახურო, ო, შვილო ჩემო.

მე მხოლოდ შენთვის კარგი ვიქნები, ხოლო სხვებისთვის

ვეფხვივით შმაგი და გარეულ მხეცივით ავი...

თურმე საჭირო ასე ყოფილა.

*(შენ ტე გადის, ბიძაშვილად უნდა გარდაისახოს).*

*(სიარულში).* ერთხელ კიდევასა საჭირო. იმედი მაქვს, ეს იქნება, უკანასკნელი.

*(მას თან მიაქვს შუი ტას შარვალი უკან. მობრუნებული შინი ცნობისმოყვარეობით გააყოლებს თვალს. შემოდინ რძალი და ბაბუა.)*

**რძალი.** მადაზია დაკეტილია. ავეჯი ეზოშია! ყველაფერი დასრულდა!

**შინი.** ქარაფშუტობის, თანაგრძნობისა და ეგოიზმის შედეგია! მერედა, საით მიდის გზა? ქვევით! ბატონ შუ ფუს ბარაკებისაკენ, თქვენთან!

**რძალი.** მაგრამ იქ კი იგი განცვიფრებული დარჩება! ჩვენ საჩივლელად მოვედით! ვირთხის სველი სოროებითაა იქაურობა სავსე, იატაკი დამაპლია! დალაქმა მხოლოდ



იმიტომ დაუთმო, რომ იქ მის საპნის მარაგს ობი მოეკიდა. „მე თქვენთვის თავშესაფარი მაქვს, რას იტყვით“ სირცხვილი! ვუპასუხეთ ჩვენ ამაზე.

*(შემოდის უმუშევარი.)*

**უმუშევარი.** მართალია, შენ ტე მიემგზავრებაო?

**რძალი.** დიას. მას სურდა გამქრალიყო ისე, რომ არავის შეეტყო.

**შინი.** შენ ტეს რცხვენია, ასე რომ გაკოტრდა.

**უმუშევარი** *(აღელვებული).* თავის ბიძაშვილს უნდა მოუხმოს! ურჩიეთ, რომ შენ ტემ ბიძაშვილი იხმოს! მხოლოდ ბიძაშვილს შეუძლია კიდევ რაღაც იღონოს.

**რძალი.** მართალია! ბიძაშვილი დიდი წუწურაქი ვინმეა, მაგრამ შენ ტეს მაღაზიას მაინც გადაარჩენს და ჩვენც გვეშველება.

**უმუშევარი.** ჩვენ თავზე სულაც არ ვფიქრობ, შენ ტე მადარდებს. თუმცა სწორია, ბიძაშვილი ჩვენთვისაც საჭიროა უნდა მოუხმოთ! *(შემოდის ვანგი დურგლის თანხლებით. დურგალს ხელჩაკიდებული ორი ბავშვი შემოჰყავს).*

**დურგალი.** ნამდვილად არ ვიცი მადლობა რითი გადაგიხადოთ. *(დანარჩენებს.)* ჩვენ ბინა უნდა მივიღოთ.

**შინი.** სად?

**დურგალი.** ბატონ შუ ფუს სახლებში! და ეს სულ პატარა ფენგის ბრალია, მან შემოაბრუნა ჩვენი საქმე! შენც აქა ხარ, ხომ! „აქ არის ერთი ადამიანი, რომელიც თავშესაფარს თხოულობს“, თითქოს თქვა ფროილან შენ ტემ და იმავე წამს ჩვენთვის ბინა გააჩინა. მადლობა გადაუხადეთ თქვენს ძმას!

*(დურგალი და მისი ბავშვები სახეგაბრწყინებულები იხრებიან წელში ბავშვის წინაშე.)*

ჩვენი მადლობა, თავშესაფრის მოხონელო!

*(შემოდის შუი ტა).*

**შუი ტა.** შემძლია გკითხო, აქ რას აკეთებთ?

**უმუშევარი.** ბატონი შუი ტა!

**ვანგი.** გამარჯობათ, ბატონო შუი ტა. არ ვიცოდი, რომ თქვენ დაბრუნდით. თქვენ იცნობთ ღურგალ ლინ ტოს. ფროილან შენ ტემ ბატონ შუ ფუს სახლებში თავშესაფარს დაჰპირდა.

**შუი ტა.** ბატონი შუ ფუს სახლები თავისუფალი არ არის.

**ღურგალი.** ესე იგი, ჩვენ იქ ცხოვრება არ შეგვიძლია?

**შუი ტა.** არა, ის შენობა სხვა რამისთვისაა განკუთვნილი.

**რძალი.** ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ჩვენც უნდა გადმოვბარგდეთ იქიდან?

**შუი ტა.** ვშიშობ, რომ ასეა.

**რძალი.** სადღა წავიდეთ?

**შუი ტა** (*მხრებს იჩეჩავს*). როგორც ფროილან შენ ტესგან შევიტყვე, ამჟამად იგი სადღაც გაემგზავრა, მას განზრახვა არა აქვს, ბედის ანბარა მიგატოვოთ. თუმცა მომავალში ყველაფერი გონივრულად უნდა მოვაწესრიგოთ. ულუფას მიიღებს ის, ვინც იმუშავებს. ამის გარდა, ყველა თვენგანს საშუალება მიეცემა, პატიოსანი შრომით გზა გაიკვლიოს. ფროილან შენ ტემ გადაწყვიტა, თქვენ ყველას სამუშაო მოგცეთ. ვინც ახლა ბატონ შუ ფუს სახლებში გამომყვება, ცარიელზე არ დარჩება.

**რძალი.** ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყველა შენ ტეს უნდა ვემსახუროთ?

**შუი ტა.** დიახ. თქვენ თამბაქოს დაამუშავებთ. საკუჭნაოში საქონლით სავსე სამი ფუთა ძევს. მოიტანეთ!

**რძალი.** არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ თვითონვე ვიყავით მალაზიის მეპატრონეები. ჩვენ გვირჩევნია, საკუთარი თავისთვის ვიმუშავოთ. თვითონვე გვაქვს საკუთარი თამბაქო.

**შუი ტა.** *(უმუშევარს და დურგალს).* შეიძლება თქვენც გსურთ შენ ტეს ემსახუროთ, თუკი, რასაკვირველია საკუთარი თამბაქო არ გაქვთ? *(დურგალი და უმუშევარი უკმაყოფილონი შედიან. შემოდის სახლის მეპატრონე ქალი.)*

**სახლის მეპატრონე ქალი.** აბა ბატონო შუი ტა, რას ფიქრობთ მაღაზიის გაყიდვაზე. აგერ 300 ვერცხლის დოლარი მოგიტანეთ.

**შუი ტა.** ქალბატონო მი ტჩიუ, გადავწყვიტე, მაღაზია აღარ გაყვიდო, ხელშეკრულებას ხელს ვაწერ.

**სახლის მეპატრონე ქალი.** რაო? მფრინავისთვის ფული უკვე აღარ გჭირდებათ?

**შუი ტა.** არა.

**სახლის მეპატრონე ქალი.** მერედა, ქირის გადახდის საშუალება გაქვთ?

**შუი ტა** *(საზიდზე, რომელზედაც საოჯახო ნივთები აწყვია, დალაქის მიერ დადებულ ჩეკს აიღებს და შეავსებს).* აგერ მაქვს დალაქის მიერ შემოთავაზებული 10. 000 ვერცხლის დოლარის ჩეკი; თქვენ ალბათ იცით დალაქს ჩემი ნათესავი მოსწონს. თვითონ დარწმუნდით ქალბატონო მი ტჩიუ! თქვენი 200 ვერცხლის დოლარი, მომავალი ნახევარი წლის ბინის ქირა, სადამოს ექვს საათამდე ხელთ გექნებათ. ამგვარად, ქალბატონო ნება მიბოძეთ, რომ მუშაობა განვაგრძო. დღეს ძალიან დაკავებული ვარ და პატიება უნდა გთხოვოთ.

**სახლის მეპატრონე ქალი.** ოჰ, ბატონი შუი ფუ მფრინავის კვალზე მიდის! 10. 000 ვერცხლის დოლარი! მაკვირვებს დღევანდელი გოგონების მერყეობა და ზერელობა ბატონო შუი ტა. *(შედის.)*

*(დურგალს და უმუშევარს ტომრები შემოაქვთ.)*

**დურგალი.** არ ვიცი, თქვენი გულისთვის ტომრები რატომ უნდა ვათრიო.

**შუი ტა.** საკმარისია, რომ მე ვიცი. თქვენ შვილს კარგი ჭამის მადა აქვს. მას ჭამა უნდა, ბატონო ლინ ტო.

**რძალი** *(დაინახავს ტომრებს).* ჩემი სიძე არ იყო?

**შინი.** დიას.

**რძალი.** ნამდვილად. ტომრებს ვიცნობ, ეს ჩვენი თამბაქოა.

**შუი ტა.** უკეთესია, ასე ხმამაღლა ნუ ამბობთ, თამბაქო ჩემია, ამისი დამამტკიცებელია ის, რომ იგი ჩემს საკუჭნაოში ეწყო. თუ ეჭვი გეპარებათ, პოლიციაში შეგვიძლია წავიდეთ და ეჭვები გავფანტოთ. გსურთ?

**რძალი** (*გაბრაზებული*). არა.

**შუი ტა.** ჩანს, რომ თქვენ საკუთარი თამბაქო არ გაგაჩნიათ. იქნებ ასეთ გარემოებაში მაინც ჩასჭიდოთ ხელი ფროილანს შენ ტეს საშველად გამოწვდილ ხელს? ჰქენით სიკეთე და მაჩვენეთ გზა ბატონი შუი ფუს სახლებისაკენ.

*(დურგლის უმცროს შვილს ხელს მოჭკიდებს, შუი ტა გადის, ამას მიჰყვებიან დურგალი, დურგლის დანარჩენი ბავშვები, რძალი, ბაბუა, უმუშევარი. რძალი, დურგალი და უმუშევარი ტომრებს მიათრევენ.)*

**ვანგი.** იგი ბოროტი კაცია, მაგრამ შენ ტე კეთილია.

**შინი.** არ ვიცი. თეთრეულის თოკზე შარვალი აკლია და ბიძაშვილს აცვია. ეს რაღაცას უნდა ნიშნავდეს. მინდა ვიცოდე, რას.

*(შემოდის ორი მოხუცებული.)*

**მოხუცი.** ფროილანს, შენ ტე აქ არ არის?

**შინი** (*მშრალად*). სადღაც წავიდა.

**მოხუცი.** გასაკვირია. მას ჩვენთვის რაღაცა უნდა მოეტანა.

**ვანგი** (*გულისტკივილით დაჰყურებს ხელს*). შენ ტე მეც უნდა დამხმარებოდა. ხელი მისმება. ნამდვილად მალე დაბრუნდება, ბიძაშვილი ყოველთვის ცოტა დროით რჩება აქ.

**შინი.** ჰო, ხომ მართალია?

## **ინტერმედია: ვანგის ღამისსათვეო**

*მუსიკა. სიზმარში მეთულუხე ღმერთებს უყვება, თუ რისი შიშიც აქვს.*

*ღმერთები კვლავ თავიანთ გრძელ მოვზაურობას განაგრძობენ, თავებს მოაბრუნებენ და მეთულუხეს გადახედავენ.*

**ვანგი.** ვიდრე თქვენი გამოცხადება გამაღვიძებდა, ნათელმოსილნო სიზმარში ჩემი ძვირფასი და შენ ტე ვნახე, დიდი გაჭირვება ადგა, იგი მდინარესთან ლელიანში იდგა, იმ ადგილას, სადაც თვითმკვლელებს პოულობენ ხოლმე. საოცრად ბარბაცებდა. კისერი წახრილი ჰქონდა, ისე თითქოს რაღაცა მჩატეს მიათრევდა, მაგრამ ძმომე კი იყო, სიმძიმისგან შლამში ეფლობოდა. ჩემს დაძახილზე მან დამიყვირა, დაწერილი მითითებებით სავსე ფუთები მეორე ნაპირზე უნდა გადავიტანო ისე, რომ არ მინდა დავსველდე, რადგან ნაწერი წაიშლებაო. უფრო სწორად: შენ ტეს მხრებზე არაფერი არ მინახავს. მაგრამ მე, შეშინებულს, გამახსენდა, რომ თქვენ ღმერთებმა შთააგონეთ მას დიდი ქველმოქმედება. ეს გააკეთეთ მადლობის ნიშნად, რომ მან მიგიღოთ და ღამე გაგათევინოთ მაშინ, როცა თქვენ განაწამები ელოდებოდით ღამისსათვეს. ოი, სირცვილო! დარწმუნებული ვარ, თქვენ გესმით, რატომ ვზრუნავ შენ ტესთვის.

**მესამე ღმერთი.** შენ რა წინადადებას გვაძლევ?

**ვანგი.** დაწერილი მითითებები ოდნავ შეუმცირეთ, ნათელმოსილნო, ფუთა ოდნავ შეუმსუბუქეთ, კეთილნო, მხედველობაში მიიღეთ, რომ ცუდ დროში ვცხოვრობთ.

**მესამე ღმერთი.** მაინც რა, ვანგს, მაინც რა?

**ვანგი.** მაგალითად ის, რომ კეთილ განწყობილებას თხოულობდნენ სიყვარულის მაგიერ, ან არადა...

**მესამე ღმერთი.** მაგრამ ეს ხომ უფრო ძნელია, შე უბედურო!

**ვანგი.** ან არადა შემწყნარებლობა სამართლიანობის მაგიერად.

**მესამე ღმერთი.** მაგრამ ეს ნიშნავს მეტ მუშაობას!

**ვანგი.** მაშინ უბრალოდ წესრიგიანობა პატივის მაგივრად!

**მესამე ღმერთი.** მაგრამ ეს ხომ უფრო მეტია, შე ურწმუნოვ

*(ღმერთები დაღლილნი განავრძობენ ვხას.)*

8

### **შუი ტას თამბაქოს ფაბრიკა**

ბატონი შუი ფუს ბარაკებში შუი ტას თამბაქოს პატარა ფაბრიკა მოუწყვია. გისოსებიანი ფანჯრების უკანა მხარე ხალხითაა გაჭედილი, ზოგი ოჯახითაა, განსაკუთრებით მრავლადაა ქალები და ბავშვები. მათ შორის არიან რძალი, ბაბუა, დურგალი და მისი ბავშვები.

*(მათ წინ გამოდის ქალბატონი იანგი, მას თან მოჰყვება, ვაჟიშვილი ზუნი.)*

**ქალბატონი იანგი** *(ხალხს მიმართავს).* უნდა გიამბოთ, ყველასგან პატივცემული შუი ტას სიბრძნისა და სიმკაცრის წყალობით, ჩემი შვილი, როგორ იქცა ყოვლადზნედაცემულ ადამიანიდან, სასარგებლო ადამიანად. უკვე მთელმა უბანმა შეიტყო, რომ ბატონმა შუი ტამ სასაკლავო ახლოს გახსნა პატარა, მაგრამ სწრაფად აღამეგალი თამბაქოს ფაბრიკა. სამი თვის უკან იძულებული გავეხდი, ჩემ შვილთან ერთად შუი ტასთან მივსულიყავი. ცოტა ხნის ლონდონის შემდეგ მან მიმიღო.

*(ფაბრიკიდან გამოდის შუი ტა და ქალბატონი იანგთან მიდის.)*

**შუი ტა.** რითი შემოიძლია გემსახუროთ, ქალბატონო იანგ?

**ქალბატონი იანგი.** ბატონო შუი ტა, ჩემი შვილის შესახებ ერთი სიტყვა უნდა გითხრათ. დღეს დილით ჩვენთან იყო პოლიცია და გვითხრეს, რომ თქვენ ფროილან

შე ტეს სახელით, საქორწინო შეთანხმების დარღვევასა და 200 ვერცხლის დოლარის გამოძალვის გამო, საჩივარი შეგიტანიათ.

**შუი ტა.** საესებით სწორია, ქალბატონო იანგ.

**ქალბატონი იანგი.** ბატონო შუი ტა, თუ ღმერთი გწამთ, ერთხელ კიდევ ხომ არ შეგიძლიათ სამართლის წინაშე წყალობა მოიღოთ? ფული უკვე დაიხარჯა, როგორც კი მფრინავის ადგილის მიღების გეგმა ჩაეშალა, ზუნმა ორ დღეში გამოუყვანა წირვა. ვიცი, ჩემი შვილი არამზადაა. მან უკვე ჩემი ავეჯის გაყიდვაც მოასწრო, სურდა მოხუცი დედა მიეტოვებინა და პეკინში ისე წასულიყო. *(ტირის.)* ფროილდინ შენ ტე ერთხანს როგორღაც მასზე დიდ იმედებს ამყარებდა.

**შუი ტა.** რას მეტყვეთ ბატონო იანგ ზუნ?

**ზუნი** *(წარბშეკრული).* ფული აღარ მაქვს.

**შუი ტა.** ქალბატონო იანგ, სისუსტის გამო, რომელიც, რაღაც ჩემთვის გაურკვეველი მიზეზით, ჩემს ნათესავს თქვენი ზნედაცემული შვილის მიმართ ჰქონდა, მზადა ვარ ერთხელ კიდევ დახმარების ხელი გაუწოდო მას; შენ ტემ მითხრა, რომ პატიოსანი სამუშაოს წყალობით მოსალოდნელია იანგ ზუნის გამოსწორებაო. ზუნს შეუძლია ჩემს ფაბრიკაში ადგილი მიიღოს. დროთა განამეღობაში 200 ვერცხლის დოლარს კი ჯამაგირიდან გამოვუქვითავ.

**ზუნი.** ესე იგი, ციხე ან ფაბრიკა?

**შუი ტა.** შეგიძლიათ აირჩიოთ.

**ზუნი.** შენ ტესთან ლაპარაკი არ შემიძლია?

**შუი ტა.** არა.

**ზუნი.** სად არის ჩემი სამუშაო ადგილი?

**ქალბატონი იანგი.** ათასი მადლობა, ბატონო შუი ტა! თქვენ უზომოდ გულკეთილი ბრძანდებით და ღმერთი გადაგიხდით სამაგიეროს. *(ზუნს.)* შენ სწორი გზიდან

გადაუხვიე. ახლა კი ეცადე, პატიოსანი შრომით ისე შორს წახვიდე, რომ დედაშენს თვალებში შეხედო.

*(ზუნი შუი ტას ფაბრიკაში შეჰყვება. ქალბატონი იანგი რამპასთან დაბრუნდება.)*

პირველი კვირები ზუნისთვის მძიმე გამოდგა. სამუშაო თვალში არ მოსდიოდა. თავის გამოჩენის ძალიან ცოტა შესაძლებლობა ჰქონდა. მხოლოდ მესამე კვირას ერთი პატარა შემთხვევის წყალობით შეძლო თავი გამოეჩინა. ზუნსა და ყოფილ დურგალ ლინ ტოს თამბაქოს ტომრები უნდა ეზიდათ. *(ზუნი და ყოფილი დურგალი ლინ ტო ორ-ორ ტომარა თამბაქოს მიათრევენ.)*

ყოფილი დურგალი *(ხენეშით ჩერდება და ერთ ფუთაზე ჯდება)*, მეტი აღარ შემიძლია. ასეთი სამუშაოსათვის უკვე მოხუცი ვარ.

**ზუნი** *(იგიც ჯდება)*. რატომ არ ესვრი მათ ამ ფუთებს შიგ სიფათში?

**ყოფილი დურგალი**. მერედა, რითი ვიცხოვრო? ის კი არადა, რაღაც კაპიკებისათვის ბავშვებსაც ვამუშავებ. ფროილან შენ ტეს შეახედა ერთი! იგი კეთილი იყო.

**ზუნი**. შენ ტე ცუდი არ იყო. ვითარება რომ ასეთი მძიმე არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენ ძალიან კარგად ვიქნებოდით ერთმანეთთან. ნეტავი მაცოდინა შენ ტე სადაა? უკეთესია საქმე გავაკეთოთ. შუი ტას ჩვევად აქვს ამ დროს ჩამოვლა.

*(ისინი დგებიან.)*

*(დაინახავს შუი ტას)*. ერთი ტომარა მომეცი, საპყარო!

*(ზუნი ლინ ტოს ერთ ტომარას წამოიკიდებს)*

**ყოფილი დურგალი**. დიდი მადლობა! ჰო, შენ ტე აქ რომ იყოს და დაენახა მოხუც კაცს მიშველე, კარგი თვალთ შემოგხედავდა. კი კი!

*(შემოდის შუი ტა)*

**ქალბატონი იანგი**. ჰოდა, ბატონი შუი ტა, რასაკვირველია, ერთი შეხედვით მიხვდება, რას ნიშნავს თავდაუზოგავი კარგი მუშა და იგი საქმეში ჩაერევა.



**შუი ტა.** შეჩერდით! აქ რა ხდება? რატომ მიგაქვს მხოლოდ ერთი ტომარა?

**ყოფილი დურგალი.** დღეს რაღაც ცოტა შეუძლოდ ვარ, ბატონო შუი ტა. და იანგ ზუნი ძალიან თავაზიანად...

**შუი ტა.** შენ უკან დაბრუნდები და სამ ფუთას წამოიღებ, მეგობარო. რისი გაკეთებაც იანგ ზუნს შეუძლია, შენც შეგიძლია. იანგ ზუნს სურვილები აქვს და შენ კი არა.

**ქალბატონი იანგი** (*ვიდრე ყოფილი დურგალი ორ სხვა ფუთას მოიტანს*). ზუნისთვის, რასაკვირველია, ერთი სიტყვაც არ უთქვამს, მაგრამ ბატონი შუი ტა ყველაფერს მიხვდა და შემდეგ შაბათს ჯამაგირის გაცემისას...

*(მაგიდას დადგამენ და პატარა ფულის ტომრით შუი ტა შემოდის. იგი ზედამხედველის, ყოფილი უმუშევრის, გვერდით დგას და ჯამაგირს არიგებს. ზუნი მაგიდასთან მიდის.)*

**ზედამხედველი.** იანგ ზუნ, 6 ვერცხლის დოლარი!

**ზუნი.** მაპატიე, 5 უნდა ყოფილიყო. მხოლოდ 5 ვერცხლის დოლარი.

*(ზუნი სიას იღებს, რომელიც ზედამხედველს ეკავა.)* შეხედეთ გეთაყვა, აქ ექვსი სამუშაო დღე შეცდომით წერია, მე ერთი დღე გავაცდინე, სასამართლოში ვიყავი გამოძახებული. *(პირმოთნედ.)* არ მსურს მივიღო ის, რაც არ გამომიმუშავებია, მაშინაც კი, როცა ჯამაგირი ასე უბადრუკია!

**ზედამხედველი.** ესე იგი 5 ვერცხლის დოლარი! *(შუი ტას.)*

იშვიათი შემთხვევაა, ბატონო შუი ტა!

**შუი ტა.** როგორ მოხდა, რომ აქ ექვსი დღე სწერია, თუკი მხოლოდ ხუთი უნდა იყოს?

**ზედამხედველი.** ნამდვილად ჩემი შეცდომაა, ბატონო შუი ტა. *(ზუნს ცივად.)* ასეთი რამ მეტად აღარ მოხდება.

**შუი ტა** (*ზუნს გვერდით გამოიხმობს*). ამასწინათ შევამჩნიე, რომ თქვენ ღონიერი მამაკაცი ხართ და ფირმის გულისათვის ღონეს არ ზოგავთ. დღეს კი ვხედავ, თქვენ პატიოსანი ადამიანიც ყოფილხართ. ხშირად ხომ არ ხდება, ზედამხედველი ფირმის საზარალოდ რომ სცდებოდეს?

**ზუნი.** მას მუშებს შორის ნაცნობები ჰყავს და ისინი თავისიანად თვლიან.

**შუი ტა.** მესმის. სამაგიეროს გადაგვიხდით. გსურთ ერთდროული ფულადი დახმარება?

**ზუნი.** არა, მაგრამ ჩანს მომიხდება გაგახსენოთ, რომ მე განთლებული ადამიანი ვარ. თქვენ იცით, რაღაც განათლება მეცა მაქვს მიღებული. ზედამხედველი მუშათა კოლექტივთან ძალიან კარგ ურთიერთობაშია, მაგრამ ისეთ გაუნათლებელს, როგორც ის არის, არ შეუძლია გაიგოს, ფირმას რა სჭირდება. ბატონო შუი ტა, მომეცით საცდელი დრო და, დარწმუნებული ვარ, შევძლებ დაგიმტკიცოთ, რომ ჩემი განათლება ფირმისთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე ჩემი ფიზიკური ძალა.

**ქალბატონი იანგი.** (*ხალხს*). ეს იყო გაბედული სიტყვები. იმ საღამოს ჩემს ზუნს ვუთხარი: „იცოდე, შენ მფრინავი ხარ. აჩვენე, რომ შენ, სადაც ახლა ხარ, იქაც შეგიძლია მადლა ასვლა! იფრინე ჩემო შევარდენო!“ და მართლაც, როგორი დიდი ნაყოფი შეუძლია გამოიღოს განათლებამ და ინტელექტმა! როგორ შეიძლება ვინმე უამისოდ კარგ ადამიანების რიცხვს მივაკუთვნოთ? ნამდვილ სასწაულებს ახდენდა ჩემი შვილი ბატონი შუი ტას ფაბრიკაში!

(*ზუნი ფეხებგაჩახსული მომუშავეთა უკან დგას. ისინი თავს ზევით ერთმანეთს გადასცემენ ნედლ თამბაქოს.*)

**ზუნი.** ეს არ არის პატიოსანი მუშაობა! თქვენ ეს კალათა უფრო სწრაფად უნდა გადასცეთ ხელიდან ხელში (*ბავშვს*). შენ შეგიძლია იატაკზე დაჯდე და მაშინ ამდენ ადგილსაც არ დაიკავებ. შენ ძალიან კარგად შეგიძლია წნეხვას მიჰყო ხელი, დიას. შენ მანდ! თქვენ, ზარმაცო ძაღლებო, რისთვის გიხდით გასამრჯელოს? სწრაფად გადაეცით კალათი, ეშმაკსაც წაუღია თქვენი თავი! ბაბუა გვერდით გადასვით და გაუშვით, ბავშვებთან ერთად მხოლოდ თამბაქო აჩეჩოს! ახლა სულ გაზანტდით!

აბა, ერთად, რიტმულად! (იგი რიტმულად უკრავს ტაშს და კალათი უფრო სწრაფად გადადის ხელიდან ხელში.)

**ქალბატონი იანგი.** (ხალხს). გაუნათლებელი ადამიანების, ვერც მტრობამ, ვერც შეურაცყოფამ, ასეთები კი არ აკლდა, ხელი ვერ შეუშალა ჩემს შვილს, თავისი ვალდებულება შეესრულებინა.

(ერთ-ერთი მუშათაგანი მერვე სპილოს შესახებ სიმღერას წამოიწყებს და დანარჩენებიც აჰყევიან.)

### **სიმღერა მერვე სპილოს შესახებ**

1

ბატონ ჯინს ჰყავდა ჯანდონით სავსე

ტყიური სპილო შვიდი,

შემდეგში გაჩნდა მერვე არსება,

თვინიერი და მშვიდი.

აბა, სწრაფად გადაზიდეთ

ბატონ ჯინის ტყე

თორემ უცებ თვალთა შორის

იპარება დღე.

2

ულრანს მიჰკაფავს შვიდი ტყიური

მძიმე ჯაფით და დრტვინვით,

მათ მეთვალყურე მერვე ნომერზე

ამხედრებულა ჯინი.

აბა, სწრაფად, შეუტოეთ

ბატონ ჯინის ტყეს,

თორემ უკვე სადაც არის

ღამე შეცვლის დღეს.

3

შვიდ სპილოს, როცა ძალა წაერთვა

და საქმე შეაჩერეს,

რისხვად დაატყდათ ბატონი ჯინი,

ბრინჯი კი მისცა მერვეს.

ეს რას ნიშნავს? რად შეჩერდით,

სწრაფად ჰკაფეთ ტყე,

თორემ ღამე ახლოვდება

იწურება დღე.

4

შვიდივე სპილოს დატყდა ეშვები,

მერვეს კვლავ ბასრი რჩება,

მან სასიკვდილოდ გაჰკრა ძმობილებს

ჯინი ხარხარით კვდება.

აბა, სწრაფად შეუტეთ

ბატონ ჯინის ტყეს,

თორემ უკვე, სადაც არის

ღამე შეცვლის დღეს.

შუი ტა წყნარად დააბოტებს და სიგარის წვეთ წინ გამოდის. იანგ ზუნი მესამე სტროფის მისამდერს ხმას ააყოლებს და უკანასკნელ სტროფზე ტაშის დაკვრით ტემპს უმატებს.

**ქალბატონი იანგი.** ჩვენ (*ხალხს.*) ნამდვილად არ ვიცით, ბატონ შუიტას მადლობა როგორ გადავუხადოთ. შუი ტამ თითქმის შეუმჩნევლად, თუმცა სიმკაცრითა და სიბრძნით ყოველივე სიკეთე წარმოაჩინა, რაც ზუნში იმალებოდა! შუი ტას არავითარი ფანტასტიური დაპირებები არ მიუცია, როგორც ეს მისმა სანაქებო ნათესავმა გააკეთა, შუი ტამ ზუნი აიძულა პატიოსნად ეშრომა. დღეს ზუნი სრულიად სხვა ადამიანია, ვიდრე სამი თვის უკან იყო. თქვენც სიამოვნებით დამეხმარებით, რასაც ვამბობ! „კეთილშობილი ადამიანი ზარივითაა, შემოჰკრავ, დარეკავს, არ შემოჰკრავ, არ დარეკავს“, როგორც მოხუცები ამბობენ.

9.

### **შენ ტეს თამბაქოს მაღაზია**

მაღაზია კანტორად ქცეულა. სავარძლებითა და მშვენიერი ხალიჩებით არის მორთული. წვიმს. ახლა უკვე გასუქებული შუი ტა ხალიჩებით მოვაჭრე ცოლ-ქმარს ემშვიდობება. გამხიარულებული შინი მათ უთვალთვალებს. თვალში გეცემათ შინის ახალი ჩაცმულობა.

**შუი ტა.** ძალიან მწყინს, რომ არ შემოიძლია გითხრათ, შენ ტე როდის დაბრუნდება.

**დედაბერი.** ჩვენ დღეს წერილი მივიღეთ 200 ვერცხლის დოლარითურთ, რომელიც ერთხელ შენ ტეს ვასესხეთ, გამომგზავნი არ იყო დასახელებული, მაგრამ წერილი ნამდვილად შენ ტესგან არის. მისამართი რომ ვიცოდეთ, სიამოვნებით მივწერდი.

**შუი ტა.** სამწუხაროდ, ესეც არ ვიცი.

**მოსუცი.** წავიდეთ.

**დედაბერი.** ოდესღაც ხომ მაინც დაბრუნდება.

*(შუი ტა წელში მოხრილი თავს დაუკრავს. მოხუცები გაუბედავად და მოუსვენრად მიდიან.)*

**შუი ტა.** რატომ არ მოვიდნენ ჩემთან?

**შინი.** თქვენთან ძალიან უჭირთ მოსვლა. მოხუცები ჯერ ელოდებოდნენ, იქნებ შე ტე დაბრუნდესო, თან ხელწერილიც არ ჰქონდათ. კრიტიკულ დღეებში მოხუცს სიცხემ აუწია და ცოლი დღედაღამ საწოლთან უჯდა.

**შუი ტა.** *(იძულებულია დაჯდეს, რადგან თავს ცუდად გრნობს).* კვლავ თავბრუ მეხვევა!

**შინი** *(შუი ტას თავს დასტრიალებს).* თქვენ უკვე მეშვიდე თვეში ხართ! აღელვება აღარ შეიძლება. კიდევ კარგი, რომ მე გყავართ კაცი კაცს თუ არ დაეხმარა, ისე ახლა არავის ძალუძს იოლად ფონს გასვლა. მძიმე წუთებში, თქვენს ახლოს მიგულეთ *(იციინის.)*

**შუი ტა** *(ხუსტად).* შემოდია თქვენი იმედი ვიქონიო, ქალბატონო შინ?

**შინი.** აბა როგორ! მართალია, რაღაც პატარა მსხვერპლის გაღება მოგიხდებათ. საყელო შეისხენით, მაშინ უფრო შევბას იგრძნობთ.

**შუი ტა** *(შესაბრალისად).* ყველაფერი ეს მხოლოდ ბავშვის გულისთვის მემართება, ქალბატონო შინ.

**შინი.** ყველაფერი ბავშვის გულისთვის!

**შუი ტა.** ოღონდ ძალიან ჩქარა ვსუქდები, ვიღაცას თვალში მოვხვდები.

**შინი.** კარგ ცხოვრებას დააბრალებენ.

**შუი ტა.** მერედა, ბავშვს რა უნდა მოვუხერხო?

**შინი.** დღეში სამჯერ მეკითხებით ერთი და იგივეს. მოვლა-პატრონობა კარგი ექნება. ყველაფერი საუკეთესო, რაც კი შეიძლება ოქროს სანაცვლოდ ჰქონდეს.

**შუი ტა.** დიას. *(შეშინებული)* მან არასოდეს შუი ტა არ უნდა ნახოს.

**შინი.** არასოდეს. მუდამ შენ ტე უნდა ედგას თვალწინ.

**შუი ტა.** მაგრამ ხმები რომ დადის უბანში! გული გააწყალა მეთულუხემ თავისი ლაყბობით! მაღაზიას თვალებურს ადევნებენ!

**შინი.** ვიდრე დალაქმა არაფერი არ იცის, ცუდიც არაფერია მოსალოდნელი. ერთი ყლუპი წყალი მოსვით.

*(კარგ კოსტიუმში ჩაცმული ზუნი შემოდის, კაცივით ხელში პორტფელი უჭირავს. იგი განცვიფრებული შესცქერის შინის მკლავებში მოქცეულ შუი ტას.)*

**ზუნი.** ხელი ხომ არ შეგიშალეთ?

**შუი ტა** *(ძალაგამოლეული წამოდგება და ბარბაცით კარისკენ გასწევს).* ხვალამდე, ქალბატონო შინ!

*(შინი ხელთათმანებს იცვამს და ღიმილით გადის.)*

**ზუნი.** ხელთათმანები! საიდან, რატომ, რისთვის? ფული ხომ არ სურს დაგცანცლოთ? *(როცა შუი ტა პასუხს არ გასცემს.)* ნაზმა გრძნობებმა თქვენც დაგრიათ ხელი? სასაცილოა. *(იგი პორტფელიდან ქაღალდს ამოიღებს.)* ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელ ხანებში ძველებურად მოწოდების სიმადლეზე ვერ დგახართ, ეს ახირებაო, ეს გაუბედაობაო. ავად ხართ? საწარმოს საქმე უკან და უკან მიდის. აი, აგერ პოლიციიდან კვლავ წერილი მივიღეთ. ფაბრიკის დახურვა სურთ. ამბობენ, ერთ

შენობაში დიდდიდი ორჯერ მეტი ადამიანების დაშვება შეგვიძლია, ვიდრე კანონით არის ნება დართული. ბოლოს და ბოლოს, რაღაც უნდა იღონოთ, ბატონო შუი ტა!

*(შუი ტა წუთით დაბნეული უყურებს ზუნს. შემდეგ იგი გვერდით ოთახში გადის და ფუთით ხელში ბრუნდება უკან. იქიდან შლიაპას იღებს და საწერ მაგიდაზე ისვრის.)*

**შუი ტა.** ფირმას სურს, მისი წარმომადგენლები საკადრისად ჩაცმული დადიოდნენ.

**ზუნი.** ჩემთვის სომ არ იყიდეთ?

**შუი ტა** *(გულგრილად).* გასინჯეთ, მოგერგებათ თუ არა.

*(ზუნი გაკვირვებული უყურებს და შლიაპას დაიხურავს. შუი ტა შლიაპას თან უსწორებს და თან თვალით სინჯავს.)*

**ზუნი.** გმადლობთ, მაგრამ სიტყვას ბანზე ნუ მიგდებთ. დღეს თქვენ დალაქთან ახალი გეგმის თაობაზე უნდა მოილაპარაკოთ.

**შუი ტა.** დალაქი ისეთ პირობებს გეთავაზობს, რომელთა შესრულება შეუძლებელია.

**ზუნი.** ბოლოს და ბოლოს, მეტყვეთ თუ არა, რა პირობებია?

**შუი ტა** *(პირდაპირ პასუხს თავს არიდებს.)* ბარაკები სავსებით საკმარისია.

**ზუნი.** გეთანხმებით, საკმარისია იმ ბრბოსთვის, ვინც იქ მუშაობს, მაგრამ არა თამბაქოსთვის. თამბაქო ნოტივდება. სხდომის დაწყებამდე მი ტჩიუს თავისი შენობის თაობაზე მოველაპარაკები. თუ შენობა გვექნება, მაშინ შეგვეძლება ჩვენი ხეიბრები, მათხოვრები და მუქთახორები გარეთ მივაბრძანოთ. ისინი უკვე გამოუსადეგარნი არიან, მი ტჩიუს ერთ ჭიქა ჩაიზე დავპატიუებ, მსუქან მუხლებზე ხელს გადავუსვავ და შენობას ნახევარ ფასად გამოვტყუებ.

**შუი ტა** *(მკვეთრად).* ეს არ მოხდება. ჩემი სურვილია, რომ ფირმის ავტორიტეტისა და ინტერესებისათვის ყოველთვის თავდაჭერილად, გულგრილად და საქმიანად მოიქცეთ.



**ზუნი.** ასე რატომ გაწიწმატდით? ნუთუ იმ უსიამოვნო ხმებისათვის, ჩვენს უბანში რომ ავრცელებენ?

**შუი ტა.** ხმები სულაც არ მენადვლება.

**ზუნი.** მაშინ კვლავ წვიმის ბრაღია, წვიმა ყოველთვის გაღიზიანებით და მელანქოლიურს გხდით. მინდა ვიცოდე რატომ?

*(ვანგის ხმა გარედან)*

ღია ცის ქვეშ წყალსა ვყიდი,

გალუმპული ვდგავარ, მაწვიმს,

ტანჯვით ვზიდე შორი გზიდან,

არ მიფასებს მაინც კაცი.

წყალი! წყალი! რომ გავეყვრი,

განა ენა მექავება?

ყველა ძუნწობს და ჩემს სასმელს

ახლოს არვინ ეკარება.

**ზუნი.** აგერ დაწყველილი მეთულუხე მოვიდა. ისევ დაიწყებს გულის გაწვრილებას.

**ვანგის ხმა.** *(გარედან).* ნუთუ ქალაქში ერთი კეთილი ადამიანი აღარ მოიძებნება? აქაც კი, იმ ქალაქში სადაც კეთილი შენ ტე ცხოვრობდა? სად არის ის ადამიანი, რომელმაც რამდენიმე თვის წინათ წვიმაში გულით საყვარელი მეგობრისთვის ერთი კათხა წყალი იყიდა? ნეტავი სად არის ახლა იგი? ნუთუ იმის შესახებ არავის არაფერი სმენია? ერთ საღამოს ამ სახლში შევიდა და იქიდან აღარ გამოსულა!

**ზუნი.** ბოლოსდაბოლოს, აღარ ჩავაწყვეტინოთ ხმა? ნეტავი ვიცოდე, რა მისი საქმეა, შენ ტე სად არის? თუმცა ვფიქრობ, თქვენ იმიტომ არ ამბობთ, არ გსურთ, მე რომ შევიტყო.

**ვანგი** (*შემოდის*). ბატონო შუი ტა, კვლავ გეკითხებით, როდის დაბრუნდება შენ ტე, ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ რაც შენ ტე წავიდა. (*შუი ტა დუმდა*.) ამ ხანში ბევრი რამ მოხდა, რაც შენ ტეს აქ ყოფნისას თავის დღეში არ მოხდებოდა. (*შუი ტა ისევ და ისევ დუმს*.) ბატონო შუი ტა, უბანში ხმა დაირხა, შენ ტეს რაღაცა დაემართაო. ჩვენ, მისი მეგობრები, ძალიან შეწუხებულნი ვართ. თუკი მეგობრობის გრძნობა კიდევ შემოგრჩათ, ახლავე მოგვეცით შენ ტეს მისამართი

**შუი ტა.** სამწუხაროდ, ახლა დრო არა მაქვს, ბატონო ვანგ. შემდეგ კვირას შემოვიარეთ.

**ვანგი** (*აღელვებული*). განსაცვიფრებელია. ბრინჯი, რომელსაც გაჭირვებულები ყოველთვის იღებდნენ, რამდენიმე ხანია დილაობით კვლავ კარის წინ დგას.

**შუი ტა.** მერედა, აქედან რა დასკვნა გამოაქვთ?

**ვანგი.** ის, რომ შენ ტე არსად წასულა.

**შუი ტა.** აბა, სადაა? (*ვანგი დუმს*.) მაშინ პასუხს მე გეტყვით. ეს პასუხი საბოლოო იქნება, ბატონო ვანგ, თუკი თქვენ შენ ტეს მეგობარი ხართ, მაშინ ჩემი რჩევაა, რაც შეიძლება ნაკლებად იკითხოთ მისი ადგილსამყოფელი.

**ვანგი.** მშვენიერი რჩევაა! ბატონო შუი ტა, ვიდრე უგზოუკვლოდ გაქრებოდა, შენ ტემ მითხრა ორსულად ვარო!

**ზუნი.** რაო?

**შუი ტა** (*სწრაფად*). სიცრუეა!

**ვანგი** (*ძალიან სერიოზულად მიმართავს შუი ტას*). ბატონო შუი ტა, არასოდეს არ იფიქროთ, რომ შენ ტეს მეგობრები როდისმე შეწყვეტენ მის ძებნას. კეთილი კაცი ასე ადვილად არავის ავიწყდება. ისინი ბევრნი როდი არიან (*გადის*.)

*გაშტერებული შუი ტა მიმავალს თვალს გააყოლებს. შემდეგ სწრაფად გადის კვერდით ოთახში.*

**ზუნი** (*ხალხს*). შენ ტე ორსულადაა! მოსვენება დაგეარგე! მოტყუებული ვარ! შენ ტე ალბათ იმავე წუთს თავის ბიძაშვილს გაენდო, ხოლო ამ უნამუსომ, რასაკვირველია, მაშინვე აქედან მიაბრძანა. „ჩაალაგე შენი ჩემოდნი და გაქრი, ვიდრე ბავშვის მამა რაიმეს შეიტყობს! ყოვლად დაუშვებელია, არაადამიანურია. მე შვილი მყავს. ერთი იანგი კიდევ უნდა გაჩნდეს ქვეყნად! და რა ხდება! გოგონა უგზოუკვლოდ იკარგება, ხოლო მე მაიძულებენ წელგაუმართავად ვიმუშაო! (*გაშმაგებული*) ერთი ქუდით გინდა დამაპურო! (*იგი შლიაპაზე ფეხით შედგება და გაქელავს*) მოდალატევე, ყაჩაღო! ბავშვების გამტაცებელი! შენ ტეს მფარველიც არავინ ჰყავს! (*გვერდით ოთახიდან სლუკუნი ისმის. ზუნი გაქვავებული დგას*) ეს ხომ ტირილის ხმა იყო? ვინ არის ის? შეწყდა. რა სლუკუნია გვერდით ოთახში? ის ძაღლის ნაშიერი შუი ტა არ იტირებდა. მაში ვინ სლუკუნებდა? რას ნიშნავს ის, რომ ბრინჯი ყოველ დილით ისევ კარის წინ დგასო? გოგონა აქ არის? შუი ტა ხომ არ მალავს? ვის შეეძლო იქ, შიგნით ეტირა? ეს კი ნამდვილი აღმოჩენა იქნებოდა! შენ ტე ორსულადაა. აუცილებლად უნდა ვიპოვო!

(*გვერდით ოთახიდან შუი ტა ბრუნდება. კართან მიდის და წვიმაში გარეთ იყურება*.)

არ იტყვით, სად არის შენ ტე?

**შუი ტა** (*ხელს ასწევს და ყურს მიუგდებს*). ერთი წუთით! უკვე ცხრა საათია, მაგრამ დღეს რატომღაც არაფერი არ ისმის. უსაშველოდ წვიმს.

**ზუნი** (*ირონიულად*). რისი გაგონება გსურდათ?

**შუი ტა**. საფოსტო თვითმფრინავის.

**ზუნი**. ნუ ოხუნჯობთ!

**შუი ტა**. ერთხელ როგორღაც ყური მოგკარი, თქვენ ფრენა გსურდათ? ამისი ინტერესი დაკარგეთ?

**ზუნი**. ახლანდელ ადგილზე სამდურავი არ მეთქმის, თუ თქვენ ეს გაქვთ მხედველობაში. რომ იცოდეთ, ღამით მუშაობა არ მიყვარს. საფოსტო მფრინავები ღამით მუშაობენ. ფირმა სიმართლე გითხრათ, გულით შემიყვარდა. ასე თუ ისე,

ფირმა ჩემი ყოფილი დანიშნულისაა, მიუხედავად იმისა, რომ იგი სადღაცაა წასული. იგი ხომ ნამდვილად სადღაც გაემგზავრა?

**შუი ტა.** რატომ მეკითხებით?

**ზუნი.** ალბათ იმიტომ, რომ მისი მდგომარეობა ჯერ კიდევ მალეღებებს.

**შუი ტა.** ჩემს ნათესავს ეს ამბავი დაინტერესებდა.

**ზუნი.** მისი მდგომარეობა, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ მაწუხებს, ასე რომ, გულგრილად არ შევხედებოდი, თუკი შევიტყობდი, რომ შენ ტეს თავისუფლად სიარულის უფლება აყრილი აქვს.

**შუი ტა.** ვისგან?

**ზუნი.** თქვენგან

*(პაუზა)*

**შუი ტა.** ასეთ შემთხვევაში როგორ მოიქცეოდით?

**ზუნი.** მაშინ, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ფირმაში ჩემს ადგილს ხელახლა სადისკუსიოდ გავხდიდი.

**შუი ტა.** ოჰო. ასეა? და თუკი ფირმა, ესე იგი მე შესაფერის ადგილს გაგინთავისუფლებდით, შემძლია იმედი ვიქონიო, რომ თქვენ ყოფილი დანიშნულის ძებნას თავს დაანებებთ?

**ზუნი.** შესაძლებელია.

**შუი ტა.** მერედა, როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი ახალი ადგილი ფირმაში?

**ზუნი.** გაბატონებული. მე მაგალითად, თქვენს აქედან გაგდებას ვფიქრობ.

**შუი ტა.** თუ ფირმა ჩემს მაგივრად თქვენ გაგაგდებთ?

**ზუნი.** მაშინ, ალბათ, უკან გაგბრუნდები, მხოლოდ მარტო არა.

**შუი ტა.** არამედ?

**ზუნი.** პოლიციასთან ერთად.

**შუი ტა.** პოლიციასთან ერთად დაფუშვათ, პოლიციამ აქ ვერაფერ ვერ იპოვა?

**ზუნი.** პოლიცია, საფიქრებელია, გვერდით ოთახში შეიხედავს? ბატონი შუი ტა, გულთ საყვარელი ქალის მიმართ ჩემი დაუოკებელი სურვილი მოსვენებას მიკარგავს. ვგრძნობ, რადაცა უნდა მოვიმოქმედო. რათა მისი კვლავ გულში ჩაკვრა შეეძლო. *(წენარად.)* იგი ორსულადაა და სჭირდება გვერდში ვინმე ამოუდგეს. მეთულუხეს უნდა მოელაპარაკო *(იგი მიდის.)*

შუი ტა გაუნძრევლად გააყოლებს თვალს. შემდეგ სწრაფად კვლავ გვერდით ოთახში შებრუნდება. მას შენ ტეს სხვადასხვა ნივთები გამოაქვს, თეთრეული, კაბები, ტუალეტის მოწყობილობა. იგი დიდხანს ათვალიერებს თავშალს. რომელიც მან ხალიჩების მწარმოებლისაგან იყიდა. შემდეგ ყველაფერს ერთ ფუთაში ჩააწყობს და, როცა ხმაურს გაიგონებს, მაგიდის ქვეშ დამალავს. *(შემოდის სახლის მეპატრონე ქალი და შუ ფუ. ისინი შუი ტას მიესალმებიან და ქოლგებსა და კალოშებს დააწყობენ.)*

**სახლის მეპატრონე ქალი.** შემოდგომა დგება, ბატონო შუი ტა.

**ბატონი შუ ფუ.** წლის მეღანქოლიური დროა!

**სახლის მეპატრონე ქალი.** სად არის თქვენი მომხიბლავი რწმუნებული? ქალების გულის დამდაგველი! თუმცა თქვენ, ცხადია, ამ მხრივ მას არ იცნობთ. მიუხედავად ამისა, არშიყობასა და სამსახურის საქმეებს მაინც კარგად უთავსებს ერთმანეთს, იმდენად, რომ თქვენ მისგან მხოლოდ მოგებას ნახულობთ.

**შუი ტა** *(ესალმება წელში მოხრილი.)* დაბრძანდით!

*(სხდებიან და ეწევიან.)*

ჩემო მეგობარო, გაუთავებელი გარემოება, რასაც განსაზღვრული შედეგები მოჰყვება, მაიძულებს მოლაპარაკება, უკანასკნელ ხანებში ჩემი საწარმოს მომავლის შესახებ

რომ ვაწარმოებდი, უკიდურესად დავაჩქარო. ბატონო შუ ფუ, ჩემი ფაბრიკა სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა.

**ბატონი შუ ფუ.** ყოველთვის ასე არაა?

**შუი ტა.** მაგრამ ახლა პოლიცია საჯაროდ იმუქრება, ფაბრიკას დაკეცავო, თუ მათ არ შევატყობნე, რომ ახალი ობიექტის შესახებ მოლაპარაკებას ვაწარმოებ. ბატონო შუ ფუ, საქმე ეხება ჩემი ნათესავის ერთადერთ საკუთრებას, რის მიმართაც თქვენ ყოველთვის ასე ძალიან დიდი ინტერესს იჩენდით.

**ბატონი შუ ფუ.** ბატონი შუი ტა, უზომოდ მოწყენილად ვგრძნობ თავს, როცა თქვენი განუწყვეტელი გაზრდილი გეგმების განხილვაში ვმონაწილეობ. მე გელაპარაკებოდით ერთ პატარა ვახშამზე თქვენ ნათესავთან ერთდ, თქვენ კი ფინანსურ სიძნელეებზე ჩამომიგდეთ სიტყვა. თქვენ ნათესავს უთავშესაფარო ხალხისთვის სახლები გადაეცეცა, ის ჩემი კი თქვენ წარადგინეთ. ამ დროს თქვენი ნათესავი გაქრა, ახლა თქვენ გსურთ მიიღოთ 10 0000 ვერცხლის დოლარი და თანაც უკმაყოფილებას გამოთქვამთ, ჩემი სახლები ძალიან პატარააო. სად არის თქვენი ნათესავი?

**შუი ტა.** ბატონო შუ ფუ, დამშვიდდით. დღეს უკვე დარწმუნებით შემიძლია გითხრაო, რომ იგი ძალიან მალე დაბრუნდება.

**ბატონი შუ ფუ.** მალე? როდის? „მალე“ რამდენიმე კვირაა თქვენგან მესმის.

**შუი ტა.** მე თქვენგან რაიმეზე ხელის მოწერა არ მომითხოვია. მხოლოდ გკითხეთ, ჩემს გეგმებს გუღთან ახლოს ხომ არ მიიტანთ, თუ ჩემი ნათესავი უკან დაბრუნდება-მეთქი?

**ბატონი შუ ფუ.** ათასჯერ გითხარით, რომ თქვენთან აღარაფერს ვითათბირებ. თქვენს ნათესავთან კი მზად ვარ ყველაფერზე მოვილაპარაკო. მაგრამ ჩანს, ასეთ მოლაპარაკებას გსურთ, ხელი შეუშალოთ.

**შუი ტა.** მეტად აღარ.

**ბატონი შუ ფუ.** მაშინ მოლაპარაკება როდის შედგება?

შუი ტა (გაუბედავად) სამ თვეში.

ბატონი შუ ფუ (გაჯავრებული). მაშინ სამი თვის შემდეგ მოგიწერთ ხელს.

შუი ტა. მანამდე საჭიროა ყველაფერი მომზადდეს.

ბატონი შუ ფუ. თქვენ ყველაფრის მომზადება შეგეძლებათ, შუიტა, თუკი დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი ნათესავი ამჯერად ნამდვილად ჩამოვა.

შუი ტა. ქალბატონო მი ტჩიუ თქვენი მხრივ მზად ხართ თუ არა პოლიციას დაუდასტუროთ, რომ თქვენი ფაბრიკის შენობა მე გადმომეცემა?

სახლის მეპატრონე ქალი. ცხადია, თუკი თქვენ რწმუნებელს გადმომცემთ. ჩემი პირობა უკვე რამდენიმე კვირაა იცით. (ბატონ შუ ფუს.) ახალგაზრდა კაცი საქმეში ძალიან წესიერია და მე სწორედ მმართველი მჭირდება.

შუი ტა. თქვენ ხომ უნდა გამიგოთ, რომ ყველა იმ სიძნელისა და ბოლო ხანებში ძალიან შერყეული ჯანმრთელობის გამო, სწორედ ახლა არ შემიძლია ბატონ იან ზუნის გარეშე დავრჩე! თავიდანვე კი მსურდა, თქვენთვის დამეთმო მაგრამ...

სახლის მეპატრონე ქალი. დიას, მაგრამ!

პაუზა.

შუი ტა. კეთილი, ხვალ იგი თქვენს კანტორაში გესტუმრებათ.

ბატონი შუ ფუ. მოხარული ვარ, რომ თქვენ ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა შეძელით, შუი ტა. თუკი ფროილან შენ ტე ნამდვილად დაბრუნებას აპირებს, მაშინ ახალგაზრდა კაცის აქ დარჩენა დიდი უხამსობა იქნებოდა. იმ კაცმა, როგორც ვიცით, შენ ტეზე ძალიან უკეთური გავლენა მოახდინა.

შუი ტა (წელში მოხრილი). უეჭველად, ბოდიშს ვიხდი ორივე საკითხთან დაკავშირებით, ჩემი ნათესავის შენ ტესა და იან ზუნის თაობაზე ასე დიდხანს რომ ვყოყმანობდი, ეს კი საქმოსანი კაცისთვის შეუფერებელია, ამ ადამიანებს ოდესღაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ.

**სახლის მეპატრონე ქალი.** გაპატიებთ.

**შუი ტა** (*კარს არის მიშტერებული*). ჩემო მეგობარო, ნება მიბოძეთ, ამჯერად დავასრულოთ, თავდაპირველად ამ პატარა და გასაცოდავებული მაღაზიის მაგივრად, სადაც უბნის ღარიბი ადამიანები კეთილი შენ ტეს თამბაქოს ყიდულობდნენ, ჩვენ, მისმა მეგობრებმა, გადავწვიტეთ, თორმეტ საუკეთესო მაღაზიად გვექცია. რომლებშიც მომავალში შენ ტეს კარგი თამბაქო გაიყიდება. როგორც გადმომცეს, ხალხი თურმე სეჩუანელ თამბაქოს მეფეს მიწოდებს. სინამდვილეში ამ საწარმოს, მხოლოდ და მხოლოდ, ჩემი ნათესავის ინტერესებისათვის ვხელმძღვანელობდი. ეს მაღაზია მისი შვილებისა და შვილიშვილების კუთვნილება იქნება.

*(ვარედან ხალხის ბრბოს ხმაური ისმის, შემოდის ზუნი, ვანგი და პოლიციელი.)*

**პოლიციელი.** ბატონო შუი ტა, უბნის აგზნებული განწყობა, ჩემდა სამწუხაროდ, მაიძულებს თქვენივე საკუთარი ფირმიდან შემოსული განცხადება გამოვარკვიო, რომლის მიხედვითაც, თითქოს თქვენ, თქვენ ნათესავს, ფროილან შენ ტეს თავისუფლება აჰყარეთ.

**შუი ტა.** არ არის მართალი.

**პოლიციელი.** აგერ, ბატონი იანგ ზუნი ამტკიცებს, რომ თქვენი კანტორის გერდითი ოთახიდან სლუკუნი გაიგონა, მხოლოდ ქალს შეუძლია ასე იტიროსო.

**სახლის მეპატრონე ქალი.** სასაცილოა. მე და ბატონი შუი ფუ, ამ ქალაქის ორი დარბაისელი მოქალაქე, რომელთა ჩვენება ძნელად თუ შეუძლია პოლიციამ ეჭვის ქვეშ დააყენოს, ვამტკიცებთ, რომ აქ არავინ არ სლუკუნებდა ჩვენ მშვიდად ვეწვივით ჩვენს სიგარებს.

**პოლიციელი.** სამწუხაროდ, დავალებული მაქვს, ეჭვიმტანილის გვერდითა ოთახი დავათვალიერო.

*(შუი ტა კარს აღებს. მაღლობის ნიშნად წელში მოხრილი პოლიციელი ზღრუბლზე გადააბიჯებს. შიგ შეიხედავს, შემდეგ შემოტრიალდება და იღიმება.)*

აქ ნამდვილად კაციშვილი არაა.



**ზუნი** (*პოლიციელს მიუახლოვდება*). მაგრამ ტირილი ნამდვილად გავიგონე! (*მისი მხერა მაგიდას მისწვდება, რომლის ქვეშაც შუი ტამ ფუთა გადამალა. ზუნი ფუთასთან მიიჭრება.*) ეს აქამდე აქ არ იყო, (*ფუთას გახსნის, შენ ტეს კაბებს აჩვენებს და ა. შ.*)

**ვანგი.** ეს შენ ტეს ნივთებია! (*იგი კართან მიიბრუნს და გარეთ გასძახებს.*) შენ ტეს ტანსაცმელი აღმოაჩინეს.

**პოლიციელი** (*ნივთებს აიღებს*). თქვენ თქვით, რომ თქვენი ნათესავი სადღაც გაემგზავრა მისი კუთვნილი ნივთებით სავსე ფუთა თქვენი მაგიდის ქვეშ იპოვეს დამაღული. სად შეგვიძლია გოგონა ვნახოთ, ბატონო შუი ტა?

**შუი ტა.** მე მისი მისამართი არ ვიცი.

**პოლიციელი.** ძალიან სამწუხაროა.

**ხმა ხალხის ბრბოდან.** შენ ტეს ნივთები იპოვეს! თამბაქოს მეფემ გოგონა მოკლა და სადღაც გადამალა!

**პოლიციელი.** ბატონო შუი ტა, გთხოვთ, პოლიციის განყოფილებაში წამომყვეთ.

**შუი ტა** (*სახლის მეპატრონე ქალსა და ბატონ შუ ფუს გამოემშვიდობება წელში მოიხრება*). ჩემო ბატონებო, ბოდიშს ვიხდი აურზაურისათვის. სეზუანში მოსამართლე კიდევ მოიძებნება დარწმუნებული ვარ, რომ ცოტა ხანში ყველაფერს ნათელი მოეფინება. (*პოლიციელი წინ მიდის.*)

**ვანგი.** საშინელი დანაშაული ჩაიდინეს!

**ზუნი.** (*შეძრწუნებული*). მაგრამ აქ ნამდვილად ტიროდა ვიღაცა.

**ინტერმედია.** ვანგის ღამის სათევი.

**მუსიკა.** მეთულუხეს ძილში უკანასკნელად ეცხადებიან ღმერთები. ისინი ძალიან შეცვლილები არიან. აშკარად ეტყობათ ხანგრძლივი მოგზაურობის კვალი, ძლიერი დაღლილობისა და აურაცხელი მკაცრი თავგადასავლებით გამოწვეული. ერთი

მათგანი უქუდოდაა, სადღაც დაუკარგავს, მეორეს მელიის ხაფანგში ჩაუდგამს ფეხი. სამივენი ფეხშიშველები არიან.

**ვანგი.** როგორც იქნა, გამოჩნდით! შენ ტეს თამბაქოს მაღაზიაში საშინელი ამბები დატრიალდა, ნათელმოსილნო! შენ ტე უკვე რამდენიმე თვეა კვლავ სადღაც წავიდა! ბიძაშვილი დაეპატრონა ყველაფერს! დღეს იგი დააპატიმრეს. ამბობენ შენ ტე მოკლა და მაღაზია მიისაკუთრაო, მაგრამ ეს არ მჯერა, რადგან სიზმარი ვნახე, შენ ტე გამომეცხადა და მომიყვა, რომ ბიძაშვილს დატყვევებული ვყავარო. ოჰ, ნათელმოსილნო, თქვენ ამ წუთსავე უნდა დაბრუნდეთ და შენ ტე იპოვოთ.

**პირველი ღმერთი.** ეს საშინელებაა. მთელი ჩვენი ძიება წყალში ჩაიყარა. ძალიან ცოტა კეთილი ადამიანი ვიპოვეთ და ვისაც მივაკვლიეთ, ისინიც არაადამიანურად ცხოვრობენ. ჩვენ უკვე გადავწყვიტეთ, მთელი იმედები შენ ტეზე დავამყაროთ.

**მეორე ღმერთი.** თუკი იგი ისეთივე კეთილია!

**ვანგი.** ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ იგი სადღაც გაქრა!

**პირველი ღმერთი.** მაშინ ყველაფერი დაიღუპა.

**მეორე ღმერთი.** ნებისყოფა მოიკრიბეთ!

**პირველი ღმერთი.** რა საჭიროა ნებისყოფის მოკრება? შენ ტე რომ ვერ ვიპოვოთ, ჩვენ სამსახურიდან უნდა გადავდგეთ! ეს რა ქვეყანა აღმოვაჩინეთ, ყველგან გაჭირვება, სიმდაბლე და ზნედაცემულობა სუფევს! თვით ბუნებამაც ზურგი შეგვაქცია. მშვენიერი ხმები მავთულებივითაა თავწასხეპილი, მთის იქით კვამლის დრუბელს ვხედავ და ქვემეხების გრგვინვის ხმა გვესმის, არსად კეთილი ადამიანი არ ჩანს, რომელიც გამოსავალს ნახავს.

**მესამე ღმერთი.** ოჰ, მეთულუხევე, ჩვენი მცნებანი ჩანს მომაკვდინებლად მოქმედებენ! მეშინია, ყველაფერს ხაზი უნდა გაესვას, რაც ჩვენ ზნეობრივ მითითებებში დავაწესეთ. ადამიანებს საქმე თავსაყრელად აქვთ, მარტო ის რად უღირთ, გაძალღებული ცხოვრების ჭაპანი გასწიონ. კეთილ განზრახვებს ისინი უფსკრულის პირას მიჰყავს, ხოლო კეთილი საქმეები მიწაზე ანარცხებენ მათ. *(ორ დანარჩენ ღმერთს.)* ქვეყნა საცხოვრებლად უვარგისია, ეს უნდა აღიაროთ!

**პირველი ღმერთი (ცხარედ).** არა, ადამიანები არაფრის ღირსნი არ არიან!

**მესამე ღმერთი.** რადგან ქვეყანა ძალიან გულცივია!

**მეორე ღმერთი.** რადგან ადამიანები ძალიან უძლურნი არიან!

**პირველი ღმერთი.** ღირსება, ძვირფასო, ღირსება! ძმებო, სასოწარკვეთილებას არ უნდა მივცეთ. ერთი ხომ მაინც ვიპოვეთ ისეთი, ვინც კეთილი იყო და ასეთივე დარჩა, თუმცა იგიც სადღაც გაქრა. ვიჩქაროთ, იქნებ სადმე მივაკვლიოთ. ერთიც საკმარისია. ჩვენ ხომ ვამბობდით, ყველაფერი კარგად იქნებოდა, თუკი ერთ ისეთ ვინმეს წავაწყდებოდით, მხოლოდ და მხოლოდ ერთს, რომელიც ამ ქვეყანას გაუძლებდა.

*(ღმერთები სწრაფად გაქრებიან.)*

10.

### **სასამართლოს შენობა**

ხალხი ჯგუფებადაა დაყოფილი: ბატონი შუ ფუ და სახლის მეპატრონე ქალი ზუნი და დედამისი. ვანგი, დურგალი, ბაბუა, ახალგზრდა მეძავი, მოხუცი ცოლ-ქმარი, შინი, პოლიციელი. რძალი.

**მოხუცი.** იგი ძალიან ძლიერია.

**ვანგი.** მას სურს, თორმეტი ახალი მაღაზია გახსნას.

**ღურგალი.** როგორ შეუძლია მოსამართლემ სამართლიანი განაჩენი გამოიტანოს, როცა ბრალდებულის მეგობრები, დალქი შუ ფუ და სახლის მეპატრონე ქალი მიტჩიუ, მისი მეგობრები არიან?

**რძალი.** ვიღაცას დაუნახავს, გუშინ საღამოს შინს ბატონი შუი ტას დავალებით მოსამართლის სამზარეულოში ისეთი მსუქანი ბატი შეუტანია, რომ ქონმა თურმე კალათში გააქონა.

**დედაბერი (ვანგს).** ჩვენ საწყალ შენ ტეს ვერასოდეს იპოვნინან.

**ვანგი.** მხოლოდ ღმერთებს შეუძლიათ სინამდვილეს ფარდა ახადონ.

**პოლიციელი.** სიწყნარე, სასამართლო მიდის.

*(შემოდის მოსამართლის ტოგაში გადაცმული სამი ღმერთი. ვიდრე ისინი რამპის გასწვრივ მიდიან, ისმის მათი ჩურჩული.)*

**პირველი ღმერთი.** ალბათ ისიც დააეჭვებთ, მოსამართლეს ასე უცებ კუჭი რამ აუშალაო.

**მეორე ღმერთი.** არა, ეს ნამდვილად ასეა, ნახევარი ბატი შეუსანსლავს.

**შინი.** ახალი მოსამართლეები!

**ვანგი.** ძალიანაც კარგი.

*(მესამე ღმერთი, რომელიც მიდის, ვანგის სიტყვებს ყურს მოჰკრავს, შემობრუნდება და მათ უღიმის. ღმერთები სხდებიან. პირველი ღმერთი ჩაქუჩს დაჰკრავს მაგიდას. პოლიციელს შუი ტა შემოჰყავს, რომელსაც სტვენით ხვდებიან, იგი ბატონკაცური თავდაჯერებულობით მოაბიჯებს.)*

**პოლიციელი.** მოულოდნელობისათვის მოემზადეთ. ეს მოსამართლე ფი ი ჩენგი არ არის. მაგრამ ახალი მოსამართლეებიც ძალიან თავაზიანი შესახედავნი არიან.

*(შუი ტა ღმერთებს შეხედავს და გული წაუვია.)*

**ახალგაზრდა მეძავი.** ეს რა მოხდა თამბაქოს მეფეს გული წაუვიდა.

**რძალი.** აბა, რა მოუვიდოდა, ახალ მოსამართლეს შეხედა!

**ვანგი.** ჩანს იგი მათ იცნობს! ვერაფერი გამიგია.

**პირველი ღმერთი.** თქვენ ბრალად გედებათ, რომ სისხლით ნათესავი, ფროილან შენ ტე თავიდან მოიცილეთ, რათა მის წარმოებას დაპატრონებოდით. ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

**შუი ტა.** არა.

**პირველი ღმერთი** (*საქმეებს ფურცლავს*). თავდაპირველად მოვისმინოთ უბნის პოლიციელის ჩვენება, როგორი სახელით სარგებლობდა ბრალდებული და როგორი რეპუტაცია ჰქონდა მის ნათესავს.

**პოლიციელი** (*წინ გამოდის*). ფროილან შენ ტე იყო გოგონა, რომელიც ყველა ადამიანს სიამოვნებას გვრიდა, როგორც იტყვიან შუი ტა კი პირიქით, პრინციპული ადამიანია. ფროილანის გულკეთილობა მას დროდარდო იძულებულს ხდიდა მკაცრი ზომები მიეღო, თუმცა გოგონასაგან განსხვავებით, იგი ყოველთვის კანონით ხელმძღვანელობდა, თქვენო მოწყალებაგ. შუი ტამ ნიდაბი ჩამოსადა ქურდების ბრბოს, რომელთაც მისმა ნათესავმა სრული ნდობა გამოუცხადა და თავშესაფარი მისცა, ხოლო მეორე შემთხვევაში, მან შენ ტე უკანასკნელ წამებში იხსნა ტყუილი მოწმეებისაგან, ბატონ შუიტას ვიცნობ, როგორც ღრმად პატივცემულ და კანონების თაყვანისმცემელ მოქალაქეს.

**პირველი ღმერთი.** კიდევ არიან აქ ისეთი ადამიანები, რომლებიც ისურვებენ, დაამტკიცონ, რომ ბრალდებულს ძალა არ შესწევდა ჩაედინა ის დანაშაული, რასაც მას ბრალად სდებენ?

*(გამოდის ბატონი შუ ფუ და სახლის მეპატრონე ქალი.)*

**პოლიციელი** (ღმერთებს უჩურჩულებს). ბატონი შუ ფუ, ძალიან გავლენიანი ბატონი!

**ბატონი შუ ფუ.** ბატონი შუი ტა ქალაქში პატივცემულ საქმოსან კაცად ითვლება. იგი სავაჭრო პალატის მეორე თავმჯდომარეა, გათვალისწინებულია, თავის უბანში მშვიდობის მოსამართლედ აირჩიონ.

**ვანგი** (*ამ დროს იყვირებს*). თქვენის ნებით თქვენ აწყოთ ერთმანეთში საქმეებს!

**პოლიციელი** (*ჩურჩულით*). ცუდი პიროვნებაა!

**სახლის მეპატრონე ქალი**. როგორც მეურვეობის საზოგადოების პრეზიდენტს, მსურდა, სასამართლოსთვის მეცნობებინა, რომ ბატონ შუი ტას მხოლოდ განზრახული აქვს თამბაქოს საწარმოს მრავალრიცხოვანი ადამიანებისთვის საუკეთესო ნათელი და ჯანმრთელი შენობები აჩუქოს, არამედ ინვალიდების სახლსაც ყოველთვის დახმარების ხელს უწვდის.

**პოლიციელი** (*ჩურჩულით*). ქალბატონი მი ტჩიუ მოსამართლე ფუ ი ჩენგის ძალიან ახლო მეგობარია!

**პირველი ღმერთი**. დიახ, დიახ, მაგრამ ჩვენ გვსურს, აგრეთვე, მოვუსმინოთ რომელიმე თქვენგანს, ბრალდებულზე ცოტაოდენი სასიკეთო სათქმელი თუ აქვს.

*(გამოდინ ვანგი, დურგალი, მოხუცი ცოლ-ქმარი, უმუშევარი რძალი, ახალგაზრდა მეძავი.)*

**პოლიციელი**. უბნის ნაძირალები!

**პირველი ღმერთი**. აბა, რა იცით შუი ტას საქციელზე?

**ხმები** (*ერთიმეორის მიყოლებით*). მან ჩვენ ტყავი გაგვაძრო! მე ფული გამომძალა! ჩვენ ცუდისკენ გვიბიძგებდა! უმწეოდ ექსპლუატაციას უწევდა! ცრუობდა! ატყუებდა! კაცი მოკლეს!

**პირველი ღმერთი**. ბრალდებულო რა პასუხს გასცემთ?

**შუი ტა**. თქვენო მოწყალება, არაფერი გამიკეთებია, გარდა იმისა, რომ ჩემი ნათესავი გაჩანაგებას გადავარჩინე. მე მაშინ მოვედი, როცა საშიშროება გაჩნდა, როცა შენ ტე პატარა მაღაზიას კარგავდა. იძულებული ვიყავი სამჯერ მოვსულიყავი. არასოდეს დარჩენა არ მსურდა. უკანასკნელად კი ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ დავრჩი. მთელი ამ ხნის მანძილზე წვალების მეტი არაფერი შემხვედრია. ჩემი ნათესავი აქ უყვარდათ, მე კი ბინძური სამუშაოს შესრულება მხვდა წილად. ამიტომაც შემიძულეს.

**რძალი.** ღირსიც ხარ. აიღეთ თუნდაც ჩვენი ბინის შემთხვევა თქვენო მოწყალებაჲ!  
(*შუი ტახ.*) ტომრებზე კიდევ არაფერს ვამბობ.

**შუი ტა.** რატომაც არა, რატომაც არა?

**რძალი** (*ღმერთებს*). შენ ტემ თავშესაფარი მოგვცა, ამან კი საპყრობილეში ჩაგვყარა.

**შუი ტა.** თქვენ ნამცხვრები მოიპარეთ!

**რძალი.** ახლა ისე იქცევა თითქოს ხაბაზის ნამცხვრების დარდი ჰქონდეს! მას სურდა მაღაზია დაესაკუთრებინა!

**შუი ტა.** მაღაზია თავშესაფარი არ იყო თქვე ეგოისტებო!

**რძალი.** მაგრამ ჩვენ ღამის გასათევი არ გვქონდა!

**შუი ტა.** თქვენ ძალიან ბევრნი იყავით!

**ვანგი.** და აი ისინიც! (*იგი მოხუც ცოლ-ქმარზე მიუთითებს.*)

ესენიც ეგოისტები იყვნენ?

**მოხუცი.** ჩვენი დანაზოგი შენ ტეს მაღაზიას მოვახმარეთ. რატომ დაგვაკარგინე ჩვენი მაღაზია?

**შუი ტა.** იმიტომ რომ ჩემს ნათესავს სურდა, ერთ მფრინავს ფრენაში დახმარებოდა. მე კი ფული უნდა მეშოვა!

**ვანგი.** ეს ალბათ შენ ტეს სურდა, მაგრამ შენ კი პეკინში ადგილის მიღებას ელოდი. მაღაზია შენთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

**შუი ტა.** მაღაზიის შენობის გადასახდელი ძალიან მაღალი იყო.

**შინი.** ამის დამოწმება მეც შემიძლია.

**შუი ტა.** ჩემს ნათესავს საქმოსნობის არაფერი გაეგებოდა.

**შინი.** ამაში დავემოწმები! გარდა ამისა, შენ ტეს მფრინავი უყვარდა.

**შუი ტა.** განა მას სიყვარულის უფლება არ ჰქონდა?

**ვანგი.** აუცილებლად! მერედა, რატომ აიძულებდი შენ ტე ისეთ კაცს გაჰყოლოდა, აი იმ დალაქს, რომელიც არ უყვარდა?

**შუი ტა.** კაცი, რომელიც შენ ტეს უყვარდა, ფლიდი აღმოჩნდა.

**ვანგი.** ის კაცი? *(ზუნზე მიუთითებს.)*

**ზუნი** *(წამოხტება).* რადგანაც იგი ფლიდი იყო, შენ კანტორაში იმიტომ მიიღეთ?

**შუი ტა.** იქნებ საშველი დადგომოდა და გამოსწორებულიყავი! იქნება გამომესწორებინე!

**რძალი.** იქნებ ზუნი სხვებს რომ სამუშაოს აძალებდა, ის უფრო გსიამოვნებდა!

**ვანგი.** როცა იგი გამოსწორდა, იმიტომაც არ იყო, რომ აი, იმას მიჰყიდე? *(იგი სახლის მეპატრონე ქალზე მიუთითებს.)* ქალბატონმა ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოსდო!

**შუი ტა.** რადგან ეს ქალბატონი შენობას მხოლოდ მაშინ მითმობდა, თუ ეგ ვაუბატონი მუხლებზე სააღერსოდ ხელს გადაუსვამდა!

**სახლის მეპატრონე ქალი.** სიცრუეა! ჩემი შენობის შესახებ ხმას ნუ იღებთ! თქვენთან არაფერი საქმე მაქვს, მკვლელო!

*(განაწყენებული ბუზღუნებს.)*

**ზუნი** *(გულდაწყვეტილად.)* თქვენო მოწყალებაგ, მეც მინდა ერთი სიტყვა მის სასარგებლოდ ვთქვა!

**რძალი.** რასაკვირველია, უნდა თქვა. შენ ხომ თანამშრომელი ხარ!

**უმუშევარი.** სამუშაოს ასეთი უსაშველოდ დამძალებელი არასოდეს მსენია. მთლად ხელიდან წასული კაცია.



**ზუნი.** თქვენო მოწყალებაჲ, ბრალდებულს ყოველთვის რაც სურდა, იმას მაკეთებინებდა, მაგრამ იგი მკვლელი არ არის.

ვიდრე მას დააპატიმრებდნენ, რამდენიმე წუთით ადრე გვერდითი ოთახიდან შენ ტეს ხმა გავიგონე!

**პირველი ღმერთი (ხარბად)** ეს იგი, გამოდის, შენ ტე ცოცხალია? ზუსტად გვითხარი, რა გაიგონე!

**ზუნი (საზეიმოდ).** სლუკუნი გავიგონე, თქვენო მოწყალებაჲ, სლუკუნი!

**მესამე ღმერთი.** და შენ ტე შეიცანი?

**ზუნი.** ნამდვილად. განა შემეძლო მისი ხმა არ მეცნო?

**ბატონი შუ ფუ.** ცხადია, შეგეძლო, საკმაოდ ხშირად აგტირებია იგი!

**ზუნი.** და მაინც მე გავაბედნიერე. მაგრამ შემდეგ მას (*შუი ტა ზე მიუთითებს*) სურდა შენ ტე შენთვის მოეყიდა.

**შუი ტა. (ზუნს).** იმიტომ, რომ შენ იგი არ გიყვარდა!

**ვანგი.** არა, ფულზე გსურდა იგი გაგეყიდა.

**შუი ტა.** ფული რისთვისდა იყო საჭირო, თქვენო მოწყალებაჲ? (*ზუნს.*) შენ გსურდა, რომ შენ ტეს ყველა თავისი მეგობარი მსხვერპლად შემოეწირა შენთვის, ხოლო დალაქმა სახლები და ფული შემოგვთავაზა საწყლებს დაესმარეთო. შენ ტეს სიკეთის გაკეთება შეეძლო, იმიტომაც მსურდა მას დალაქზე ჯვარი დაეწერა.

**ვანგი.** რატომ არ მიეცი შენ ტეს სიკეთის ჩადენის საშუალება, როცა დიდთანხიან ჩეკს მოაწერეს ხელი? რატომ შეჰყარე შენ ტეს მეგობრები შენი ფაბრიკის ჭუჭყიან ოფლსადენ ოთახებში, თამბაქოს მეფევე?

**შუი ტა.** ბავშვის გულისთვის!

**დურგალი.** ჩემი ბავშვები? ჩემს ბავშვებს რა დამართე?

*შუი ტა დუმს.*

**ვანგი.** ახლა ენა ჩაგივარდა! ღმერთებმა შენ ტეს მაღაზიას მისცეს, როგორც სიკეთის პატარა წყარო. შენ ტეს ყოველთვის სურდა სიკეთის ჩადენა, მხოლოდ შენი მოსვლით ყოველთვის ყველაფერს აფუჭებდი.

**შუი ტა (გამწარებული).** რადგან წყარო დაშრებოდა, შე სულელო, შენა.

**შინი.** მართალია, თქვენო მოწყალეებავ!

**ვანგი.** რა ბედენაა წყარო, როცა იქიდან არაფრის ამოღება შეიძლება?

**შუი ტა.** კეთილი საქმეები ნაცარტუტად გაქცევს!

**ვანგი (გაცოფებული).** მაშ, შენის აზრით, ცუდი საქმეები კეთილ ცხოვრებას ნიშნავს, ხომ? რა გაუკეთე კეთილ შენ ტეს, შე საძაგელო? განა კეთილი ადამიანები ბევრი მოიძებნება ნათელმოსილნო? შენ ტე კეთილი იყო!

როცა აი, იმან, ხელი გადამიმტვრია, შენ ტეს მოწმედ სურდა დამდგომოდა. ახლა კი მე გამოვდივარ მის მოწმედ. იგი კეთილი იყო, მე ამას ვამტკიცებ. *(იგი ფიცის დასადებად ხელს ასწევს.)*

**მესამე ღმერთი.** ხელზე რა დაგემართა, მეთულუხევე? გახევებული გაქვს?

**ვანგი (შუი ტაზე მიუთითებს).** ამ საქმეში ეგ არის დამნაშავე, მხოლოდ ეგ! შენ ტეს სურდა ექიმის ფული მოეცა, მაგრამ ამ დროს ეგ გამონდა. შენ იყავი შენ ტეს დაუძინებელი მტერი!

**შუი ტა.** მე ვიყავი მისი ერთადერთი მეგობარი!

**ყველანი (ერთად).** სად არის შენ ტე?

**შუი ტა.** სადღაც წავიდა.

**ვანგი.** საით?

**შუი ტა.** არ გეტყვით!

**ყველანი ერთად.** მაგრამ რატომ წავიდა შენ ტე?

**შუი ტა** *(ყვირილით).* იმიტომ, რომ სხვაგვარად თქვენ შეჭამდით!

*(მოულოდნელი სიჩუმე ჩამოვარდება.)*

**შუი ტა** *(სკამზე დაეშვება).* აღარ შემიძლია. ყველაფერს ნათელი უნდა მოვფინო. თუკი დარბაზს დაცლით და მხოლოდ მოსამართლეები დარჩებიან. მაშინ ყველაფერს ვადიარებ.

**ყველანი ერთად.** იგი გამოტყდა! იგი მხილებულია!

**პირველი ღმერთი** *(მაგიდაზე ჩაქუჩს დაარტყამს).* დარბაზი გაათავისუფლეთ.

*(პოლიციელი დარბაზს ათავისუფლებს ხალხისაგან.)*

**შინი** *(მიდის და თან იცინის).* როგორი გაკვირვებულები დარჩებიან!

**შუი ტა.** ყველანი გავიდნენ გარეთ? ყველანი? მეტი დუმილი უკვე აღარ შემიძლია. მე თქვენ გიცანით, ნათელმოსილნო!

**მეორე ღმერთი.** რა დამართე ჩვენ სეჩუანელ კეთილ კაცს?

**შუი ტა.** მაშინ ნება მომეცით საშინელ სიმართლეში გამოვტყდე.

თქვენი კეთილი კაცი მე ვარ!

*(იგი ნიღაბს იხდის და ტანსაცმელსაც შემოივლეჯს, შენ ტე აღმოჩნდება.)*

**მეორე ღმერთი.** შენ ტე!

**შენ ტე.** დიახ, მე ვარ. შუი ტა და შენ ტე, ორივე მე ვარ.

ერთსულოვანმა თქვენმა ბრძანებამ,

ვიყო კეთილი, ვიცხოვრო კიდევ,

ვითარცა ელვამ, ორ ნაწილად ისე გამკვეთა.

არ ვიცი, რატომ ვერ მოხერხდა, რომ ერთდროულად

თავზეც მეზრუნა და მიმეზღა სხვებისთვის კარგი.

პირადთან ერთად ვერ შევძელი სხვათა შეწევნა.

თქვენი ქვეყანა მკაცრია და ავი, მზაკვარი,

სადაც ხშირია ბოროტება, სასოწარკვეთა,

გაჭირვებაში ჩავარდნილს თუ ხელს გაუწოდებ,

თვითონ იგივე იმ ხელს მოგაჭრის,

თუ მიეშველე დაღუპულ კაცს, თვითვე დაგღუპავს.

ვინც არ ჭამს კვდება, საჭმელი კი წაგლეჯით მოდის.

სად მომეძებნა სასიცოცხლო, რაც მჭირდებოდა?!

მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ჩემი თავისგან,

ეს კი ნიშნავდა თვითმკვლელობას.

სიკეთის ტვირთმა მე მიწასთან მთლად გამასწორა,

უსამართლობით მხრებსა ვშლიდი, კარგ ხორცსაც ვჭამდი.

თქვენი ქვეყანა არის რაღაც უსწორმასწორო,

ავს ფასი ადევს, სიკეთე კი მკაცრად ისჯება.

რაღაც სიხარბე იყო ჩემში, რომ მენებივრა,

ამასთანავე ცოდნა მქონდა იღუმალ ძალის,

რადგან გამბანა დედობილმა თხრილის წუმპეში,

თანაც ამიტომ გამომადგა მჭრელი თვალები.

თუმც თანაგრძნობა მქეჯნიდა და ძლიერ მტანჯავდა,

მე უქონლობას აღვიქვამდი მგლური სიცოფით,

შემდეგ კი ვგრძნობდი რა ძალიან ვსხვაფერდებოდი,

ჩემი ტუჩები იქცეოდნენ უმნო ლაშებად.

ჩემს პირში ნაცრის გემო ჰქონდა სიკეთის სიტყვებს

და მე კი მაინც გარეუბნის ანგელოზად მიხმობდა ყველა.

გასაჩუქრება ჩემთვის იყო სიამოვნება,

ზეცას ვწვდებოდი თუ ბედნიერ სახეს ვნახავდი.

და შემაჩვენეთ ახლა მისთვის, რაც დავაშავე,

ეს ყველაფერი გავაკეთე მეზობლების დასახმარებლად,

უძვირფასესი პიროვნების სიყვარულისთვის

და ჩემი შვილი რომ დამეხსნა გაჭირვებისგან.

თქვენი დიადი გეგმებისათვის, დიდო ღმერთებო,

საწყალი კაცი უძლური ვიყავ.

**პირველი ღმერთი** (*ეტყობა რომ შეძრწუნებულია*). ნუნა ლაპარაკობ, უბედურო! რას დავეძებ მაგას, როცა ჩვენ ასე გახარებულები ვართ, კვლავ რომ გიპოვეთ!

**შენ ტე.** მაგრამ ხომ უნდა გითხრათ, რომ მე ის უკეთური ადამიანი ვარ, რომლის შესახებაც ყველანი აქ ამდენს ჰყვებოდნენ.

**პირველი ღმერთი.** კეთილი ადამიანი, რომლის შესახებაც ყველანი მხოლოდ კარგს ამბობდნენ!

შენ ტე. არა, აუგიც თქვეს!

**პირველი ღმერთი.** გაუგებრობაა! რამდენიმე უბედური შემთხვევის ბრალია. რამდენიმე უგულო მეზობელი! ოდნავ გადააჭარბეს.

**მეორე ღმერთი.** მაგრამ მერე როგორღა იცხოვროს?

**პირველი ღმერთი.** შენ ტეს შეუძლია. იგი ძლიერი, მხნე პიროვნებაა და ბევრს აიტანს.

**მეორე ღმერთი.** მაგრამ შენ არ გაგიგონია, მან რა თქვა?

**პირველი ღმერთი.** *(შეატრად).* დაბნეულია, ძალიან დაბნეულია, საგსებით დაუჯერებელია! ნუთუ ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი მცნებანი მომაკვდინებელია? ნუთუ ჩვენს მცნებაზე უარი უნდა ვთქვათ? *(გოუტად.)* არასდროს! ქვეყანა უნდა შეიცვალოს? როგორ? ვინ უნდა შეცვალოს? არა, ყველაფერი წესრიგშია. *(იგი მაგიდაზე სწრაფად დაუკრავს ჩაქურს და შემდეგ მის ნიშანზე მუსიკა გაისმის. ვარდისფერი სინათლე ინთება.)*

ღროა დავბრუნდეთ. ამქვეყნიური საქმეებით ძალზე გავერთეთ.

მან მიგვიზიდა მიწიერი ტკივილებით და სიხარულით,

ხან გაგვამხნევა, ზოგჯერ კიდევ გვატკინა გული.

ვარსკვლავეთს მიღმა არასოდეს დაგვაავიწყდება,

გვემახსოვრები, შენ ტე, ჩვენო კეთილო კაცო,

მიწაზე დარჩი მქადაგებლად ჩვენთა მცნებათა,

ცივ სიბნელეში დახვალ შენი პატარა ლამპრით,

გემშვიდობებით, კარგად იყავი!

*(მის ნიშანზე ჭერი იხსნება. ვარდისფერი ღრუბლები ეშვებიან ძირს. ვარდისფერი ღრუბლებით ღმერთები ძალიან ნელა ზევით-ზევით მიიწევენ.)*

**შენ ტე.** ოჰ, ასე არა, ნათელმოსილნო! ნუ წახვალთ! ნუ მიმატოვებთ! როგორ უნდა შევხედო მოხუც ცოლ-ქარს თვალებში, რომლებმაც მაღაზია დაკარგეს, როგორ უნდა შევხედო თვალებში მეთულუხეს თავისი გახევებული ხელით? და როგორ დავიცვა თავი დალაქისაგან, რომელიც არ მიყვარს და დავიცვა თავი ზუნისაგან, რომელიც მიყვარს? ჩემი სხეული დალოცვილია, მაღე გაჩნდება ჩემი პატარა შვილი და ჭამა მოუნდება? მე აქ დარჩენა არ შემიძლია?

*(იგი გამწარებული მიშტერებია კარს, საიდანაც მისი მტანჯველები უნდა შემოვიდნენ.)*

**პირველი ღმერთი.** შენ შეგიძლია, მხოლოდ კეთილი იყავი და ყველაფერი კარგად იქნება!

*(შემოდინ მოწმეები. ისინი გააკვირვებულები შეცქერიან ვარდისფერ ღრუბლებზე მოქანავე ღმერთებს.)*

**ვანგი.** პატივი ეცით! ღმერთები გამოჩნდებიან ჩვენთან. სამი მაღალი ღმერთი სენჯანში მოვიდა, კეთილ კაცს ეძებდნენ. კეთილი კაცი მათ უკვე იპოვეს, მაგრამ...

**პირველი ღმერთი.** არავითარი მაგრამ! აგერ არის იგი!

**ყველანი ერთად.** შენ ტე!

**პირველი ღმერთი.** იგი არ დაღუპულა, იგი მხოლოდ დამალული იყო. იგი თქვენ შორის დარჩება, კეთილი კაცი!

**შენ ტე.** მაგრამ მე მჭირდება ბიძაშვილი.

**პირველი ღმერთი.** არცთუ ხშირად!

**შენ ტე.** ყოველ კვირა მაინც.

**პირველი ღმერთი.** ყოველთვეც საკმარისია!

**შენ ტე.** ოჰ, ნუ მშორდებით, ნათელმოსილნო! მე ხომ ყველაფერი არ მითქვამს! მე თქვენ ძალიან მჭირდებით!

**ღმერთები (მღერთან).**

**ღრუბლებში გამქრალი ღმერთების ტერცეტი:**

ჩვენ აღარ ძალგვიძს კიდევ დარჩენა,

დრო აღარა გვაქვს საათზე მეტი,

ახლა გვსურს ყველა მისი აღწერა,

რაც განვიცადეთ აქაური სილამაზეთი.

ჩრდილებს ისვრიან დაქანცული თქვენი სხეულნი,

ოქროს სინათლის მირიად ღვარში,

გემშვიდობებით ჩვენ აქ ყოფნას არ ვართ ჩვეულნი,

არარაობა მიგველის ცაში.

**შენ ტე. მიშველეთ!**

**ღმერთები.**

ვამთავრებთ ძებნას დედამიწაზე

და შენ სიკეთეს ლაჟვარდებს ვამცნობთ.

იყავ ქებული, სიუხვით სავსევე,

სეჩუანელო კეთილო კაცო!

*(ვიდრე სასოწარკვეთილი შენ ტე მათკენ ხელს იშვერს, ღმერთები ზევით ქრებიან, თან იღიმებიან და ხელს უქნევენ.)*

**ეპილოგი**

ფარდის წინ გამოდის მსახიობი და ბოდიშის მოხდის მიზნით ხალხს ეპილოგით მიმართავს.



მსახიობი. ძვირფასო ხალხო, მოგვიტევე, ნუ გვიწყენს კაცი,  
ჩვენ კარგად ვიცით, რომ ფინალი დამთავრდა მარცხით.  
ვერ გაგრძნობინეთ ამ ბაჯადლო ლეგენდის ეშხი  
და ასე მწარე დასასრული ერგო ჩვენს ხელში.  
სათქმელი ვერ ვთქვით, თუმცა უკვე ფარდა დაეშვა  
და შევუპყრივართ შეშფოთებას, რაღაც კაეშანს.  
მაინც ვამყარებთ დიდ იმედებს ხალხის წინაშე,  
რადგან ტკბეობლით, მეგობრებო, დღეს ჩვენს ბინაზე.  
დავიშრიტებით, ვერას გეტყვით სხვა ახალს ისე,  
თუ თქვენი რჩევა არ გვახარებს, არ გვახალისებს.  
ეგებ ამოდ დავშრით, შიშით ნათილისმარი?  
ჩვენი ლოზუნგი გვერდზე დარჩა, ჩვენი მიზანი.  
ბევრი ვეცადეთ, ვერ მივედით მაინც სურვილთან.  
ხელოვნებაში ვერ იპოვი თვითონ ფულითაც.  
იქნება სჯობდა, სულ სხვა ვინმე გამოგვეყვანა.  
ან სხვა ღმერთები, ან არაეინ, ან სხვა ქვეყანა.  
და განა მარტო პროექტორის სხივების გამო?!  
მრავალმა განცდამ დაგვამსხვრია ჩვენ უსიამომ.  
შენაც იფიქრე, ალაგ-ალაგ ჯერია შენზე,  
კარგი ფინალით, დაეხმარო სიკეთის მთესველს.

იქნებ მოძებნო, დასასრულის სულ სხვა გზა-კვალი

ის უნდა იყოს, უნდა იყოს, იყოს სხვაგვარი.